

ნავთობპროდუქტების სფეროს ლიცენზირების ახალი კანონი დაარეგულირებს

A4



მასხადოვის ლიკვიდაციის ახალი ვერსია რუსულ მედიაში

A5



ქარელის პოლიციის უფროსსა და მის თანამშრომლებს სამთვიანი პატიმრობა შეუფარდეს

A7

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 16 მარტი, 2005 წელი. №59 (919)

ფასი 50 თეთრი

## ამბები

### ბაგაფში ამბობს ეკონომიკას და გულისხმობს რკინიგზას



აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტი სერგეი ბაგაფში რამდენიმე დღეა, რაც მოსკოვში იმყოფება. როგორც თავად აცხადებს, მოლაპარაკებები ეკონომიკურ საკითხებზე მიმდინარეობს.

A2

## საზოგადოება

### ერთი კილო მაკარონი და მომავლის იმედი



თბილისის ზღვაზე მდებარე სასტუმრო "ოქროს საწმისში" მცხოვრებ დევნილებს ამირ აბდულამ იტალიის მთავრობის მიერ გადმოცემული 20 ტონა მაკარონი დაურიგა.

A6

იურიდიული ოფისი „გაპი"
და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7

# აურზაური წესრიგის გამო

## ოპოზიცია: სააკაშვილს დროს ვაძლევთ მთავრობის გადასაყენებლად! სტუდენტები: საკითხის ზედმეტად პოლიტიზება არ გვინდა!

ვერიკო თევზაძე

**"ბაიბურთი ვაი (იგულისხმება ვან) – ვაი მაგას! წინააღმდეგ მისცა... ქარსელაძე ვახტანგ, მომხრე, ჯიგარსონი!.. ნადირაძე მაია - "დათა თუთაშხიაში" რა ქვია იმას, ბუდარია და ბუდარიხა? – წინააღმდეგი"...** გუშინ, საღამოს ექვსის ნახევარზე, ერთ-ერთი კოლეჯელის მშობელმა, რომელიც მონდომებით ცდილობდა, ირონიულ-არტისტული ყოფილიყო, ამოიკითხა სია კენჭისყრაში მონაწილე დეპუტატებისა, რომელთაც პარლამენტის სხდომაზე სამედიცინო კოლეჯის აღსაზრდელთა საკითხი განიხილეს და უარყოფითი გადაწყვეტილება მიიღეს. აქციის მხარდამჭერები ხმის მიმცემებს მქუხარე ტაშითა და აპლოდისმენტებით აჯილდოვებდნენ.

**"ძირს სააკაშვილი!"... "სააკაშვილი, როგორც წარსული, უნდა გავაცილოთ!"** – ამგვარი რადიკალური ლოზუნგებით ელიზბარ ჯაველიძე და ნესტან კირთაძე გამოვიდნენ. 15 მარტს სამედიცინო კოლეჯის გაფიცულ სტუდენტებს ოპოზიციური პარტიების და მოძრაობების წარმომადგენლებიც შეუერთდნენ, სტუდენტების პირვანდელ მოთხოვნებთან ერთად, გაჩნდა პოლიტიკური ლოზუნგებიც. სტუდენტ-ორგანიზატორებმა რადიკალი გამომსვლელების გასაგონად, ხაზგასმით განაცხადეს: **"პირველი რიგის ამოცანად რჩება კოლეჯი... დიდი მადლობა, ვინც გვერდზე დაგვიდგა, მაგრამ ამ საკითხის ზედმეტად პოლიტიზება არ გვინდა!"**

გაგრძელება A8 გვერდზე



# ჭობს, სამედიცინო განათლების ხარისხზე ვიფიქროთ

მაია ქალაგანიძე

*სამედიცინო კოლეჯთან დაკავშირებულ პრობლემებზე მსჯელობს ყველა - არშემდგარი თუ მოქმედი პოლიტიკოსი, ოპოზიცია და ხელისუფლება, განათლებული და გაუნათლებელი ადამიანი, მშობლები, ბავშვები და უბრალო გამვლელები. სამწუხაროდ, საზოგადოების წინაშე არ წარმდგარან თავად ექიმები. ისინი, ვისაც არც აღნიშნული კოლეჯი დაუმთავრებია, არც საერთო ეროვნული მისაღები გამოცდები ჩაუბარებია და იმის მიუხედავად, რომ თავის დროზე სახელმწიფომ რეფორმირებული და კარგი განათლების სისტემა არ შეუქმნა, არიან კარგი ექიმები. მათი წარმატება განაპირობა იმან, რაც ასე აშინებს დღევანდელ აბიტურიენტთა ნაწილს და რომელსაც პროფესიული უნარჩვევები და შემდგომში მისი მუდმივი განვითარება ჰქვია. დღევანდელ საუბარში შევეხებით სამედიცინო განათლების მსოფლიო სტანდარტებსაც, რომლის დანერგვის ვალდებულება საქართველოსაც აქვს აღებული. ის, რაც დღეს პარლამენტის წინ ხდება, არაფრით არ ჯდება ამ სტანდარტებში.*

გაგრძელება B1 გვერდზე



# ნატო "დაზვერვაზე" ჩეხებს აგზავნის

გიორგი ასანიშვილი

*ნატო-ში გასაწევრიანებლად საქართველომ კონკრეტული "ტესტები" უნდა ჩააბაროს, რომლებიც ჩრდილოატლანტიკურ ალიანსთან თანამშრომლობის სამოქმედო პროგრამაშია (IPAP) მოცემული. ამ პროგრამის შესრულების მიმდინარეობას ბრიუსელიდან გულდასმით აკვირდებიან. ერთგვარ ზედამხედველად შეიძლება ჩაითვალოს ჩეხეთის საპარლამენტო დელეგაციაც, რომელიც ამ დღეებში თბილისს სტუმრობს და საქართველოს სხვადასხვა სახელისუფლებო შტოების წარმომადგენლებს ხვდება.*

დელეგაციის ხელმძღვანელი, ჩეხეთის პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე იან ვიძინი დაბეჯითებით ირწმუნება, რომ საქართველოს საკმაოდ კარგი პერსპექტივები აქვს ნატო-ში შესასვლელად.

**"მჯერა, რომ ისტორიულად მოკლე დროში თქვენი ქვეყანა ჩრდილოატლანტიკური ალიანსის სრულფასოვანი წევრი გახდება,"** - აღნიშნა მან საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან გუშინ გამართულ შეხვედრაზე. მთავარ პრობლემად, რომელმაც შეიძლება ეს პროცესი შეაფერხოს, ნინო ბურჯანაძე და იან ვიძინი რუსეთის სამხედრო ბაზების საკითხს ასახელებენ.

**"საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულია იმ ქვეყნის სამხედრო ბაზები, რომელიც ნატო-ს წევრი არ არის,"** - შენიშნავს ჩეხი სტუმარი.

გაგრძელება A3 გვერდზე

# სიდუხჭირე – ქუჩაში გამოსვლის მთავარი მიზეზი

## საქართველო დონორი ორგანიზაციების სამცხე-ჯავახეთით დაინტერესებას ცდილობს

თამარ მჭედლიშვილი

*აშშ-ს განვითარების საერთაშორისო სააგენტო, დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტი, გაერო-ს განვითარების პროგრამა, ევროკომისიის დელეგაცია საქართველოსა და სომხეთში, უმცირესობის საკითხთა ევროპის ცენტრი, ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია - ეს ის საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები არიან, რომლებმაც, შესაძლოა, საქართველოს ხელისუფლებას ერთ-ერთი ურთულესი რეგიონის - სამცხე-ჯავახეთის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში სერიოზული ფინანსური დახმარება აღმოუჩინონ. ყოველ შემხთვევაში, ქართულ მხარეს ამ ორგანიზაციათა აქტიური მხარდაჭერის იმედი აქვს.*

გუშინ "შერატონ მეტეხი პალასში" გამართულ კონფერენციაზე, რომელიც კონფლიქტის მოწესრიგების საკითხებში სახელმწიფო მინისტრისა და სამცხე-ჯავახეთში პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატების ინიციატივით მოეწყო, სამცხე-ჯავახეთში არსებულ ვითარებაზე, რეგიონების განვითარების პრესპექტივებზე ისაუბრეს. კონფერენციის მონაწილეებმა იმ საინვესტიციო პოლიტიკაზეც იმსჯელეს, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ ამ რეგიონში უნდა გაატაროს.

კონფერენციის ორგანიზატორთა მთავარი ამოცანა საერთაშორისო საფინანსო დონორი ორგანიზაციების დაინტერესება გახდა. მით უფრო, რომ პრობლემები კომპლექსურად

გაგრძელება A2 გვერდზე

## ამინდი

| | 16/3 | 17/3 | 18/3 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 14 | 13 | 23 |
| ქუთაისი | 14 | 8 | 11 |
| ბათუმი | 14 | 8 | 11 |
| სოხუმი | 11 | 6 | 10 |
| ფოთი | 14 | 7 | 9 |
| თელავი | 13 | 11 | 21 |
| ზუგდიდი | 14 | 7 | 9 |
| გორი | 10 | 7 | 16 |
| ახმეტა | 13 | 11 | 21 |
| ჭიათურა | 11 | 5 | 9 |
| გაგრა | 8 | 5 | 9 |
| სამტრედია | 14 | 7 | 9 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8300 |
| ევრო | 2.4524 |
| გირვანქა სტერლ. | 3.5098 |
| რუბლი | 0.0666 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| პოლიტიკა | A3 | რევიუ | B3 |
| ეკონომიკა | A4 | სპორტი | B4 |
| უცხოეთი | A5 | სპორტი | B5 |
| საზოგადოება | A6 | პროექტი | B6 |
| სამართალი | A7 | სხვადასხვა | B7 |
| საზოგადოება | A8 | სხვადასხვა | B8 |





იხილეთ B3 გვერდზე

## სიდუხჭირე – ქუჩაში გამოსვლის მთავარი მიზეზი

პირველი გვერდიდან

არის გადასაჭრელი, საქართველოს ხელისუფლებას კი ამ ეტაპზე საჭირო თანხები არ აქვს.

გუშინ რეგიონში გასატარებელი სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობის პრიორიტეტები გამოიკვეთა: მოსახლეობის სოციალური პრობლემების გადაჭრა, სოფლის მეურნეობის დარგების აღორძინება, გზების მშენებლობა, სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესება და მოსახლეობის ინფორმაციული ვაკუუმიდან გამოყვანა.

საუბრები სამცხე-ჯავახეთში ინვესტიციების მოზიდვის თაობაზე ჯერ კიდევ წინა ხელისუფლების დროს დაიწყო. გაიმართა რამდენიმე საერთაშორისო კონფერენცია, თუმცა მაშინ არაფერი შეცვლილა და პროექტები მხოლოდ ქაღალდზე დარჩა.

ამასობაში, რეგიონში ვითარება პერიოდულად იძაბება და მოსახლეობის სოციალურ სიდუხჭირეს ადგილობრივი პოლიტიკური ძალები სათავისოდ იყენებენ. ამის ნათელი მაგალითი ამ ბოლო დღეებში ახალქალაქში განვითარებული მოვლენები გახდა, თუმცა პოლიტიკური ძალების მიერ ორგანიზებულ მიტინგზე უფრო მეტად სოციალური მოთხოვნები გაისმა.

გუშინ ამ მოვლენებს საქართველოს სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოგვარების საკითხებში გიორგი ხაინდრავა გამოეხმაურა და განაცხადა, რომ სამცხე-ჯავახეთის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, რეგიონის მოსახლეობის მოთხოვნები სამართლიანი იყო. თუმცა, მანვე დასძინა, რომ გარე ძალების გააქტიურების მიუხედავად, სამცხე-ჯავახეთში ვითარება არ გართულდება.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულის გიორგი ხაჩიძის განცხადებით კი, რეგიონის მოსახლეობას იმედი აქვს, რომ მათი პრობლემებით საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები სერიოზულად დაინტერესდებიან.

რაც შეეხება ოფიციალური ერევანის პოზიციას, როგორც საქართველოში სომხეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა გიორგი ხოსროევმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, სომხეთი დაინტერესებულია საქართველოს სტაბილურობით და ამისათვის მზად არის, ყველა აუცილებელი და საჭირო ნაბიჯი გადადგას. სომხეთის მთავრობამ არაერთგზის განაცხადა, რომ სამცხე-ჯავახეთის სოციალურ-ეკონომიკური გეგმის არსებობის შემთხვევაში, ქართულ მხარეს მის რეალიზაციაში ქმედით დახმარებას აღმოუჩენს. **"მინდა ხაზი გავუსვა, რომ ეს ჰუმანიტარულ სფეროს ეხება - ჯანდაცვას, განათლებას. ჩვენ მივესალმებით, თუკი საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები სამცხე-ჯავახეთით დაინტერესდებიან. რაც შეეხება ახალქალაქში განვითარებულ მოვლენებს, მწამს, რომ მოსახლეობის ქუჩაში გამოსვლის მთავარი მიზეზი სწორედ სიდუხჭირე იყო,"** - განაცხადა სომხეთის ელჩმა.

## "მაგათ შევარდნაძეს რა უყვეს და მე რას მიზამენ?!"

მაია მოსიაშვილი

გუშინ მოეწყო საქართველოს ფინანსთა ახალი მინისტრის ვალერი ჩეჩელაშვილის პირველი გასვლითი შეხვედრა ქვემო ქართლის მხარის ადმინისტრაციაში. პრეზიდენტის რწმუნებულთან ერთად, იგი მხარის ყველა რაიონისა და ქალაქის გამგებლებსა და საგადასახადო სამსახურების პირველ პირებს შეხვდა. თათბირი სამ საათს გაგრძელდა, თუმცა რაზე საუბრობდნენ იქ, უცნობია, რადგან ჟურნალისტებს განუცხადეს, რომ სხდომა დახურული იყო და კომენტარები მოგვიანებით გაკეთდებოდა. კომენტარები გაკეთდა და, როგორც წესი და რიგია, ითქვა ზოგადი ფრაზები, რომ პრობლემები არის, მაგრამ მთლიანობაში ყველაფერი კარგადაა; რომ შემოსავლების მობილიზება გასაზრდელია, მაგრამ სისტემური ცვლილებები მოსალოდნელი არ არის და ა. შ.

კითხვაზე - რატომ დაიხურა სხდომა ჟურნალისტებისთვის? - ჩეჩელაშვილმა მხრები აიჩეჩა და დიპლომატიური პასუხი გასცა: “მე არ დამინახავს, რომ იქიდან ვინმე გარეთ გამოეშვათ” (პრინციპში მართალიც თქვა, არავინ შეუშვიათ და ვის გამოუშვებდნენ)...

იგივე შეკითხვაზე რწმუნებულ ზურაბ მელიქიშვილის პასუხი გაცილებით საინტერესო იყო:

- თუ ინფორმაცია გაინტერესებთ, მიმართეთ სამსახურებს, წადით რაიონებში და მოიპოვეთ იგი. ეს სამუშაო თათბირი იყო.

- კი, მაგრამ ეს იყო კოლეგიალური სხდომა, რომელიც ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით საჯაროა, - შეეპასუხა ჟურნალისტი.

- თქვენ შეგეძლოთ, რომ მოგეთხოვათ და შემოსულიყავით, - იყო რწმუნებულის პასუხი და აზრიც აღარ ჰქონდა იმის მტკიცებას, რომ მოთხოვნა იყო და შესვლაც შეიძლებოდა, თუ სხდომათა დარბაზის კარზე აყუდებულ დაცვის წევრს დაეჭიდებოდი.

ორიოდე კვირის წინ ამავე ადმინისტრაციაში სტუმრად იმყოფებოდა ქვეყნის პირველი ლედი სანდრა რულოვსი. ის რუსთავის სოციალური სამსახურების თანამშრომლებს შეხვდა. შეხვედრა უწყინარ ხასიათს ატარებდა, მაგრამ ჟურნალისტები სხდომათა დარბაზში არც მაშინ შეუშვეს. ეს საკითხიც დაცვის წევრებმა გადაწყვიტეს.

ალბათ, არავის სჭირდება იმის მტკიცება, რომ არც ფინანსთა მინისტრის და არც პირველი ლედის შეხვედრები კერძო ხასიათის არ იყო და, შესაბამისად, არ შეიძლებოდა, კონკრეტული მიზეზის გარეშე, ისინი პრესისთვის დახურული ყოფილიყო. მაშ, რატომ ავიწროებს (იგულისხმება ინფორმაციის დაბლოკვა) ახალი ხელისუფლება ჟურნალისტებს? იქნებ იმიტომ, რომ მას აღარ სჭირდება ძლიერი მასმედია?

"არ მიყვარს ჟურნალისტები. მაგათ შევარდნაძეს რა უყვეს და მე რას მიზამენ?!" - როცა ეს ფრაზა ახალი ხელისუფლების მიერ დანიშნული ერთ-ერთი რაიონის ახალი გამგებლისაგან მოვისმინე, ჩავთვალე, რომ ეს ერთი კონკრეტული ადამიანის პირადი აზრი იყო და მეტი არაფერი. დღეს უკვე ცხადია, რომ ამ ფრაზის პათოსს ახალ ხელისუფლებაში ბევრი იზიარებს.

## საქართველოს პრეზიდენტის ხელფასი 4000 ლარით განისაზღვრება

საქართველოს პრეზიდენტის ხელფასი 4000 ლარით განისაზღვრება. საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტმა გუშინ განიხილა საქართველოს მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის შრომის ანაზღაურებას შეეხება.

"სახელფასო პოლიტიკაში მიმდინარე რეფორმის ფარგლებში მომზადდა კანონპროექტი "საქართველოს პრეზიდენტის შრომის ანაზღაურების შესახებ", რომლის მიხედვითაც პრეზიდენტი 2005 წლის 1 იანვრიდან ბიუჯეტიდან 4000 ლარს მიიღებს. ნორმატიული აქტი, რომლითაც პრეზიდენტის შრომის ანაზღაურება დარეგულირდებოდა, დღემდე არ არსებობდა," - განაცხადა ფინანსთა მინისტრის მოადგილემ გიორგი გოდაბრელიძემ.

მისი თქმით, აქამდე პრეზიდენტი ხელფასის სახით ბიუჯეტიდან 400 ლარს, ხოლო განვითარებისა და რეფორმების ფონდიდან 2000 დოლარის ოდენობის დანამატს იღებდა.

"რეალურად, პრეზიდენტის შრომის ანაზღაურება არ იცვლება, თუმცა მისი საკანონმდებლო ჩარჩოებში მოქცევა მოხდება. ფინანსთა სამინისტრო პრეზიდენტისთვის, შრომის ანაზღაურების სახით, 7000 ლარის დანიშვნას აპირებდა, თუმცა, თავად მიხეილ სააკაშვილმა ამაზე უარი განაცხადა," - აღნიშნა გოდაბრელიძემ.

ამჟამად, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის შრომის ანაზღაურება 3800 ლარს შეადგენს, პრემიერ-მინისტრის ხელფასი 3600 ლარია, მინისტრების - 3000 ლარი, ხოლო მინისტრების მოადგილეებისა - 2000 ლარი.

პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტმა აღნიშნულ კანონპროექტს მხარი დაუჭირა. **ინტერ-პრესი**

# ბაგაფში ამბობს ეკონომიკას და გულისხმობს რკინიგზას

ნინო გომართელი

*აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტი სერგეი ბაგაფში რამდენიმე დღეა, რაც მოსკოვში იმყოფება. როგორც თავად აცხადებს, მოლაპარაკებები ეკონომიკურ საკითხებზე მიმდინარეობს. “მოსკოვში ჩვენ ეკონომიკური საკითხების შესაჯერებლად ვართ. პოლიტიკურ თემებზე საუბრები არ მიმდინარეობს, ამის აუცილებლობა არ არის,” – აცხადებს იგი, თუმცა პრესკონფერენციაზე პოლიტიკურ თემებსაც ეხება.*



*მე რუსეთის მოქალაქე ვარ, - თავს იწონებს მოსკოვში ბაგაფში.*

ძირითადი საკითხები, რომლებზეც გუშინ, მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე, თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტი საუბრობდა, სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის აუცილებლობა, ეკონომიკური განვითარების კუთხით ოფიციალურ თბილისთან თანამშრომლობის გაღრმავება, სამშვიდობო მოლაპარაკებათა აღდგენა, გუდაუთის სამხედრო ბაზაზე ანტიტერორისტული ცენტრის შექმნა და გალის რაიონში დევნილთა დაბრუნება იყო.

სერგეი ბაგაფში მზადყოფნას გამოთქვამს, საქართველოს ხელისუფლებასთან ეკონომიკურ საკითხებზე მოლაპარაკება აწარმოოს.

**"პოლიტიკურ თემებზე წინ ეკონომიკურ საკითხებს ვაყენებ. ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებები სწორედ სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის და ენერგეტიკის რეაბილიტაციის საკითხებით უნდა დაიწყოს, რადგან ამ მხრივ შეთანხმებების მიღწევის ყველაზე დიდი შანსი არსებობს. რაც შეეხება პოლიტიკურ საკითხებს, ვფიქრობ, ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების შემდეგ ისინი თავისთავად დარეგულირდება,"** - აღნიშნა მან და ოფიციალურ თბილისს მოუწოდა, ეკონომიკური განვითარების კუთხით, ერთმანეთს ხელი არ შეუშალონ.

**“მე შევთავაზე საქართველოს ხელისუფლებას - თუ რამის გაკეთება გვსურს, მაშინ ერთმანეთს კვანტი არ უნდა დავუდოთ. მოდით, ეკონომიკურად განვვითარდეთ,”** – განაცხადა მან. ბაგაფშის აზრით, ასეთი შეთანხმება არაღიარების პრობლემას მოხსნიდა, რაც, თავის მხრივ, ხელს უშლის აფხაზეთში ინვესტიციების მოზიდვას.

ამასთან, თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ახლადარჩეული პრეზიდენტი მიუთითებს, რომ თბილისთან ურთიერთობების განვითარების მომხრეა და, ამ მხრივ, საწყის ეტაპად ჟენევაში დაგეგმილი, აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის სერგეი შამბასა და კონფლიქტების დარეგულირების საკითხში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის გოგა ხაინდრავას შეხვედრა მიაჩნია.

**“დასაწყისისთვის ეს მოხდება ჟენევაში,”** – დასძინა მან. **“პირველ რიგში, ეკონომიკური საკითხები უნდა მოვაგვაროთ, ხოლო ამის შემდეგ - პოლიტიკური.”**

ამასთან, ბაგაფში იმედს გამოთქვამს, რომ თბილისსა და სოხუმს შორის ურთიერთობის ყველა სამომავლო სცენარი სამშვიდობო ხასიათის მატარებელი იქნება.

რაც შეეხება ეკონომიკურ საკითხებს, ამ მხრივ, პრიორიტეტული სოხუმსა და სომხეთს შორის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენაა, რაც რუსეთის ფედერაციის ოფიციალურ პირებთან შეხვედრებზე განიხილებოდა.

**“ეს საკითხი პრობლემატურია, პირველ რიგში, პოლიტიკური კუთხით, რაც თავის მხრივ, საქართველოს უკავშირდება. ვფიქრობ, უპირველესი საკითხი უნდა იყოს ქვეყნის ეკონომიკური განვითარება. ჩვენთვის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ეს არის ინფრასტრუქტურა, შემოსავლები ბიუჯეტში და დამატებითი სამუშაო ადგილები,”** – აღნიშნა მან და დაამატა, რომ შეხვედრას აპირებს რუსეთის რკინიგზის ხელმძღვანელობასთან, რათა განხილულ იქნას ყველა პრობლემატური საკითხი.

ამას გარდა, მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტი აფხაზეთში უკვე დიდი ხნის წინ დაწყებულ კამპანიას – მოსახლეობისთვის რუსული პასპორტების დარიგებასაც შეეხო და განაცხადა, რომ რუსეთის პასპორტების დარიგება მომავალშიც გაგრძელდება.

**“აფხაზეთის ხელმძღვანელობის უმრავლესობა რუსეთის მოქალაქეა. თქვენი მონა-მორჩილიც რუსეთის ფედერაციის მოქალაქეა,”** – სიამაყით აღნიშნა მან. ამასთან, არ გამორიცხა ორმაგი, ქართულ-აფხაზური მოქალაქეობის მინიჭება გალის რაიონის მოსახლეობისათვის, თუმცა საკითხი შეთანხმებას საჭიროებს.

მოლაპარაკებათა თემაა ასევე გალის რაიონში დევნილთა დაბრუნება, და ბაგაფში იმედს გამოთქვამს, რომ ამ კუთხით საუბრები განახლდება.

აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება რუსეთს გუდაუთის ბაზაზე ანტიტერორისტული ცენტრის შექმნასაც სთავაზობს. **“ჩვენ მსგავსი ცენტრის შექმნისათვის ყველა საჭირო პირობა გვაქვს,”** – ამბობს ბაგაფში.

და კიდევ ერთი, სოხუმი, რუსეთის სამშვიდობო ძალების გარდა, აფხაზეთში სხვა ძალების შემოსვლას არ დაუშვებს.

**“რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო ძალების გარდა, სხვის შემოშვებას არ ვაპირებთ. თუ რუსული ძალები წავლენ და სხვები არ მოვლენ, ამ ადგილებზე ჩვენ თავად დავდგებით და ეს ვითარების გამწვავებას ნიშნავს,”** – აღნიშნა მან.

ამასთან, სერგეი ბაგაფში ოთხი არაღიარებული რესპუბლიკის - აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, ყარაბაღისა და დნესტრისპირეთის - ლიდერების შეხვედრის ინიციატივით გამოდის.

მსგავსი შეხვედრა, შესაძლოა, უახლოეს მომავალში მოსკოვში ან რუსეთის რომელიმე სამხრეთ რეგიონში გაიმართოს და განხილულ იქნას არაღიარებული რესპუბლიკების შემდგომი მოქმედების სტრატეგია.

**“ჩვენ ჩვენი პოზიციები უნდა შევაჯეროთ,”** – თქვა ბაგაფშმა და მიუთითა, რომ შეხვედრის გამართვის ინიციატივა, ძირითადად, გამოწვეულია დნესტრისპირეთსა და სამხრეთ ოსეთში არსებული ვითარებით.

ბაგაფში გასულ კვირას რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში "რუსეთის შემადგენლობაში ახალი სუბიექტების მიღების წესის გამარტივების" საკითხის ჩავარდნასაც შეეხო. **"სამწუხაროდ, ეს საკითხი რუსეთის დუმაში მოუმზადებლად გავიდა. როდესაც გავიგე, ვინ იყო ამ საკითხის წარმდგენელი, მივხვდი, რომ ის ჩავარდნისთვის იყო განწირული. ამგვარი საკითხები რუსეთის ხელისუფლებასთან შეთანხმებით, კარგად მომზადებული უნდა გადიოდეს დუმის სხდომებზე, რადგან მათი ჩავარდნით კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირების პროცესი საკმაოდ რთულდება,"** - დასძინა მან.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** 16-17 მარტს მოსკოვში, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოგვარებაზე მომუშავე შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარეების მორიგი შეხვედრა გაიმართება. ამის შესახებ გუშინ საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტის მოგვარების საკითხებში გიორგი ხაინდრავამ განაცხადა.

მისი ინფორმაციით, მოსკოვში დაგეგმილ შეხვედრაზე, რომელშიც რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვალერი ლოშჩინინიც მიიღებს მონაწილეობას, ქართული მხარე რუსულს 2004 წლის 5 ნოემბერს სოჭში მხარეებს შორის ხელმოწერილი შეთანხმების შესრულებას მოსთხოვს.

"დროა, რუსეთმა, როგორც შუამავალმა, აღებული ვალდებულებების შესრულებაზე იზრუნოს," - განაცხადა ხაინდრავამ, რომლის განმარტებით, სოჭში ხელმოწერილი შეთანხმება სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაციას და იქ ერთობლივი ეკონომიკური პროექტების განხორციელებას ითვალისწინებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ბათუმი.** ბათუმში დისლოცირებული, რუსეთის სამხედრო ბაზის გენშტაბის შენობასთან გუშინ კვლავ საპროტესტო აქცია გაიმართა. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და სტუდენტები რუსეთის სამხედრო ბაზის გაყვანას მოითხოვენ.

ამჯერად აქცია უფრო მასშტაბური იყო, მისი მონაწილეები კი - უფრო აქტიურები: ისინი შტაბის რკინის ჭიშკარს ხელებს უბრახუნებდნენ და ხმამაღლა სკანდირებდნენ: "წადით!" გარდა ამისა, სტუდენტებმა შტაბის შენობაზე წარწერები - "ქართველებო, რატომ მსახურობთ ოკუპანტების ჯარში?" - გააკეთეს.

ანალოგიური აქცია გენშტაბის შენობასთან ორ დღეში გაიმართება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საზოგადოებრივი მოძრაობა "წინ, საქართველოს" ლიდერებმა სახალხო დამცველის ოფისის ეზოში ინდაური გაუშვეს. ამ სიმბოლური ჟესტით ორგანიზაციის წარმომადგენლებმა საქართველოს სახალხო დამცველის სოზარ სუბარის საქმიანობა გააპროტესტეს და მას "სამარცხვინო" უწოდეს.

მათი განცხადებით, სახალხო დამცველი "ისევე ართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას და იცავს ადამიანის უფლებებს, როგორც ინდაური". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქობულეთი.** ელექტროენერგიის მოთხოვნით ქობულეთში საპროტესტო აქცია გაიმართა.

მოსახლეობამ რუსთაველის ქუჩა გადაკეტა და დენის 12-საათიანი გრაფიკით მიწოდება მოითხოვა. აქციის მონაწილეების თქმით, ავტონომიის მეთაურმა ლევან ვარშალომიძემ მათ 1 მარტიდან ელექტროენერგიის 24-საათიანი მიწოდება აღუთქვა, თუმცა მდგომარეობა, გაუმჯობესების ნაცვლად, გაუარესდა. **მედია-ნიუსი**




მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

## ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო „მწვანე ტალღის" ეთერში **FM 107.4** ყოველ სამშაბათს და შაბათს 11-დან 12 საათამდე უსმინეთ გადაცემას დღეის სასამართლო. გაასამართლეთ სხვადასხვა მოვლენები, ისტორიული პირები და ლიტერატურული პერსონაჟები. გამოიტანეთ თქვენი ვერდიქტი, რადგანაც 12 ნაფიცი მსაჯული იქნებით თქვენ.

"ქართლის დედის" სასამართლო პროცესი

ბრალდებული: „ქართლის დედა"
მომრიგებელი მოსამართლე მისი აღმატებულება: გაგა გაბრიჩიძე



ბრალმდებელი: დავით ანდრიაძე, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი: "თავის დროზე „ქართლის დედის" ხმალ-ფიალით ლენინის თავს ემუქრებოდა. დღეს ეს ხმალი უფუნქციოდაა და არავის აღარ ემუქრება. ქართლის დედა იყო პერიოდული სიმბოლო, რომელიც ავტორმა ნებით, თუ უნებლიედ ეროვნულ სიმბოლოდ შეცვალა. მთავარი ისაა, რომ ყველა მოითხოვს - ქართლის დედა უნდა იდგეს დაიდგეს...

ადვოკატი: შოთა ბოსტანაშვილი, არქიტექტურის საერთაშორისო აკადემიის პროფესორი: ხელოვნების ნაწარმი შედგება ძირითადი გეგმისა და "დამატებებისაგან". მე ამ პოსტ-სტრუქტურალისტური "დამატებების" სიღრმეში ვრჩები, რადგან ხელოვნების ნაწარმოების აღქმის სიღრმე ფართოვდება. ბუნებრივია, ადვოკატის როლში ის პლუს ნიშნით გაფართოვდა, რომ ვყოფილიყავი პროკურორის როლში, ის ჩემთვის მინუს ნიშნით გაფართოვდებოდა. თუკი ჩვენი დღევანდელი პროცესი ამ თამაშების და იმპროვიზაციის საშუალებას გვაძლევდა, ის გადის და ხელახლა შემოდისამარხება და აღსდგება კულტურის სიღრმეში.

კითხვა ნაფიცი მსაჯულებისადმი:
საჭიროა, თუ არა თბილისში იყოს "ქართლის დედა"

ვერდიქტი
12 ნაფიცი მსაჯულის გადაწყვეტილებით (10 ხმა 2-ის წინააღმდეგ) „ქართლის დედას" ბრალდება მოეხსნა

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. ნინო კობახიძე | იყოს | 7. ხუცა ირემაშვილი | იყოს |
| 2. ვალერი ვეკნიძე | იყოს | 8. რობერტ ურუშაძე | იყოს |
| 3. ქეთევანი | იყოს | 9. თეონა ფურაძე | არ იყოს |
| 4. თამარი | იყოს | 10. ლელა გონჯილაშვილი | არ იყოს |
| 5. დათო გორდელიანი | იყოს | 11. ირმა | იყოს |
| 6. ნათია კობახიძე | იყოს | 12 თბილისელი | იყოს |

The British Airways Sale.
FROM $420
LONDON HEATHROW RETURN
NOW 3 FLIGHTS A WEEK
To book, call us on (32) 940 719/20 or see a travel agent.
BRITISH AIRWAYS
Fare quoted is for a return economy flight departing from Tbilisi and excludes all taxes, fees and charges correct as at 08/03/05. Flights must be booked on or before 05/04/05 and outbound travel completed on or before 30/06/05. Fares are subject to availability and are non-refundable. Please call for full terms and conditions. Services operated by BMED.


## მიიღეთ მონაწილეობა გაზეთ "24 საათის" და მისი პარტნიორი ავიაკომპანია "ბრითიშ ეარვეისის" ვიქტორინაში და მოიგეთ ორი ბილეთი ლონდონის მიმართულებით!

ვიქტორინა დაიწყება 21 მარტს და სამი კვირის განმავლობაში გაგრძელდება. ლატარია-ვიქტორინაში მონაწილეობის მსურველებმა სწორად უნდა გასცენ პასუხები ვიქტორინაში დასმულ შეკითხვებს. ლატარიის გათამაშება გაიმართება 15 აპრილს, სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში". მოგებული დაჯილდოვდება "ბრითიშ ეარვეისის" თბილისი-ლონდონი-თბილისის რეისის ორი ბილეთით.

გაზეთ "24 საათის" და "ბრითიშ ეარვეისის" თანამშრომლები ან მათი ოჯახის წევრები ვიქტორინაში და ლატარიაში მონაწილეობის მისაღებად არ დაიშვებიან. უფრო დაწვრილებით ინფორმაციას და საკონკურსო შეკითხვებს "24 საათი" 21 მარტიდან შემოგთავაზებთ.

# ნატო "დაზვერვაზე" ჩეხებს აგზავნის



შეხვედრა ნინო ბურჯანაძესთან.

პირველი გვერდიდან

თავის მხრივ, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე საერთაშორისო თანამეგობრობას დახმარებას სთხოვს ეუთო-ს სტამბოლის სამიტის გადაწყვეტილებების რეალიზებაში, რაც საქართველოდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანასაც გულისხმობს.

**"სტამბოლის სამიტზე გაფორმდა ადაპტირებული შეთანხმება, რომელიც ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირებას გულისხმობს და საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სამხედრო ბაზების ლიკვიდირებას ითვალისწინებს. ჩვენი პარლამენტი მანამდე არ მოახდენს მის რატიფიცირებას, ვიდრე შეთანხმება არ შესრულდება,"** - აცხადებს საქართველოს პარლამენტის სპიკერი.

ჩეხეთის დელეგაციამ შეხვედრები საპარლამენტო კომიტეტებსა და ფრაქციებთანაც გამართა.

**"ოფიციალურ პრაღას შეუძლია, დიდი როლი ითამაშოს ევროსტრუქტურებთან საქართველოს ინტეგრირების პროცესში. რადგან ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანება მისი წევრი ქვეყნების მხრიდან სრულ კონსენსუსს მოითხოვს, ამდენად, ჩეხეთის პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის დელეგაციის ვიზიტი მნიშვნელოვანია როგორც ორმხრივი ურთიერთობების გაღრმავების თვალსაზრისით, ისე ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში "სიტყვის წაშველების" კუთხითაც,"** - აცხადებს საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე.

მისი თქმით, IPAP-ის შესრულების საკითხში ჩავარდნები, ჯერჯერობით, არ არის. თუმცა, დეპუტატი აღიარებს, რომ "გარკვეული პრობლემები" მაინც არსებობს. ამ პრობლემების დაკონკრეტებისგან დავით ბაქრაძე თავს იკავებს.

**"ეს არ არის პოლიტიკური ნების პრობლემა, იგი, ძირითადად, IPAP-ის შესრულებას უკავშირდება და მისი გამოსწორება შესაძლებელია,"** - აღნიშნავს საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე.

ერთ-ერთი სტანდარტი, რომელიც ნატო-ს "სიხშირეზე გასვლას" სჭირდება, ქვეყნის თავდაცვის უწყებისთვის მთლიანი შიდა პროდუქტის, მინიმუმ, ორი პროცენტის ოდენობის თანხის გამოყოფას გულისხმობს. დავით ბაქრაძის თქმით, ამ ზღვარზე საქართველო მას შემდეგ გავა, როდესაც თავდაცვის სამინისტრო დამატებით მიიღებს პრივატიზაციიდან შემოსულ სახსრებს. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს საკითხი მთავრობაში ბოლომდე გადაწყვეტილი არ არის.

ამიტომ, თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარეს გივი თარგამაძეს აუცილებლად მიაჩნია, რომ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება შეიარაღებული ძალების დაფინანსების "ზღვრულ დაბალ დონეზე" დროულად შეთანხმდნენ.

**"თუ მთავრობას მიაჩნია, რომ სამხედრო სფეროს დაფინანსების სერიოზული ზრდა ქვეყნის ბიუჯეტისთვის ტრაგიკული შედეგებით შეიძლება დასრულდეს, მაშინ ზღვრული ოდენობის ნატოსთვის მისაღები სხვა ფორმა უნდა მოიძებნოს,"** - მიიჩნევს გივი თარგამაძე, რომელიც ჩეხ პარლამენტარებს დახურულ კარს მიღმა შეხვდა.

სტუმრები გუშინ "მემარჯვენე ოპოზიციის" საპარლამენტო ფრაქციის წევრებსაც ესაუბრნენ.

ფრაქციის ლიდერის დავით გამყრელიძის მტკიცებით, **"ჩეხი დეპუტატები ძალიან გაოცდნენ, როდესაც შეიტყვეს, რომ საქართველოს პარლამენტში ოპოზიცია საკმაოდ უუფლებოა, რადგან არც კომიტეტების თავმჯდომარეების დონეზე და არც პარლამენტის სპიკერატში წარმოდგენილი არ არის."**

საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან გამართული შეხვედრების დროს იან ვიძინმა ერთ გარემოებაზეც გაამახვილა ყურადღება: ვინაიდან ნატო-ს სტრუქტურებში სხვადასხვა ქვეყნების წარმომადგენლები მუშაობენ, ალიანსის ხელმძღვანელობა მაქსიმალურად ფრთხილობს, რომ საიდუმლო ინფორმაციამ არ გაჟონოს. ამ მიზნით, მათ, ვისაც საიდუმლო დოკუმენტაციასთან შეხება აქვს, ე.წ. "უსაფრთხოების შემოწმება" უტარდებათ. ჩეხეთის წარმომადგენელი საქართველოს ხელისუფლებას ურჩევს, ეს პრაქტიკა მანაც დანერგოს.

საქართველოს პარლამენტში შეხვედრების გარდა, ჩეხეთის დელეგაციამ ამ დღეებში მოლაპარაკებები სხვა სახელისუფლებო სტრუქტურების წარმომადგენლებთანაც გამართა. სტუმრები შეხვდნენ საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს კოტე ქავთარაძეს, უშიშროების საბჭოს მდივანს გელა ბეჟუაშვილს და თავდაცვის მინისტრის მოადგილეს დავით სიხარულიძეს.

თბილისში ხუთდღიანი ვიზიტის დამთავრების შემდეგ, ჩეხი პარლამენტარები აზერბაიჯანში გაემგზავრებიან.

## ცენტრალური საცნობარო ლაბორატორიის საჯარო მოსმენა

2005 წლის 18 მარტს, 12 საათზე, სასტუმრო "მარიოტ-თბილისის" დიდ სააქტო დარბაზში (რუსთაველის გამზირი №13) შედგება საქართველოში ალექსეევკის სამხედრო ბაზაზე (ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რ-ნი) ცენტრალური საცნობარო ლაბორატორიის (ცსლ) პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი განხილა.

ცსლ მშენებლობის პროექტი წარმოადგენს საქართველოს და აშშ-ს მთავრობათა თანამშრომლობის შედეგს. ცსლ-ის შექმნის მიზანს წარმოადგენს ეპიდემიოლოგიის და ჯანდაცვის სფეროში გამოკვლევებისა და დიაგნოსტიკის ახალი საერთაშორისო სტანდარტების შესატყვისი ტექნოლოგიების გამოყენება.

**დასწრება თავისუფალია**


საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

საუბრობთ საზღვარგარეთ?

თუ თქვენ სარგებლობთ საერთაშორისო კოდით 8-10
მაშინ თქვენ გელით სიურპრიზი...
საქართველოს ტელეკომი აცხადებს ყოველთვიურ კონკურსს
"თვის ნომინანტები" და გამოავლენს ყველაზე აქტიურ და ერთგულ მომხმარებლებს.
გამარჯვებულები ყოველთვიურად დაჯილდოვდებიან უფასო სალაპარაკო დროით და სპეციალური პრიზებით.

ესაუბრეთ მსოფლიოს, გადაიხადეთ დროულად, დაელოდეთ ჩვენს ზარს და, რაც მთავარია, უამრავ სიურპრიზს!

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 44 18 10 www.telecom.ge


## საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო ა ც ხ ა დ ე ბ ს  კ ო ნ კ უ რ ს ს
### სალიტერატურო პერიოდიკის გამოცემათა ხელშეწყობაზე

**კონკურსის საფუძველი:**
კონკურსის საფუძველია საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს 2005 წლის წიგნისა და ლიტერატურის სახელმწიფო პროგრამის სალიტერატურო პერიოდიკის გამოცემის ხელშეწყობის პრიორიტეტული მიმართულება.

**კონკურსის მიზანი:**
კონკურსის მიზანია, ხელი შეუწყოს სალიტერატურო პერიოდიკის გამოცემას და დააფინანსოს ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული ავტორების ჰონორარები 2005 წლის ბოლომდე.

**კონკურსის პირობები**:
კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოში გამომავალ ნებისმიერ სალიტერატურო პერიოდულ ორგანოს (ჟურნალი, გაზეთი), ლიტერატურული და საგამომცემლო მოღვაწეობით დაკავებულ კერძო და იურიდიულ პირებს, საინიციატივო ჯგუფებს.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ უნდა იქნეს ჟურნალის (გაზეთის) გამოცემის გეგმა 2005 წლის ბოლომდე, პერიოდულობისა და მასალის მოცულობის მითითებით. საავტორო ჰონორარები დაფინანსდება მაქსიმუმ 200 ლარის ოდენობით 1 საავტორო ფორმაზე (40 000 ასო-ნიშანი). აგრეთვე დაფინანსდება სარედაქციო ხარჯების ნაწილი - ნომრის მთლიანი საჰონორარო თანხის 30% ოდენობით. თანხები გაიცემა ყოველი ნომრის გამოსვლის შემდეგ.

კონკურსზე წარმოდგენილი პროექტები შედგენილი უნდა იყოს სამინისტროს მიერ წინასწარ შემუშავებული საგანაცხადო ფორმის მიხედვით.

პრიორიტეტი მიენიჭება პროექტებს, რომლებსაც გააჩნია თანადაფინანსების წყარო.

**პროექტის სამინისტროში განსახილველად წარდგენის უკანასკნელი ვადაა 2005 წლის 31 მარტი**

ჯგუფური კონსულტაციები ჩატარდება ყოველ ოთხშაბათს 12სთ-ზე, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ხელოვნების დეპარტამენტში

მისამართი: თბილისი, სანაპიროს ქ. N4
საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო
ხელოვნების დეპარტამენტი
ტელ. 99 03 06

# საქართველოს რკინიგზის ერთი წელი

## საწარმოს გენერალური დირექტორი ანგარიშს აბარებს










*შპს "საქართველოს რკინიგზის" ხელმძღვანელობა უკანასკნელ ერთ წელიწადში მიღწეულით ამაყობს და 2005 წელზე დიდ იმედებს ამყარებს. გუშინ საწარმოს გენერალურმა დირექტორმა ჟურნალისტებს გასული წლის 12 და 2005 წლის პირველი ორი თვის ანგარიში ჩააბარა.*

ეთერ მამულაშვილი

თუკი შპს "საქართველოს რკინიგზის" მიერ მოწოდებულ ინფორმაციას ვენდობით, შეიძლება ითქვას, რომ გასული ერთი წელი საწარმოსთვის, ძირითადად, ძველი დავალიანების გასტუმრებას დაეთმო.

ასეთი კი რკინიგზას, 2000 წლიდან მოყოლებული, 18 მილიონ შვეიცარიულ ფრანკზე მეტი დაუგროვდა. შარშან ეს ვალი საწარმომ 11 მილიონამდე შეამცირა, ხოლო მიმდინარე წლის პირველ ორ თვეში რკინიგზის საგარეო ვალდებულება კიდევ 600 ათასი ფრანკით შემცირდა.

გასულ წელს მევალეებს შორის იყო უზბეკეთი და უკრაინა, თუმცა დღევანდელი მონაცემებით, ამ უკანასკნელს საქართველოს რკინიგზის 11 ათასი, ხოლო უზბეკეთს - 7 ათასი შვეიცარიული ფრანკი მართებთ.

საქართველოს რკინიგზის 2004 წლის 12 თვის შედეგებზე "24 საათი" რამდენიმე კვირის წინ დეტალურად წერდა, ამიტომ დღეს მხოლოდ მიმდინარე წლის მაჩვენებლებზე შევჩერდებით.

რკინიგზაზე გადაზიდული ტვირთების მოცულობა, 2005 წლის პირველ ორ თვეში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა. მეტიც, როგორც დავით ონოფრიშვილი ამბობს, ბოლო ათი წლის განმავლობაში, თებერვლის თვეში გადაზიდული ნედლი ნავთობის რაოდენობა ყველაზე მაღალი იყო – 397 ათას 619 ტონა. გასული წლის იანვარ-თებერვალთან შედარებით თითქმის 100 ათასი ტონით გაიზარდა საქართველოს რკინიგზით გადაზიდული მშრალი ტვირთების რაოდენობაც. თუკი შარშან, პირველ ორ თვეში მშრალი ტვირთები 880 ათას ტონას აღწევდა, 2005 წლის შესაბამის პერიოდში 977 ათას ტონაზე მეტი დაფიქსირდა.

კიდევ ერთი, რითაც რკინიგზის გენერალური დირექტორი ამაყობს – გაზრდილი სახელფასო ფონდია. დავით ონოფრიშვილის თქმით, საწარმოში 2005 წლიდან მინიმალური ხელფასი 28 პროცენტით, ხოლო საშუალო - 17 პროცენტით გაიზარდა.

უკვე ცნობილია საწარმოს შარშანდელი წმინდა მოგება - 41 მილიონი ლარი, თუმცა ჯერჯერობით გაურკვეველია, რამდენს მიიღებს აქედან ბიუჯეტი დივიდენდის სახით. საწარმოს კომერციული დირექტორის აჩიკო კონცელიძის თქმით, ეს, შარშანდელთან შედარებით, ბევრად ნაკლები უნდა იყოს. 2004 წლის ბიუჯეტში რკინიგზამ დივიდენდის სახით 7 მილიონი ლარი ჩარიცხა.

დავით ონოფრიშვილის თქმით, უკვე მომზადდა საქართველოს რკინიგზის ბიუჯეტი, რომელიც საწარმომ დასამტკიცებლად ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ამ ცოტა ხნის წინათ წარუდგინა. გენერალური დირექტორის ინფორმაციით, რკინიგზის 2005 წლის ბიუჯეტი დაბალანსებულია და მისი შემოსავლები, ისევე როგორც ხარჯები, 260 მილიონ ლარს აღწევს.

უკვე რამდენიმე თვეა, საწარმოში ინვენტარიზაციის პროცესი გრძელდება და როგორც რკინიგზის ხელმძღვანელები ამბობენ, ის წლის ბოლომდე აუცილებლად დასრულდება. ამ დროისთვის საქართველოს რკინიგზა 400 მილიონ ლარად არის შეფასებული, რაც, გენერალური დირქეტორის თქმით, **"სრული აბსურდია, საქართველოს რკინიგზა ბევრად მეტი ღირს."** რკინიგზის ბალანსზე მყოფი ობიექტების უმრავლესობა რკინიგზისთვის არაპროფილურია.

გუშინ დავით ონოფრიშვილმა კიდევ ერთხელ გააჟღერა საწარმოს პოზიცია რკინიგზის ბალანსზე მყოფ არაპროფილურ ობიექტებთან დაკავშირებით. მისი თქმით, ასეთი ტიპის ობიექტები რკინიგზას დღეს არაფერში არ სჭირდება, და ინვენტარიზაციის დასრულების შემდეგ მათი რეალიზაცია აუცილებლად მოხდება.

გარდა ამისა, "საქართველოს რკინიგზა" ლოკომოტივის სტადიონის პრივატიზებასაც გეგმავს. **"იმ შემთხვევაში, თუ ბიზნესმენთა ჯგუფი "ლოკომოტივის" სტადიონში 20 მილიონ დოლარს გადაიხდის, ანუ ის, რაც მის მშენებლობაზე დაიხარჯა, ჩვენ მზად ვართ, ამ ბიზნეს-ჯგუფს სტადიონი მივყიდოთ, თუმცა ამ პერიოდში დაინტერესება ჯერჯერობით არც ერთ ბიზნეს-ჯგუფს არ გამოუთქვამს,"** - აღნიშნა დავით ონოფრიშვილმა.

მისივე თქმით, ამ 20 მილიონში არ შედის მიწის ღირებულება, რადგან ის მუნიციპალიტეტის საკუთრებაა. 11 ათას ჰექტარს აღწევს იმ მიწის ფართობი, რომელზეც ლოკომოტივის სტადიონია დამაგრებული და რომლის შენახვა რკინიგზას წელიწადში რამდენიმე ასეულ ათასი ლარი უჯდება.

# დიდი პრივატიზაცია - რაუნდი მეორე

*დიდი პრივატიზაცია საქართველოში, ერთი შეხედვით, საკმაოდ დიდი ხმაურით მიმდინარეობს. თუმცა, სწორედ ამ ხმაურმა გამოამჟღავნა ის, რომ პროცესი გამჭვირვალობისგან საკმაოდ შორს გახლდათ და გადაწყვეტილებებმაც, რომელიც იგივე "ჭიათურმანგანუმსა" და "საოკეანო სანაოსნოსთან" დაკავშირებით იყო მიღებული, ძალიან ბევრი ეჭვი და კითხვის ნიშანი დაბადა. დღეს ხელისუფლება "გამჭვირვალე" სახის შენარჩუნებას განსაკუთრებულად ცდილობს და მას შემდეგ, რაც პარლამენტმა შესაბამისი კანონით განსაზღვრა, რომ ინფორმაცია საპრივატიზაციო ტენდერების შესახებ "ცოცხალ" გაზეთებში უნდა დაიბეჭდოს, ეკონომიკის სამინისტროს განცხადებები უკვე ქართულ პრესაშიც ჩნდება - გუშინ საქართველოს მთავრობამ განზრახვა ხუთი უმსხვილესი ობიექტის პრივატიზების შესახებ პრესაში გამოამჟღავნა. ორ დღეში აღნიშნული განცხადება ბრიტანულ გაზეთ "ფაინენშლ თაიმსში" გამოქვეყნდება.*

თამარ ხორბალაძე

საქართველოს მთავრობა "რუსთავის მეტალურგიულ კომბინატს", "აზოტს", "ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანას", "ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანას" და "ბათუმის ნავთობბაზას" ყიდის.

"რუსთავის მეტალურგიული კომბინატის" საწესდებო კაპიტალი 124 314 689 აშშ დოლარია, მიწის ფართი – 497 ჰა, წარმოებული პროდუქცია - მილნამზადიდან სხვადასხვა სახის ლითონის უნაკერო მილების დამზადება, აგრეთვე, არმატურის წარმოება.

სს "აზოტის" საწესდებო კაპიტალი 27 755 160 აშშ დოლარს შეადგენს, მიწის ფართი - 196 ჰა, წარმოებული პროდუქცია - ამონიუმის გვარჯილა, ამონიუმის სულფატი, ციანმარილები, კაპროლაქტამი, ამიაკი, მშრალი ყინული, კოსმეტიკური პროდუქცია.

სს "ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის" (იყიდება აქციების 51 პროცენტი) საწესდებო კაპიტალი 6 875 940 აშშ დოლარია, მიწის ფართი - 22 ჰა, საქმიანობა -სამგზავრო და სატვირთო ვაგონების შეკეთება და დამზადება.

"ბათუმის ნავთობბაზაში" იყიდება 17 რეზერვუარი საერთო მოცულობით 16 000 კუბ. მეტრი, მიწის ფართი 37 300 კვ.მ რკინიგზითა და ჩამოსასხმელი ესტაკადით.

"ბათუმის ნავთობგადამამუშავებელ ქარხანაში" იყიდება სარეზერვუარო პარკი "ბარცხანა" 26 რეზერვუარით საერთო მოცულობით 126 000 კუბ.მეტრი, მიწის ფართი 18,8 ჰა, სარეზერვუარო პარკი "სამება სერვისი" (35 პროცენტი) 20 რეზერვუარით, საერთო მოცულობით 35 000 კუბ.მეტრი და მიწის ფართით 9,8 ჰა.

როგორც ეკონომიკური განვითარების სამინისტროში აცხადებენ, კომპანიებით დაინტერესებულმა ინვესტორებმა უნდა განსაზღვრონ თავიანთი ინტერესი და 2 მაისის 18.00 საათამდე წერილობითი სახით წარადგინონ ეკონომიკის სამინისტროში. **"ინტერესის გამოხატვის გამოცხადება ეკონომიკის სამინისტროს არ ავალდებულებს, შესყიდვებით დაინტერესებულ ნებისმიერ მხარეს ნებისმიერი წილი, აქცია ან აქტივი მიყიდოს,"** - განაცხადეს სამინისტროში.

ეს ობიექტები, პრაქტიკულად, საქართველოს სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილ არცთუ დიდი ოდენობით მსხვილ ობიექტთა იმ ნუსხაში შედის, რომელთა გაყიდვასა და შემდგომ ბედზე არა მხოლოდ ერთი წარმოების, არამედ - ქვეყნის ბიუჯეტის და ქალაქების ბედიც არის დამოკიდებული.

ბოლო დღეებმა აჩვენა, რომ "მაღალ ფასში" გაყიდვა ამ ობიექტებთან მიბმულ სოციალურ პრობლემებს მომენტალურად ვერ წყვეტს. ამის მაგალითი გახლდათ თუნდაც "ჭიათურმანგანუმში" ამ დღეებში განვითარებული მოვლენები.

უკვე განხორციელებულმა პრივატიზაციის პროცესმა ისიც აჩვენა, რომ მხოლოდ ხმაურიანი პრესკონფერენციები და სატენდერო კომისიის, შოუდ ქცეული სხდომები სულაც არ გახლავთ იმის გარანტია, რომ პრივატიზაცია მართლაც გამჭვირვალედ და სამართლიანობის პრინციპების დაცვით წარიმართება.

ვერ გეტყვით, დააფრთხო თუ არა უკვე განხორციელებულმა პროცესმა პოტენციური სერიოზული ინვესტორები, რომელთაც, საქართველოში არსებული ტენდენციის შესაბამისად, სრული შანსი აქვთ, რომ ოფშორში ორი დღის წინ დაფუძნებულ კომპანიასთან ბრძოლაში დამარცხდნენ.

რამდენად დიდი და სერიოზულია ინტერესი ზემოთ აღნიშნული ობიექტების მიმართ, უახლოესი მომავალი გვიჩვენებს. პოტენციურ ინვესტორებს"ინტერესის გამოსახატავად" დრო ორ თვემდე აქვთ მიცემული. მანამდე კი ერთის თქმა უდავოდ შეიძლება - ახალ მეპატრონეთა აბსოლუტური თუ არა, დამთრგუნველი უმრავლესობა მაინც, სავარაუდოდ, რუსული ბიზნესის წარმომადგენლები იქნებიან - ამაზე დღემდე ამ ობიექტების ირგვლივ დატრიალებული ისტორიები და გამოკვეთილი ინტერესებიც მოწმობს. მათზე "24 საათი" დაწვრილებით უახლოეს პერიოდში კიდევ შეჩერდება.

# ნავთობპროდუქტების სფეროს ლიცენზირების ახალი კანონი დაარეგულირებს

*გუშინ, ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა, მწარმოებელთა და მომხმარებელთა კავშირის ინიციატივით, სასტუმრო "თბილისი მარიოტში" "ნავთობპროდუქტებისა და თამბაქოს სფეროში ლიცენზირების გაცემის შესახებ" კანონპროექტზე იმსჯელეს. ერთადერთ დადებით ფაქტად კონფერენციის ინიციატორები თვით კანონპროექტის მიღების გადაწყვეტილებას ასახელებენ, სხვა მხრივ, შენიშვნები ბევრია.*



*საპარლამენტო განხილვებამდე დოკუმენტი ბიზნეს-წრეების წარმომადგენლებმა განიხილეს.*

"ნავთობპროდუქტებისა და თამბაქოს სფეროში ლიცენზირების გაცემის შესახებ" კანონპროექტი უკვე შევიდა პარლამენტში, თუმცა კანონპროექტის საპარლამენტო განხილვებამდე დოკუმენტი ნავთობპროდუქტების იმპორტიორთა, მწარმოებელთა და მომხმარებელთა კავშირის, ბიზნესმენთა ფედერაციის წარმომადგენლებმა, პარლამენტარებმა და ამ სფეროში მოღვაწე მწარმოებლებმა განიხილეს.

როგორც კავშირის თავმჯდომარემ ვანო მთვრალაშვილმა განაცხადა, ისინი ერთმნიშვნელოვნად უჭერენ მხარს კანონპროექტს, თუმცა აქვთ შენიშვნებიც. მათი აზრით, კანონპროექტის მიღებით ბევრი ისეთი საკითხი დარეგულირდება, როგორიცაა კონტრაბანდის პრობლემა, ადმინისტრირების გაუმჯობესება და სხვა. თუმცა, მათივე თქმით, ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ კანონს მიიღებს პარლამენტი: **"კანონს, რომელიც ხელს შეუწყობს სამეწარმეო საქმიანობის განვითარებას, თუ კანონს, რომელიც ბაზარზე დატოვებს ხელოვნურად შექმნილ ერთ ან ორ მონოპოლისტს და ამით მეწარმეებს კონტრაბანდული საქმიანობისკენ უბიძგებს. რეალურად, კანონი ლიცენზირების შესახებ ხელს უნდა უწყობდეს მეწარმეს, რათა მან ლეგალურ რეჟიმში იმუშაოს და ხელი შეუწყოს ბაზარზე კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნას,"** - აღნიშნა ვანო მთვრალაშვილმა.

გუშინდელ შეხვედრაზე, ბიზნესმენთა ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი ისაკაძემ ნავთობპროდუქტებისა და თამბაქოს სექტორში დასაქმებულ ბიზნესმენებს მეტი აქტიურობისკენ მოუწოდა. **"ნავთობპროდუქტების ბიზნესით დაკავებული არასდროს ვყოფილვარ და დეტალები არ ვიცი. ამიტომ, კანონპროექტში გათვალისწინებულ პირობებთან დაკავშირებით პოზიცია თავად ბიზნესმენებმა უნდა დააფიქსირონ, რადგან ვერც ერთი ასოციაცია მათ პრობლემას ვერ მოაგვარებს,"** - აღნიშნა ბიზნესმენთა ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა. მისივე თქმით, ბიზნესმენები საკუთარი ინერტულობით ხელისუფლებას დათვურ სამსახურს გაუწევენ, რადგან ხელისუფლება მათგან სერიოზულ და რაიცონალურ შენიშვნებს ელოდება.

გუშინდელ შეხვედრაზე გადაწყდა, რომ დღეს ბიზნესმენთა ფედერაციაში აღნიშნულ კანონპროექტთან დაკავშირებით უფრო ფართო შეხვედრა გაიმართება, სადაც მონაწილეობას ნავთობპროდუქტების მწარმოებლებთან, იმპორტიორებთან და მომხმარებლებთან ერთად, თამბაქოს სექტორში დასაქმებული ბიზნესმენებიც მიიღებენ.

*24 საათი*

# ფინანსთა სამინისტრო "ადგილებზე გასვლას" იწყებს

გუშინ რუსთავში საქართველოს ფინანსთა მინისტრი ვალერი ჩეჩელაშვილი იმყოფებოდა. მინისტრმა რეგიონებში ვიზიტი სწორედ რუსთავიდან დაიწყო.

ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე ჩეჩელაშვილი პრეზიდენტის რწმუნებულთან ზურაბ მელიქიშვილთან, რაიონების გამგებლებთან და საგადასახადოების უფროსებთან, დაახლოებით სამი საათის განმავლობაში, დახურულ კარს მიღმა თათბირობდა.

შეხვედრის დასასრულს ვალერი ჩეჩელაშვილმა ქვემო ქართლში საგადასახადო შემოსავლების კუთხით არსებული ვითარება დადებითად შეაფასა.

**"ჩვენ ბიუჯეტის შესრულება, საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილი რაიონულ ჭრილში განვიხილეთ, საერთო სურათი ქვემო ქართლში კარგია,"** - განაცხადა ფინანსთა მინისტრმა. აღსანიშნავია, რომ რუსთავის საოლქო საგადასახადო ინსპექციის უფროსი რამდენიმე კვირის წინ შეიცვალა და ამ პოსტზე მალხაზ ვეფხვაძე დაინიშნა. ჩეჩელაშვილის მტკიცებით, ძველი ხელმძღვანელობა ცუდად მუშაობდა, ახალი კი გაცილებით უკეთესად საქმიანობს. სხვა სერიოზული საკადრო ცვლილებების გატარებას ის, ჯერჯერობით, არ აპირებს.

ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულის ზურაბ მელიქიშვილის განცხადებით, მიმდინარე წელი საგადასახადო შემოსავლების კუთხით უფრო წარმატებული იქნება. **"იმ პოტენციალიდან გამომდინარე, რაც ქვემო ქართლის რეგიონს აქვს, შემოსავლებიც გაიზრდება,"** - აღნიშნა მან.

თუ გავითვალისწინებთ, რომ უახლოეს პერიოდში საქართველოს ხელისუფლება რუსთავის მეტალურგიულ კომბინატსა და აზოტში ინვესტორების შემოყვანას გეგმავს, წლის მეორე ნახევარში, სახელისუფლებო ლოგიკიდან გამომდინარე, რუსთავში მართლაც "განსაკუთრებული ეკონომიკური ზრდა" არის მოსალოდნელი.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, 15 მარტს, პარლამენტში სავალუტო ფონდის მისიის ხელმძღვანელს საქართველოში რობერტ კრისტიანსენს შეხვდა. შეხვედრა დახურულ კარს მიღმა თითქმის ერთი საათი გაგრძელდა. "მთავრობა პარლამენტში შემოდის გაზრდილი ბიუჯეტის პროექტით და სავალუტო ფონდს ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი მოსაზრებები აქვს. ფონდის წარმომადგენელმა ეს მოსაზრებები გაგვიზიარა და ჩვენ მასზე ვიმსჯელებთ," - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ შეხვედრის დასრულების შემდეგ, თუმცა არ დაუკონკრეტებია, რა მოსაზრებებზე იყო საუბარი. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის განვითარების სტრატეგიის მომზადებას საერთაშორისო ორგანიზაციები - ქალაქების ალიანსი, მსოფლიო ბანკი და აშშ საერთაშორიოს განვითარების სააგენტო დააფინანსებენ. ეს საკითხი თბილისის მერის ზურაბ ჭიაბერაშვილის 7-12 მარტს ვაშინგტონში ვიზიტისას გადაწყდა. თბილისის მერმა მონაწილეობა მიიღო მსოფლიო ბანკის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში "ურბანული ფორუმი-2005 - ქალაქების და მათი განვითარების დღის წესრიგი". **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსი ნიკა გეგუჩაძე სამუშაო ვიზიტით სტრასბურგში გაემგზავრა. იგი მონაწილეობას მიიღებს ევროსაბჭოს ფულის გათეთრების საწინააღმდეგო რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის სხდომაში. როგორც "მედიანიუსს" ნიკა გეგუჩაძემ განუცხადა, ისინი ფულის გათეთრების საწინააღმდეგო ახალ რეკომენდაციებსა და, ამ კუთხით, ქვეყნების მდგომარეობის შეფასების ახალ კრიტერიუმებზე იმსჯელებენ. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ეროვნული ბანკის მმართველთა საბჭოს წევრობის კანდიდატურების წარდგენას პარლამენტში მომავალ კვირას ელიან. როგორც პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ რომან გოცირიძემ განაცხადა, კანდიდატურებზე, თავდაპირველად, საპარლამენტო კომიტეტები იმსჯელებენ. რომან გოცირიძე გამორიცხავს ეროვნული ბანკის ამჟამინდელი მმართველთა საბჭოს წევრებისთვის უფლებამოსილების გაგრძელების საკითხის დასმას. მისი თქმით, საბჭოს ახალი წევრების დამტკიცება ძველის ვადის ამოწურვამდე მოესწრება.

პროცედურით საკანონმდებლო ორგანო ბანკის მმართველი საბჭოს ცხრა წევრს ამტკიცებს, საიდანაც დასახელდება ეროვნული ბანკის პრეზიდენტის კანდიდატურა, რომელსაც ქვეყნის პრეზიდენტი დაამტკიცებს. **მედია-ნიუსი**



# სახანძრო და ტექნიკური უსაფრთხოების ტექნიკოსი

შპს "ბპ ექსპლორეიშნ (კასპიან სი)"- საქართველო სუფსის ტერმინალზე სამუშაოდ ეძებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირს სახანძრო და ტექნიკური უსაფრთხოების ტექნიკოსის თანამდებობაზე.

**სამუშაოს აღწერა**
**სამუშაოს მდებარეობა** - სუფსის ტერმინალი

სახანძრო და ტექნიკური უსაფრთხოების ტექნიკოსის პასუხისმგებლობის სფეროში შედის ტექნიკური უსაფრთხოების აღჭურვილობის სრულფასოვანი და გამართული მუშაობის უზრუნველყოფა. მოცემული აღჭურვილობის გეგმიური შემოწმება და მომსახურების დროული განხორციელება. აღნიშნულ თანამდებობაზე მიღებულ პირს ევალება სუფსის ტერმინალზე მომუშავეთათვის ტექნიკური უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული სასწავლო კურსების ჩატარება, რაც მოიცავს შემდეგი საკითხების სწავლებებს: სამუშაოთა ჩატარების ნებართვები, გაზის ტესტირება, ხანძარსაწინააღმდეგო მოქმედებები.

**მოვალეობები და პასუხისმგებლობები**

სამუშაოსთან დაკავშირებული მოვალეობები და პასუხისმგებლობა მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:

■ ჯანმრთელობის, ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი მოთხოვნების ვალდებულებათა შესრულება.
■ აქტიური მონაწილეობა ASA (Advanced Safety Audit - ტექნიკური უსაფრთხოების გაღრმავებული აუდიტი) და STOP (სდექ) პროგრამებში.
■ ყველა ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობის, სასუნთქი აპარატების, და ტექნიკური უსაფრთხოების სხვა აღჭურვილობის გამართულობისა და საჭიროების შემთხვევაში დაუყოვნებლივი გამოყენების უზრუნველყოფა მათი აუდიტის, ინსპექტირებისა და მომსახურების გზით.
■ საგანგებო შემთხვევებზე რეაგირების გეგმების შემუშავება.
■ ტექნიკური უსაფრთხოების კურსების ჩატარება სუფსის ტერმინალის პერსონალისა და კონტრაქტორებისათვის.
■ შესაძლო არასასურველი შედეგების მქონე შემთხვევების გამოძიებაში მონაწილეობა.
■ ჯანმრთელობის დაცვის, ტექნიკური უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის თბილისის ჯგუფისა და მილსადენის საექსპლოატაციო ჯგუფის დახმარება საჭიროებისამებრ.

**სამუშაო გამოცდილება და განათლება:**

კანდიდატს მოეთხოვება ცოდნის და კვალიფიკაციის შემდეგი დონე:

■ სასურველია უმაღლესი განათლება ჯანმრთელობის დაცვის, ტექნიკური უსაფრთხოების და გარემოს დაცვის სფეროში ან ნავთობპროდუქტებთან დაკავშირებულ დისციპლინაში
■ ნავთობპროდუქტებთან დაკავშირებული ტექნიკური უსაფრთხოების აღჭურვილობის ინსპექტირებისა და მომსახურების გამოცდილება
■ ქართული, რუსული და ინგლისური ენების თავისუფალად ცოდნა
■ სამწლიანი შრომითი გამოცდილება ტექნიკური უსაფრთხოების სფეროში და სასურველია, ნავთობპროდუქტებთან დაკავშირებულ ინდუსტრიაში
■ სასურველია პერსონალურ კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების ბოლო ვადაა **პარასკევი, 18 მარტი, 2005 წელი.**

**ყველა შემოსული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

კანდიდატისათვის საქართველოს მოქალაქეობა აუცილებელია. უპირატესობა მიეცემათ ადგილობრივ კანდიდატებს.

**კადრების დეპარტამენტი**
შპს "ბპ ექსპლორეიშნ (კასპიან სი)"- საქართველო
BP ჯორჯია
აღმაშენებლის გამზირი 123ა
საქართველო, თბილისი

# ჯილდო და ეჭვები

## მასხადოვის ლიკვიდაციის ახალი ვერსია რუსულ მედიაში



სხვადასხვა საინფორმაციო წყაროს მეშვეობით გავრცელდა ინფორმაცია რუსეთის ფედერალური სამსახურების მიერ მასხადოვის თავის სანაცვლოდ დაპირებული ფულადი ჯილდოს გაცემის შესახებ. სააგენტო "რიანოვოსტი"-ს თანახმად, რუსეთის ხელისუფლებამ უკვე გადაუხადა 10 მლნ აშშ დოლარი მათ, ვინც ასლან მასხადოვის ადგილსამყოფელის შესახებ ფედერალურ სამსახურს ოპერატიული ინფორმაცია მიაწოდა. გარდა ამისა, აღნიშნულ პირებს, ფედერალური სპეცსამსახურის წარმომადგენლები, აუცილებლობის შემთხვევაში, რუსეთის სხვა რეგიონსა თუ ისლამურ ქვეყანაში გადაყვანასაც დაჰპირდნენ. თუმცა, გაღებული ჯილდოს პარალელურად, იჩქერიის მესამე პრეზიდენტის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით საინტერესო და განსხვავებული მონაცემები ვრცელდება. თუ ერთნი რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურების მიერ იმ პირთათვის დაპირებული ჯილდოს გადაცემის შესახებ ავრცელებენ ინფორმაციას, ვინც ასლან მასხადოვის საიდუმლო ადგილსამყოფელი გასცა, "თავისუფალი სიტყვის" მედროშეების ნაწილი 8 მარტს ტოლსტოი-იურტის დასახლებაში ასლან მასხადოვის ლიკვიდაციის ფაქტს საერთოდ უარყოფს. ჩეჩნური და ზოგიერთი რუსული საინფორმაციო წყაროს ვერსიით, ასლან მასხადოვის ლიკვიდაცია ტოლსტოი-იურტის ერთ-ერთი სახლის ბუნკერში არ მომხდარა, რასაც, ცხადია, არ ეთანხმება ჩეჩნეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე სულტან სატუევი.

გაზეთ "მოსკოვსკი კომსომოლეცის" ვერსიის თანახმად, ნოჟაი-იურტის რაიონის მკვიდრის მიერ მიწოდებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, მასხადოვის ასაყვანად რამზან კადიროვის მეთაურობით ჯგუფი გაემგზავრა. თუმცა, მოგვიანებით, კადიროვს შურისძიების შეეშინდა და სპეცოპერაციის შედეგების საკუთარ თავზე მიწერა ფედერალურ სპეცსამსახურებს სთხოვა. ლიკვიდირებამდე კი იჩქერიის მესამე პრეზიდენტი რამზან კადიროვმა დაკითხა. ტოლსტოი-იურტის მოსახლეობის ვარაუდით, სპეცოპერაციისათვის მასხადოვის გვამი ადგილზე ჩაიტანეს. ოპერაციისათვის მეტი დამაჯერებლობისა თუ სამხილების განადგურების მიზნით, აფეთქებულია ბუნკერად წოდებული სარდაფის ჩასასვლელი. თუმცა, ოფიციალური ვერსიით, სახლის განადგურება ახალი აფეთქებების თავიდან აცილების მიზნით განხორციელდა. **"ორგანიზაცია "Human Rights Watch"-ის მოსკოვის ბიუროს წარმომადგენლის ალექსანდრე პეტროვის თქმით, ჩეჩნეთში რუსეთის ფედერალური ძალების მიერ სახლების აფეთქების პრაქტიკა საერთაშორისო სამართალდამცავი ორგანიზაციების სერიოზულ პრეტენზიებს იწვევს,"** - წერს გაზეთი "ინტერნეშენალ ჰერალდ ტრიბუნი". რასაკვირველია, ოფიციალური ვერსიის არ სჯერა ექსპერტს ჩეჩნეთის საკითხებში, ცნობილ ჟურნალისტს ანა პოლიტკოვსკაიას.

თუმცა, დავუბრუნდეთ "მოსკოვსკი კომსომოლეც"-ის ვერსიას. გასული წლის დეკემბერში რამზან კადიროვმა, დაახლოებული პირების მეშვეობით, ასლან მასხადოვთან მოლაპარაკებები დაიწყო. შეთანხმების შინაარსი, ცხადია, უცნობია, თუმცა, შეთანხმების მიღწევიდან ცოტა ხნის შემდეგ, კადიროვმა მასხადოვს მოსთხოვა, საჯაროდ განეცხადებინა იჩქერიის პრეზიდენტის პოსტის დატოვების შესახებ. მასხადოვის პოლიტიკურ ცხედრად გამოცხადების შემთხვევაში ფედერალური ძალების წარმატება უდავო იქნებოდა, რაც კრემლს მოლაპარაკებებით სპეკულაციასაც აცილებდა თავიდან. თუმცა, როგორც ჩანს, რუსეთმა მასხადოვის ხელშეუხებლობის გარანტიის დაცვას გრძელვადიან პერსპექტივაში თავის დაზღვევა ამჯობინა - რაც არ უნდა იყოს, პოლიტიკური სცენის დატოვების შემთხვევაში მასხადოვი გავლენას მაინც შეინარჩუნებდა. ერთი სიტყვით, ეს ვერსია შესაძლოა, საფუძველს მოკლებული სულაც არ იყოს, რადგან იჩქერიის პრეზიდენტის ლიკვიდაცია სწორედ მასხადოვის მხრიდან მშვიდობიანი მოლაპარაკებების დაწყებისათვის მზადყოფნის დემონსტრირებას დაემთხვა.

### იჩქერიის ახალი ლიდერი

ჰორიზონტზე ახალი ლიდერი აბდულ-ჰალიმ საიდულაევი ჩნდება. იგი, ზელიმხან იანდარბიევის მსგავსად, აქსაკალთა შთამომავალია. აბდულ-ჰალიმ საიდულაევი დაიბადა 1967 წელს და იზრდებოდა ქ. არღუნში. მასხადოვის ლიკვიდირებამდე მას იჩქერიის უზენაესი შარიათის სასამართლოს მეთაურის პოსტი ეკავა და, რუსული ვებგვერდის "გრანირუ"-ს ინფორმაციით, ჩეჩნეთში ერთადერთ არასამხედრო ისლამურ ჯამაათს ხელმძღვანელობდა. საიდულაევი გავლენიან პირად მასხადოვის მომხრეთა გაერთიანების შემდეგ იქცა. აბდულ-ჰალიმი ისლამისა და შარიათის საკითხებში საუკეთესო სპეციალისტად ითვლება. შამილის საიმამოს დაცემის შემდეგ (1859 წელი) ყურანის სპეციალისტი პირველად ხდება ჩეჩნეთის მეთაური. იგი დღემდე ვაჰაბიტების სულიერი წინამძღოლის ფუნქციას ასრულებდა. ჩეჩნურ ვებგვერდ "კავკაზცენტრზე" გამოქვეყნებული საიდულაევის განცხადებით, იჩქერიის ხელმძღვანელობის პოლიტიკა უცვლელია – თავისუფლებისათვის ბრძოლა ნებისმიერ ფასად გაგრძელდება. როგორც საიდულაევის განცხადებაშია ნათქვამი, ჩეჩნური მხარე აღიარებს და პატივს სცემს საერთაშორისო სამართლის ნორმებსა და ფასეულობებს, რაც საფუძვლად უდევს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის სახელმწიფოებრიობას, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული ფასეულობები, რომლებიც ჩეჩნურ ღირებულებებს ეწინააღმდეგება, ჩეჩნებისთვის ძალით იქნეს თავს მოხვეული. ვებგვერდზე, ასევე, აღნიშნულია ისიც, რომ გავლენიანმა საველე მეთაურმა შამილ ბასაევმა იჩქერიის ახალი პრეზიდენტის წინაშე უკვე დადო ერთგულების ფიცი.

*24 საათი*

# კვლავ სამოქალაქო ომი?



*პროსირიულმა და ანტისირიულმა ძალებმა ასიათასობით მომხრე გამოიყვანეს ქუჩაში.*

*ქვეყნის ყოფილი პრემიერ-მინისტრის რაფიკ ჰარირის მკვლელობის შემდეგ, ლიბანიდან სირიის ჯარების გაყვანის მოტივით დაწყებულ საპროტესტო აქციაზე, პრემიერის გარდაცვალებიდან ერთი თვის თავზე, 800 ათასი ადამიანი შეიკრიბა. უკანასკნელი მონაცემებით ეს საპროტესტო აქცია ლიბანის ისტორიაში ყველაზე მასშტაბურია. მანამდე რადიკალურმა შიიტურმა ორგანიზაცია "ჰეზბოლამ" მრავალრიცხოვანი დემონსტრაცია გამართა, ამჯერად აშშ-ს წინააღმდეგ. საინტერესოა, რომ ორივე მხარე ქვეყნის სახელმწიფო დროშებით გამოდის და უცხოურ ჩარევისაგან გათავისუფლებას მოითხოვს, თუმცა "უცხოური ჩარევაში" ისინი სრულიად საპირისპიროს გულისხმობენ. ლიბანის დედაქალაქ, ბეირუთის ქუჩები დემონსტრანტებითაა დაფარული და ორივე მხარის მხარდამჭერი ხალხის ახალი ნაკადებით ივსება. ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირება სერიოზულ სახეს იღებს.*

ნანა ნასყიდაშვილი

ლიბანის ყოფილი პრემიერ-მინისტრ რაფიკ ჰარირის მკვლელობიდან ერთი თვის თავზე ბეირუთში საპროტესტო აქციები კვლავ გრძელდება. ორიოდე დღის წინ, "წამებულთა მოედანზე", რომელიც იმ ქუჩის მახლობლად მდებარეობს, სადაც ჰარირი მოკლეს, 800 ათასი ადამიანი შეიკრიბა. დასავლური მედიის ინფორმაციით, ქვეყნის ისტორიაში ეს ყველაზე მასშტაბური აქცია იყო.

ამავდროულად, გრძელდება სირიის მხარდამჭერი გამოსვლებიც. გუშინ ბეირუთში ამერიკის საელჩოსთან სტუდენტთა და სკოლის მოსწავლეთა აშშ-ს პოლიტიკისა და მისი ლიბანის საშინაო საქმეებში ჩარევის წინააღმდეგ მიმართული საპროტესტო აქცია დაიწყო. დემონსტრანტები, რომლებიც სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები და სკოლის მოსწავლეები არიან, ქვეყნის ჰიმნს მღერიან – "ყველა ჩვენგანი სამშობლოსთვისაა დაბადებული" და თანამემამულეებს აშშ-ს წინააღმდეგ გაერთიანებისკენ მოუწოდებენ. ახალგაზრდა დემონსტრანტები ამერიკას ლიბანელ ხალხს შორის განხეთქილების წარმოქმნის მცდელობაში ადანაშაულებენ. "არა 1559-ე რეზოლუციას!" "არა ამერიკის ჩარევას ჩვენს საშინაო საქმეებში!" - იკითხება დემონსტრანტთა პლაკატებზე, რომლებიც აღფრთოვანებულები შეხვდნენ ერთ-ერთი გამომსვლელის სიტყვებს: **"ლიბანი არც საქართველოა და არც უკრაინა. ჩვენ არ დავუშვებთ ამ ქვეყნების ტერიტორიაზე განხორციელებული ექსპერიმენტების მსგავსი ცდების ჩატარებას ლიბანში"**.

აქციის მონაწილენი აშშ-ს ჯარების მიერ ერაყში განხორციელებულ დანაშაულებსა და აბუ გრაიბის ციხეში მომხდარ ადამიანთა წამების ფაქტებსაც ახსენებდნენ. დამკვირვებელთა აზრით, დიდია ალბათობა იმისა, რომ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებმა კვლავ გააღვივონ ძლივს დასრულებული სამოქალაქო ომი. ამიტომ ქვეყნის ხელისუფლება ლიბანში მასობრივი დემონსტრაციების კანონით აკრძალვაზე ფიქრობს. არსებულ მდგომარეობაში, როგორც ქვეყნის პრეზიდენტი ემილ ლაჰუდი, ასევე რადიკალი ოპოზიციონერი ნასტრალა სფეირი მხოლოდ პოლიტიკურ დიალოგში ხედავენ გამოსავალს.

მშვიდობიანი საპროტესტო აქციების ფონზე სირიის სპეცსამსახურების თანამშრომლებმა, რომელთა რაოდენობაც ზოგიერთი მონაცემებით ლიბანის ტერიტორიაზე 5 ათას კაცს აღემატებოდა, ქვეყნის დატოვება დაიწყეს. მათ ქვეყნიდან გასვლას ითვალისწინებს სირია-ლიბანს შორის გასულ კვირას ხელმოწერილი ოქმი. 12 მარტს სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ასადმა გაერო-ს წარმომადგენელთან შეხვედრისას აღნიშნა, რომ სირიის სპეცსამსახურების თანამშრომლები და საჯარისო ნაწილები მეზობელი ქვეყნის ტერიტორიას საყოველთაო არჩევნებამდე, ე.ი მაისამდე დატოვებენ. ახლო აღმოსავლეთში გაერო-ს წარმომადგენელმა ტარიე როდლარსენმა სირიას ჯარების გაყვანის ზუსტი გრაფიკის წარმოდგენა მოსთხოვა. გაერო-ს მიაჩნია, რომ ლიბანში თავისუფალი საპარლამენტო არჩევნები საერთაშორისო დამკვირვებელთა კონტროლის ქვეშ და ამ ქვეყნის საშინაო საქმეებში სირიის ჯარების ჩარევის გარეშე უნდა ჩატარდეს. ჯერჯერობით უცნობია, ზუსტად რამდენმა სირიელმა სამხედრო მოსამსახურემ დატოვა ლიბანი.

სირიამ ჯარები ამ ქვეყანაში 1976 წელს შეიყვანა. ბოლო ხანებში კი სირიელ სამხედროთა რიცხვი ლიბანში 40 ათასიდან 14 ათასამდე შემცირდა.

სირიაზე საერთაშორისო ზეწოლა მას შემდეგ გაძლიერდა, რაც 14 თებერვალს ბეირუთში ლიბანის ყოფილი პრემიერ-მინისტრი რაფიკ ჰარირი მოკლეს. ლიბანის ოპოზიცია მომხდარში სირიის სპეცსამსახურებს ადანაშაულებს.

# „დუჩეს" შვილიშვილი - ლაციოს გუბერნატორი?

პოლიტიკურმა მოღვაწემ და იტალიელი დიქტატორის ბენიტო "დუჩე" მუსოლინის შვილიშვილმა, ალესანდრა მუსოლინიმ ლაციოს ოლქის (ამ ოლქში რომი მდებარეობს) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების პროტესტის ნიშნად შიმშილობა გამოაცხადა. სასამართლომ ალესანდრას გუბერნატორის თანამდებობაზე კენჭისყრა აუკრძალა. მოსამართლის აზრით, 4300-დან 932 ხელმოწერა, რომელიც მუსოლინიმ წარადგინა, "უსინდისოდ გაყალბებულია". პასუხად, ალესანდრამ თავის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს "უსირცხვილო ღორები" უწოდა.

განათლებით ექიმი, ყოფილი მოდელი, კინომსახიობი (ალესანდრა სოფი ლორენის დისშვილია), 42 წლის ალესანდრა მუსოლინი ადრე პარტია "ეროვნული ალიანსის" რიგებში ირიცხებოდა, რომლის ლიდერი ჯანფრანკო ფინი ამჟამად იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრია. 2003 წლამდე "ეროვნული ალიანსი" ქვეყნის ფაშისტური წარსულით ამაყობდა და ბენიტო მუსოლინის იტალიის უდიდეს მმართველს უწოდებდა. თუმცა 2003 წელს, როდესაც ჯანფრანკო ფინის მარგინალობა მობეზრდა და პოლიტიკურ ელიტაში ღირსეული ადგილის დამკვიდრება მოისურვა, გარდაცვლილი დიქტატორისგან გამიჯვნა მოუწია და ფაშიზმი "აბსოლუტურ ბოროტებად" აღიარა. ალესანდრამ მაშინვე დატოვა პარტია და თვითონ დააფუძნა ახალი პარტია – "სოციალური ალტერნატივა". "სოციალურმა ალტერნატივამ" "დუჩეს" შვილიშვილის ამბიციების ახდენა არ დააყოვნა და 2004 წელს პარტიამ ევროპარლამენტის არჩევნებში ხმების 1,2 პროცენტი მიიღო, რამაც ალესანდრა მუსოლინი ევროპარლამენტის დეპუტატად აქცია (მანამდე ალესანდრა იტალიის პარლამენტის დეპუტატი იყო 1992 წლიდან). ამჟამად მან ლაციოს ოლქის გუბერნატორობა დაისახა მიზნად. იტალიური კანონმდებლობის თანახმად, არჩევნებში მონაწილეობისათვის კანდიდატმა ერთგული ამომრჩევლების ხელმოწერა უნდა წარადგინოს (რეგიონის მოსახლეობის მიხედვით). ლაციოში მსგავსი ხელმოწერების რიცხვი 3500 უნდა იყოს. მუსოლინიმ 4300 ხელმოწერა შეაგროვა და სრულუფლებიანი კანდიდატი გახდებოდა, რომ არა მისი ოპონენტი ფრანჩესკო სტორაჩე, "ეროვნული ალიანსიდან". სტორაჩემ მოითხოვა, რომ ხელმოწერები სააპელაციო სასამართლოში შემოწმებულიყო. იქვე გაირკვა, რომ 932 ხელმოწერა გაყალბებულია. მაგალითად, ხელმომწერთა შორის არის ცნობილი მსახიობი ორნელა მუტი, რომელმაც თავის დროზე საჯაროდ უარი განაცხადა მუსოლინის მხარდაჭერაზე. გარდა ამისა, ხელმომწერთა შორის, ბევრი "მკვდარი სულია".

ალესანდრა მუსოლინიმ, თავის მხრივ, "ეროვნული ალიანსი" ცილისწამებაში დაადანაშაულა და მათ წევრებს "უსირცხვილო ღორები" უწოდა. შემდეგ რომის სააპელაციო სასამართლოს ეზოში შიმშილობა გამოაცხადა მანამდე, სანამ სასამართლო მას გუბერნატორობის კანდიდატად არ დაამტკიცებს.

# რუსი ოლიგარქები კიევში




*რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის უკრაინაში ვიზიტამდე რამდენიმე დღეა დარჩენილი. კრემლის ბინადარი "ნარინჯისფერი" რევოლუციის შემდეგ კიევს პირველად კვირის ბოლოს ეწვევა და, ალბათ, ორი ქვეყნის მომავალ ურთიერთობებზე გაჩენილ მრავალ კითხვასაც გაეცემა პასუხი. აღსანიშნავია, რომ რუსეთის პრეზიდენტის ვიზიტიდან სამ დღეში კიევში მიხეილ სააკაშვილი ჩავა. ასე რომ, უახლოესი დღეები უაღრესად მნიშვნელოვანი უმაღლესი დონის შეხვედრების ფონზე ჩაივლის. მანამდე კი, ორშაბათს კიევში რუსული ბიზნეს-ელიტის 20 წარმომადგენელი მართავდა შეხვედრას პრეზიდენტ იუშენკოსთან. როგორც პრეზიდენტის პრეს-მდივანმა, ირინა გერაშჩენკომ ჟურნალისტებს განუცხადა, შეხვედრა ვიქტორ იუშენკოს ინიციატივით გაიმართა. "ჩვენ ძალიან ვაფასებთ რუსული ბიზნესის როლს უკრაინაში. თუმცა, ნებისმიერი ბიზნესის შემოსვლას მივესალმებით, გეოგრაფიის მიუხედავად", - გადმოსცა პრეზიდენტის სიტყვები პრეს-მდივანმა.*

რუსეთიდან ჯერ ასეთი წარმომადგენლობითი ბიზნეს-დელეგაცია უკრაინაში არ ჩასულა. ერთი შეხედვით, რჩება შთაბეჭდილება, რომ პუტინის ვიზიტამდე კიევში რუსი ბიზნესმენების ჩასვლას ნიადაგის შემამზადებელი როლიც უნდა ეკისრა. თუმცა, ისიც საფიქრებელია, რომ იუშენკო თავად გამოთქვამს პოტენციურ ინვესტორთა გაცნობის სურვილს.

რუსული "სუპერკომპანიების" ხელმძღვანელთა მიწვევა პრეზიდენტ იუშენკოს მიერ, სავარაუდოდ, არა მარტო პოლიტ-ეკონომიკური ვაჭრობის ნაწილი იყო, არამედ, მინიშნებაც იმ ახალ როლზე, რომელიც კიევს უნდა დსთ-ს სივრცეში იტვირთოს.

მაინც რა საჭირო იყო ასეთი "წონიანი" დელეგაციის უცაბედი სტუმრობა კიევში? სხვათა შორის, როგორც ცნობილი გახდა, ვიზიტის თითქმის დაუგეგმაობის გამო (სტუმრებმა მოსაწვევები მხოლოდ სამი-ოთხი დღით ადრე მიიღეს) კიევში ვერ ჩავიდნენ მთელი რიგი ოლიგარქები, მაგალითად ანატოლი ჩუბაისი ("რაო ეესი"), ალექსეი მორდაშოვი ("სევერსტალი"), მიხაილ ფრიდმანი (ალფა-ბანკი), ალექსეი მილერი ("გაზპრომი") და ა.შ. თუმცა, თითოეულმა მათგანმა წარმომადგენელი მაინც მიავლინა.

ბუნებრივია, იუშენკოს სურს, საჯაროდ გააქარწყლოს მისი ხელისუფლების "რევოლუციური მეთოდებით" გამოწვეული შეშფოთება. ამისთვის კი რუსული ეკონომიკის მაგნატებთან პირისპირ შეხვედრა და ხელსაყრელი პირობების შეთავაზება საუკეთესო გამოსავალია.

დღეისთვის რუსული კაპიტალი უკრაინის ეკონომიკაში საკმაოდ მაღალ დონეზეა წარმოდგენილი. მაგრამ იგი უკრაინაში ლეონიდ კუჩმას "კორუფციული რეჟიმის" პირობებში დამკვიდრდა; ანუ საშიშროება, რომ უკრაინაში დაწყებული "დეპრივატიზაციის" ტალღაში შეიძლება რუსული კომპანიების საკუთრებაც მოჰყვეს, ამ ბიზნესმენებს დღეს განსაკუთრებით აშინებთ. გარდა ამისა, ყველასთვის კარგად არის ცნობილი, რომ მათ, ნებსით თუ უნებლიეთ, სერიოზული წვლილი შეიტანეს ვიქტორ იანუკოვიჩის წინასაარჩევნო კამპანიაში. ასე რომ, ზოგიერთ ბიზნესმენს, რომელსაც უკრაინაში ეკონომიკური ინტერესები აქვს, შეუძლებელია არ გასჩენოდა შიში, რომ მათ აქტივებს უკრაინის ახალი ხელისუფლების მხრიდან "დეპრივატიზაცის" საფრთხე დაემუქრებოდა.

მეორე მხრივ, "ნარინჯისფერი რევოლუციის" წარმატება ახლა დიდწილადაა დამოკიდებული მის ეკონომიკურ წარმატებაზე, ანუ იმაზე, თუ რა თანხის ინვესტიციას მოიზიდავს იგი უკრაინის ეკონომიკაში.

ამის შესახებ იუშენკომ რუს ბიზნესმენებთან შეხვედრისას გულახდილად განაცხადა: "ეს შეუძლებელია უკრაინაში საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების გარეშე". თუმცა, იქვე საგულისხმო მინიშნებაც გააკეთა: "ჩვენ მივესალმებით უკრაინაში კაპიტალის შემოსვლას მიუხედავად გეოგრაფიისა, მთავარია, ეს პატიოსანი კაპიტალი იყოს". ანუ, რუსული კაპიტალის უკრაინის ეკონომიკაში მონაწილეობა უაღრესად მნიშვნელოვანია, მაგრამ არა რაიმე უფრო "ღირებულის" (თუნდაც დემოკრატიის იმიჯის) ფასად.

როგორც გუშინ მიმომხილველები შენიშნავდნენ, უნდობლობის გაქარწყლება და ფულის დაბანდების თხოვნა, სავარაუდოდ, რუსი ბიზნესმენების ვიზიტის ერთადერთი მიზანი არ ყოფილა. რასაკვირველია, კიევის ბოლოდროინდელი პოზიციის გამო, რუსული ბიზნესი ოდნავ დამფრთხალია, მაგრამ უკრაინისადმი ინტერესი არ შენელებულა, მით უმეტეს ენერგეტიკაში. სხვათა შორის, ბოლო თვეებში უკრაინაში რამდენიმე ეკონომიკური ფორუმი უკვე მოეწყო, და რაც უფრო მნიშვნელოვანია, ისეთი ფირმების ორგანიზატორობით, როგორიცაა "ალფა-ჯგუფი" და "რენესანს-კაპიტალი". გარდა ამისა, კიევში დაიწყეს ჩასვლა ისეთი უზარმაზარი რუსული ფირმების ხელმძღვანელებმა, როგრებიცაა "ლუკოილი" და "რუსული ალუმინი" - ვაგიტ ალეკპეროვი და ალექსანდრ ლივშიცი უკვე შეხვდნენ ვიქტორ იუშენკოს. ასე რომ, აშკარაა, გუშინდელ შეხვედრას "პიარული" ხასიათიც ჰქონდა და დაწყებული "მეგობრობის" საჯარო დემონსტრაციას ისახავდა მიზნად.

ამას გარდა, რუს მილიარდერებთან შეხვედრა საკუთარი ბიზნეს-ელიტისთვის საჩვენებელიც უნდა გამხდარიყო. უკრაინის ოლიგარქები ამ აქციით უნდა მიმხვდარიყვნენ, რომ ხელისუფლებასთან დაპირისპირების გაგრძელებით, მათ ჩანაცვლებას ოფიციალური კიევი ადვილად მოახერხებს.

უკრაინელ ბიზნეს-მაგნატებთან შეთანხმების მიღწევის შესაძლებლობა (ზოგიერთის დაშინების, ზოგიერთთან გარიგების გზით) უფრო ადრევე გახდა ნათელი. ადრე იუშენკოს საწინააღმდეგოდ განწყობილ უკრაინელ ოლიგარქებში პოზიციათა ცვლილება უკვე შეიმჩნევა. მაგალითად, გერმანიაში ვიზიტისას იუშენკოს ახლდა სერგეი ტარუტა, ჟურნალ "ფორბსის" რეიტინგის მიხედვით სამი უკრაინელი მილიარდერიდან ერთ-ერთი. მანამდე იგი დონბასელი მაგნატის, კიდევ ერთი მილიარდერისა და იანუკოვიჩის ყველაზე დიდი დამფინანსებლის რინატ ახმეტოვის მეგობრად და მოკავშირედ ითვლებოდა. უკრაინის მესამე მილიარდერთან, ვიქტორ პინჩუკთან "მორიგებაზე" მისი არცთუ მკვეთრი განცხადებები მოწმობს ახალი ხელისუფლების მისამართით.

დასასრულ შეიძლება ის ითქვას, რომ თუ იუშენკო მოახერხებს, რეალურად გააუმჯობესოს საინვესტიციო გარემო, რომელიც ღია, ყველასათვის მისაღებ თამაშის წესებზე იქნება დამყარებული, შეძლებს დაძლიოს (ყოველ შემთხვევაში, მინიმუმამდე მაინც დაიყვანოს) სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის არსებული კორუფციული დამოკიდებულება, მაშინ უკრაინა უდავოდ მიიზიდავს რუსეთიდან კაპიტალს.

თუ პუტინის პოლიტიკას განვიხილავთ, აშკარაა, რომ მის მიერ წამოწყებული ინტეგრაცია დსთ-ს სივრცეში, მართალია სახეცვლილ, მაგრამ კვლავინდებურად ძველ, "დერჟავნიკულ" თეორიაზეა დამყარებული. ალტერნატიული მოდელი, რომელიც არა ადმინისტრაციულ ბერკეტებზე, არამედ, პირიქით, კაპიტალის თავისუფლად მოძრაობასა და წესების ღიაობაზე იქნება დაფუძნებული, არანაკლებ ინტეგრაციის შესაძლებლობას იძლევა.

პირველ შემთხვევაში ინტერგაციიდან მოგებული რჩება ის, ვისაც მეტი რესურსები და კაპიტალი აქვს, ხოლო მეორე შემთხვევაში – ის, ვინც ლიბერალური ეკონომიკურ რეჟიმზე აკეთებს აქცენტს.

გუშინ ანალიტიკური სააგენტო "გაზეტა.რუ" წერდა: "თავის დროზე ანატოლი ჩუბაისმა წამოაყენა "ლიბერალური იმპერიის" იდეა, რომელიც გულისხმობდა, რომ გავლენის გავრცელება არა ძალისმიერი და პოლიტიკური ექსპანსიის მეთოდებით უნდა მომხდარიყო, არამედ ეკონომიკური და ტექნოლოგიური. უკრაინის შემთხვევაში აშკარა იყო, რომ პუტინმა პირველი, ტრადიციული მეთოდები აირჩია და როგორც ჩანს, წააგო. დღეს შესაძლოა, იუშენკომ ინიციატივა გამოსტაცოს აქამდე "დიდ ძმად" მიჩნეულ მოსკოვს და დსთ-ს სივრცეში ახალი ინტეგრაციული პროცესების ლიდერად მოგვევლინოს".

ბოლოს და ბოლოს, როგორც კიევში აღნიშნავენ, მოსკოვი ყოველთვის არ ყოფილა სლავური მიწების ცენტრი.

# ჩრდილოეთ კორეა ბირთვული არსენალის გაზრდას გეგმავს

ჩრდილოეთ კორეამ რეგიონში ძალთა ბალანსის შენარჩუნების და აშშ-ის მხრიდან თავდასხმის თავიდან აცილების მიზნით, შეიძლება, საკუთარი ბირთვული პოტენციალი გაზარდოს. ამის შესახებ დღეს ჩრდილოეთ კორეის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნამ სუნმა განაცხადა. მან კვირის ბოლოსთვის დაგეგმილ აშშ-ის და სამხრეთ კორეის სამხედრო წვრთნას ჩრდილოეთ კორეის წინააღმდეგ ომისთვის მზადება უწოდა და აღნიშნა, რომ ფხენიანის ერთ-ერთი კონტრზომა საკუთარი ბირთვული არსენალის გაზრდა იქნება.

შეგახსენებთ, 10 თებერვალს ჩრდილოეთ კორეამ გამოაცხადა, რომ უკვე ფლობს ბირთვულ იარაღს და ბირთვული პროგრამის საკითხზე ექვსმხრივი მოლაპარაკებიდან გადის.

ჩრდილოეთ კორეის საგარეო პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელის გუშინდელ განცხადებას მიმომხილველები აზიაში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის კონდოლიზა რაისის დღეს დაწყებულ ტურნეს უკავშირებენ. მოელიან, რომ რეგიონის ქვეყნების დედაქალაქებში რაისი ჩრდილოეთ კორეის პრობლემებსაც განიხილავს. ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციას არაერთხელ განუცხადებია, რომ აშშ ჩრდილოეთ კორეაში შეჭრას არ აპირებს.

*ინტერ-პრესი*

# პრიშტინაში კოსოვოს პრეზიდენტის კორტეჟი ააფეთქეს

პრიშტინას ცენტრში მძლავრი აფეთქება მოხდა, როდესაც კოსოვოს პრეზიდენტის იბრაჰიმ რუგოვას კორტეჟმა გაიარა, - წერს "ასოშიეიტედ პრესი". ნაგვის კონტეინერში ჩადებული ასაფეთქებელი მოწყობილობა დისტანციური მართვის საშუალებით კოსოვოს მთავრობის შენობასთან აფეთქდა. რუგოვა არ დაშავებულა. პრეზიდენტის ავტომობილმა დაზიანება მიიღო, ახლომდებარე მაღაზიებში მინები ჩაიმსხვრა. პრეზიდენტი რუგოვა ევროკავშირის საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების უმაღლეს კომისართან, ხავიერ სოლანასთან შეხვედრაზე მიემართებოდა, როდესაც აფეთქების ხმა გაისმა. სოლანა პრიშტინაში ჩავიდა რუგოვას, კოსოვოელი ალბანელების სხვა პოლიტიკური ლიდერებისა და სერბული უმცირესობის წარმომადგენლებს შორის მოლაპარაკებაში მონაწილეობის მისაღებად. მოლაპარაკების ძირითადი თემა ის ვითარებაა, რომელიც კოსოვოს პრემიერ-მინისტრის რამუშ ხარადინაის გადადგომისა და ჰააგის ტრიბუნალისთვის ნებაყოფლობით ჩაბარების შემდეგ შეიქმნა. იბრაჰიმ რუგოვამ პრემიერ-მინისტრის თხოვნა გადადგომის შესახებ მიიღო და განაცხადა, რომ ფაქტებს თვალი უნდა გაუსწორონ.

შესწორება

## აფხაზეთის პრობლემის გადაჭრის ზაქარეიშვილ-კუბლაშვილისეული პროექტის გამო

*მოგეხსენებათ, "24 საათში" დაიბეჭდა ნოდარ ნათაძის წერილი, რომელშიც განიხილებოდა ცნობილი კონცეფცია აფხაზეთთან დაკავშირებით. დღეს ავტორის თხოვნით ვბეჭდავთ, ერთ-ერთი თავის შესწორებულ ვარიანტს.*

**VI. აფსუა ("აფხაზი") სეპარატისტების ხელთ არსებული იურიდიული მექნიზმები რეალური ძალის მოპოვებისათვის აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში ყოფნის პირობებში**

ის დრო, რომელიც, პროექტის ავტორთა ჩანაფიქრით, ჩაივლის "ფედერალური შეთანხმებით" შექმნილ საქართველოში აფხაზეთის ჩართვის დღიდან მისი ამ შეთანხმებიდან კვლავ გამოსვლის, ანუ საქართველოსგან აფხაზეთის გამოყოფის დღემდე, აფხაზეთის სეპარატისტულმა ხელისუფლებამ უსარგებლოდ არ უნდა დაკარგოს. მან საკუთარ ხელში თავი უნდა მოუყაროს რეალურ ძალას რამდენიმე სახისას. პირველ ყოვლისა, - დემოგრაფიულ ძალას აფხაზეთის მოსახლეობის პროცენტული შემადგენლობის რადიკალური და გარანტირებული შეცვლის სახით იმასთან შედარებით, რაც იყო ომამდე, და იმასთან შედარებით, რაც არის დღეს. "ფედერალური შეთანხმების" პროექტით (მუხლი 3. აბზაცი 153-154), საქართველოს უმაღლესი ხელისუფლების (ე. ი. თბილისის) და აფხაზეთის ხელისუფლების (ე. ი. სოხუმის) "ერთობლივ გამგებლობას მიკუთვნებულ ქვემოთ ჩამოთვლილ სფეროებში საქართველოს უმაღლესი სახელმწიფო ორგანოები ახორციელებენ განსაკუთრებულ (ე. ი. ექსკლუზიურ, ერთპიროვნულ. რედ.) საკანონმდებლო, ხოლო აფხაზეთის რესპუბლიკის ხელისუფლების შესაბამისი ორაგნოები - განსაკუთრებულ (ე. ი. ექსკლუზიურ, ერთპიროვნულ. რედ.) აღმასრულებელ უფლებამოსილებას:

ა) საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, მიგრაცია და იმიგრაცია..."

"კანონი", რომელიც არეგულირებს იმიგრაციას და რომელსაც კონსტიტუციის ძალა აქვს, პროექტის მიხედვით, ასეთია:

"მუხლი 16. აფხაზეთში უძრავი ქონების შესყიდვის შეზღუდვა

1. ამ ფედერალური შეთანხმების მე-15 მუხლით გათვალისწინებული აფხაზეთის ახალი პარლამენტის არჩევიდან სამი წლის განმავლობაში დაუშვებელია საქართველოს, აგრეთვე სხვა ქვეყნის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა მიერ აფხაზეთში მუდმივ საცხოვრებლად ჩასვლა, აგერთვე საცხოვრებელი ბინის, საცხოვრებელი სახლისა და მიწის ნაკვეთის შეძენა.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული სამი წლის გასვლის შემდეგ აფხაზეთში მუდმივ საცხოვრებლად ჩასულ საქართველოს მოქალაქეებს აფხაზეთის მოქალაქეთა თანასწორი უფლებები (უძრავი ქონების შესყიდვის უფლების ჩათვლით) აქვთ, მაგრამ ამ პირთა საერთო რაოდენობა ერთი წლის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს აფხაზეთის მოსახლეობის ორ პროცენტს (2%)".

ამ კანონს საქართველო ვერ შეცვლის (ვინაიდან საქართველოს პარლამენტში აფხაზეთის დეპუტაციას, პროექტის მიხედვით, აქვს ყველა იმ საკანონდებლო ნაბიჯის ბლოკირების უფლება, რომლებიც აფხაზეთს ეხება). ვინ იქნება ჩართული იმ დაშვებული კონტინგენტის სიაში, რომელსაც აფხაზეთში დასახლების უფლება მიეცემა, ამას წყვეტს მხოლოდ აფხაზეთის ხელისუფლება. პროგნოზი ნათელია: ეს პირები იქნებიან არაქართველები, სავარაუდოა - ჩრდილოკავკასიელი ადიღეელები, რუსები (კაზაკების ჩათვლით) და თურქები. აფხაზეთში ქართველი მოსახლეობის პროცენტულ კლებას მუდმივი და განუხრელი ხასიათი ექნება.

აფხაზეთში იურიდიული პირების დამკვიდრების პროცესის რეგულირებაც, ისევე როგორც ფიზიკური პირებისა, პროექტის მიხედვით, აფხაზეთის ხელისუფლების ერთპიროვნულ გამგებლობაშია. გარდა ამისა, აფხაზეთი ქმნის, საქართველოს "უმაღლესი ხელისუფლების" უკითხავად, შეიარაღებულ ძალას პოლიციის სახით. ამგვარად, ის 6-10 ათასი სული, რომელსაც სეპარატისტული ხელისუფლება შემოასახლებს ყოველწლიურად აფხაზეთში, შეიძლება იმგვარად აირჩეს პოლიციისათვის გამოსადეგ პირთაგან, (თუნდ აფხაზეთის და მაშასადამე. საქართველოს ახალ მოქალაქეთაგან), რომ აფხაზეთში შეიქმნას რეალური ყოვლისშემძლე ძალა უსაზღვრო დიქტატურის განსახორციელებლად (პირველ ყოვლისა - ქართველი მოსახლეობის მიმართ).

აფხაზეთის განსაკუთრებულ (ერთპიროვნულ) გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხთა ჩამონათვალი (მუხლი 4) გარანტირებულ ბაზას ქმნის აფხაზეთში აფსუა ("აფხაზი") მოსახლეობის შეუზღუდავი ეთნოკრატიის განხორციელებისთვის.

**დასკვნა II**

პროექტის მიხედვით, აფხაზეთის ხელისუფლებას იურიდიული მექანიზმი ეძლევა იმისათვის, რომ "ფედერალური შეთანხმებით" შექმნილ საერთო სახელმწიფო "საქართველოში" აფხაზეთის ყოფნის პირობებში მოახდინოს თავის ხელში რეალური ძალის აკუმულირება (დემოგრაფიულის ჩათვლით), რომელიც მას გარანტირებულ საშუალებას მისცემს, მის მიერ არჩეულ მომენტში აამოქმედოს სეცესიის (საქართველოსაგან გამოყოფის) იურიდიული მექანიზმი.

# ერთი კილო მაკარონი და მომავლის იმედი

თამარ დვალი

*საქართველოს სამდღიანი ვიზიტით ესტუმრა გაეროს მსოფლიო სასურსათო პროგრამის (WFP) ცენტრალური აზიის, ახლო აღმოსავლეთისა და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონალური დირექტორი ამირ აბდულა. გუშინ მან იტალიის საელჩოს პირველ მდივანთან, პიერ ლუიჯი სკეტინოსთან და საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინიტრს ეთერ ასტემიროვასთან ერთად, თბილისში მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირები მოინახულა. თბილისის ზღვაზე მდებარე სასტუმრო "ოქროს საწმისში" მცხოვრებ დევნილებს ამირ აბდულამ იტალიის მთავრობის მიერ გადმოცემული 20 ტონა მაკარონი დაურიგა.*


*დევნილებს პროდუქტები ხელიდან ხელში გადასცეს.*

**"რად გვინდა მაკარონი, თუკი ვერ მოვამზადებთ? შუქი და გაზი ჩვენ არ გვაქვს, წყალი კი რამდენიმე საათით მოდის და მერე მთელი ღამე არ არის. ერთი კილო მაკარონი რას გვიშველის, შიმშილით და სიცივით ვწყდებით ხალხი,"** – ასეთი განწყობით შეხვდნენ ჰუმანიტარული დახმარებით მისულ დელეგაციას სასტუმრო "ოქროს საწმისში" მცხოვრები დევნილები. მათი აგრესიის ძირითადი სამიზნე საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი ეთერ ასტემიროვა იყო.

**"ძლივს მოვახერხეთ თქვენი ნახვა. ასჯერ მოვედით თქვენთან შესახვედრად და არც ერთხელ არ მიგვიღეთ. ერთი პრობლემა მაინც მოგვიგვარეთ... 11 ლარი გვაქვს დახმარება და მის ასაღებადაც ღამეების გათენება გვიწევს, თუმცა ფულის აღებას მაინც ვერ ვახერხებთ,"** - აცხადებდნენ დევნილები.

ასტემიროვა სიტუაციის განეიტრალებას ცდილობდა და აღელვებულ ხალხს სთხოვდა, სტუმრებთან მაინც შეეკავებინათ თავი. მინისტრის თქმით, სახელმწიფო თითო დევნილზე ელექტროენერგიის საფასურს, 10 ლარსა და 80 თეთრს იხდის, თუმცა ამის მიუხედავად, ელექტროენერგიის დავალიანება 22 ათას ლარს აღწევს. მისივე დაპირებით, დახმარების აღებასთან დაკავშირებული პრობლემებიც ახლო მომავალში მოგვარდება.

სასტუმრო "ოქროს საწმისში" დღეისათვის 170 ოჯახი ცხოვრობს. ისინი ამ შენობაში 12-13 წლის წინათ შეასახლეს. დევნილები ხელისუფლებისგან ელემენტარულ ყურადღებასა და სასიცოცხლო პირობების შექმნას ითხოვენ: **"ჩვენ არ გვინდა კომფორტი, მოგვეცით არსებობის უფლება",** - ამბობენ ისინი.

მართალია, სტუმრებს ქართული საუბარი არ ესმოდათ, მაგრამ ხვდებოდნენ, რომ დევნილები უკმაყოფილებას გამოხატავდნენ.

გაეროს მსოფლიო სასურსათო პროგრამის (WFP) ცენტრალური აზიის, ახლო აღმოსავლეთისა და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონალური დირექტორი ამირ აბდულა საქართველოს პირველად სტუმრობდა. "24 საათი" შეეცადა, მას საქართველოში არსებულ სიტუაციასა და მომავალში დაგეგმილ პროგრამებზეც გასაუბრებოდა.

**- რა წარმოადგენს თქვენი სტუმრობის ძირითად მიზანს და როგორია თქვენი პირველი შთაბეჭდილება?**

- ის სიტუაცია, რაც ჩვენ ვიხილეთ, მართლაც შემაშფოთებელია. ეს ხალხი შესანიშნავ ბუნებაში ცხოვრობს, თუმცა საშინელი პირობები აქვს. მიხარია, რომ მათ მცერიდით მაინც დავეხმარეთ. საერთოდ, სოციალურად დაუცველი ფენის მდგომარეობა თითქმის ყველა ქვეყანაში ერთი და იგივეა. ბავშვების კვების პრობლემა გაეროს მსოფლიო სასურსათო პროგრამისათვის ყველაზე პრიორიტეტულია. ერთადერთი, რაც ამ მდგომარეობაში მყოფ ქვეყნებს განასხვავებს პოტენციალის არსებობაა, ის, თუ რამდენად შესაძლებელია, ესა თუ ის ქვეყანა გამოვიდეს მდგომარეობიდან. ვფიქრობ, რომ საქართველოს დიდი პოტენციალი აქვს.

რაც შეეხება საქართველოში ჩემს ვიზიტს, იგი გაცნობითი ხასიათისაა. ცოტა ხნის წინათ დავინიშნე იმ რეგიონის დირექტორად, რომელიც ახლო აღმოსავლეთს, ცენტრალურ აზიასა და აღმოსავლეთ ევროპას მოიცავს. ამაში შედის კავკასიის სამი ქვეყანა: საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი. გადავწყვიტე, სამივე ქვეყანა თავად მოვინახულო. მინდა გავეცნო, იმ პროგრამებს, რომელსაც გაეროს საერთაშორისო სასურსათო ფონდი ახორციელებს. ჩვენი ფონდის მიერ დაწყებული პროგრამები რამდენიმე კომპონენტისგან შედგება. ერთ-ერთის არსი მდგომარეობს იმაში, რომ თემი ახორციელებს გარკვეული ინფასტრუქტურის აღდგენით სამუშაოებს, ხოლო ანაზღაურება ხდება სურსათის სახით. არის პროექტები, რომელიც მიზნად ისახავს სადრენაჟო ქსელების რეაბილიტაციას, ნაპირდამცავი გაბიონების მშენებლობას, სასოფლო გზების აღდგენას, რამდენადაც ეს შესაძლებელია. ჩაის პლანტაციების, სახნავ-სათესი ფართობების გაფართოებას და ა.შ. დიდი ყურადღება ექცევა სკოლებში ბავშვების კვების პრობლემას. გვინდა, ხელი შევუწყოთ სკოლებში დეინსტიტუციონალიზმის პროცესს. ხშირ შემთხვევაში გაჭირვებული ოჯახები იძულებული არიან, ბავშვები ჩააბარონ სკოლა-ინტერნატებში, რადგან არ აქვთ მათი კვების საშუალება. უმჯობესია, თუკი საქართველოს მთავრობა უფრო მეტად ჩაერთვება გაეროს საერთაშორისო სასურსათო პროგრამის განხორციელებაში.

**- თქვენი აზრით, რამდენად დაინტერესებულია საქართველოს მთავრობა თქვენი პროგრამებით და რა როლს ასრულებს მის განხორცილებაში?**

- ათი წელიწადია, რაც საქართველოში ვმოღვაწეობთ და სულ გვაქვს კონტაქტი მთავრობასთან. განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთობა გვაქვს რაიონების, სოფლების გამგეობებთან, ანუ თვითმმართველობის დაბალ საფეხურზე. რაც შეეხება ცენტრალურ ხელისუფლებას, მათთან ურთიერთობის უფრო ეფექტური მექანიზმებია მოსაძებნი, რათა აქტიურად ჩაერთონ იმ პრობლემების მოგვარებაში, რაზეც ჩვენი ორგანიზაციაა მომართული.

**- როგორც ჩვენთვისაა ცნობილი, თვენი პროგრამების განხორციელება თანდათან შეიზღუდება, რა არის ამის მიზეზი?**

- ეს არის გლობალური პრობლემა და ის მხოლოდ საქართველოს არ ეხება. გაეროს საერთაშორისო სასურსათო პროგრამა მთლიანად დამოკიდებულია დონორ ქვეყნებზე. მას მხოლოდ იმ დახმარების გაწევა შეუძლია, რომელსაც დონორი ორგანიზაციები და ქვეყნები გადმოგვცემენ. არსებობს რამოდენიმე მიზეზი იმისა, თუ რატომ მცირდება დახმარებები. პირველი მიზეზი გახლავთ ის, რომ ჩვენი დონორი ქვეყნები თავად განიცდიან ეკონომიკურ სიძნელეებს. მეორე მიზეზი არის ის, რომ, როდესაც მსოფლიოში არსებობს დიდი კატასტროფები, როგორიცაა სუდანში დაფურის კრიზისი, ან ცუნამის შედეგად დაზარალებული ადამიანები აზიაში, დონორთა ყურადღება გადატანილია ამ ქვეყნებზე. ისინი მიიჩნევენ, რომ ეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნების ქრონიკული გაჭირვება.

საქართველოში საამისო სხვა მიზეზიც არსებობს. თქვენ გაქვთ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დახმარება საერთაშორისო თანამეგობრობისა, რომელსაც საქართველოს მთავრობას უწევენ. ეს არის დახმარება მაკრო-ეკონომიკურ დონეზე, სტრუქტურული ცვლილებებისა და ეკონომიკური რეფორმების განსახორციელებლად. ასეთი სახის დახმარება აუცილებელია საქართველოსთვის, მაგრამ ამგვარი დახმარების პირობებში მივიწყებული რჩება ის ფენა, რომელიც დღეს განიცდის ეკონომიკურ გაჭირვებას.

**- როდის ამოიწურება საქართველოსთვის დახმარების მიცემის ვადა?**

- მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ორგანიზაცია საქართველოში 10 წელიწადზე მეტია, მუშაობს, ვხედავთ და ვაღიარებთ, რომ ჯერ კიდევ არსებობს საჭიროება ჰუმანიტარული დახმარებისა. არსებული რესურსების გათვალისწინებით, ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ ის დახმარება რომელიც მომავალ წლებში გვექნება, სწორად განაწილდეს, ანუ დაურიგდეთ დაუცველ ფენებს. ჩვენ ნამდვილად არ გავიხურავთ კარს და არ წავალთ თქვენი ქვეყნიდან. მით უმეტეს თუ გავითვალისწინებთ იმ მდგომარეობას, რომელშიც ახლა ხართ. ნელ-ნელა საქართველოს მთავრობამ თავის თავზე უნდა აიღოს იმ საკითხების მოგვარება, რის მოგვარებასაც დღეს გაეროს მსოფლიო სასურსათო პროგრამა ცდილობს. რაც შეეხება ხანგრძლივ პერსექტივას, შესაძლებელია, ეს ურთიერთობა გადაიზარდოს ახალ ფაზაში. სწორედ ამიტომ გავაკეთე აქცენტი საქართველოს მთავრობასთან მჭიდრო ურთიერთობაზე. შესაძლოა, გაეროს მსოფლიო სასურსათო პროგრამა გახდეს ერთ-ერთი ნაწილი საქართველოს მთავრობის სიღატაკის პრობლემის დაძლევის პროგრამისა. იმედია, სქართველო დაძლევს იმ პრობლემებს, რომლის წინაშეც ახლა დგას და ერთ მშვენიერ დღეს იგი გახდება დონორი ქვეყანა გაეროს მსოფლიო სასურსათო პროგრამისთვის.

ენერგეტიკა

# მხატვრობიდან "ენერგეტიკოსობამდე"

საქართველოში, საბედნიეროდ, დღესაც არიან ადამიანები, რომელთაც უსაქმოდ ყოფნა არ შეუძლიათ და მუდამ იმის ცდაში არიან, თავიანთი ნიჭი და ცოდნა ხალხის სამსახურში ჩააყენონ.

ერთი ასეთი კაცი, დიდი ტრადიციების მქონე, მაგრამ ამჟამად გასაცოდავებულ ქალაქ ტყიბულში ცხოვრობს. მან, სხვათა მსგავსად, არ მიატოვა მშობლიური კუთხე და ისეთ საქმიანობას ეწევა, საშვილიშვილოდ რომ გადაეცემა შთამომავლობას. ეს მოღვაწე კაცი, სამი ვაჟკაცის მამა, პროფესიით მხატვარი და ჭეშმარიტი შემოქმედი ლერი ქემოკლიძე გახლავთ, რომელმაც იაკობ ნიკოლაძის სახ. სამხატვრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, საქმიანობა ქალაქ რუსთავში, სამხატვრო საამქროში დაიწყო, შემდეგ ქ. რუსთავის ერთ-ერთ საშუალო სკოლაში ხატვა-ხაზვას და სამშობლოს სიყვარულს ასწავლიდა პატარებს, მაგრამ მშობლიური მიწის ყივილმა არ მოასვენა და თავის ქალაქში - ტყიბულში დაბრუნდა, სადაც სახალხო თეატრში მხატვრად დაიწყო მუშაობა. ეს ის თეატრი გახლდათ, სადაც მოღვაწეობდნენ საქართველოს სახალხო არტისტები იპოლიტე ხვიჩია, ვიქტორ დეისიძე, რეჟისორი ლეო ლაღიძე, ქართული ხალხური საკრავების ანსამბლის დამაარსებელი კირილე ვაშაკიძე და სხვა მრავალი ღირსეული მამულიშვილი.

თეატრში მუშაობის პარალელურად, ლერი ქემოკლიძემ, სამეწარმეო საქმიანობაშიც სცადა ბედი და მოკლე ხანში მნიშვნელოვანი შედეგები მიიღო. მართალია, საქმე ააწყო, იდეებიც მრავლად ჰქონდა, შრომაც არ ეზარებოდა და მომავლის სასიკეთო პერსპექტივასაც ხედავდა, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში დატრიალებულმა უბედურებამ, საქმე გვერდზე გადაადებინა და ქვეყნის მთლიანობის დასაცავად, ერთ-ერთი პირველთაგანი ფრონტის წინა ხაზზე დადგა. გმირულად იბრძოდა ტყიბულის ბატალიონთან ერთად, სადაც იგი, მეთაურის მოადგილის რანგში, პირნათლად ასრულებდა თავის მხედრულ მოვალეობას. გვარდიის სამსახურში მუშაობის შემდეგ, როცა დაინგრა და განადგურდა ფაბრიკა-ქარხნები და მაღაროები, გაიძარცვა წარმოება-დაწესებულებები და ომგადახდილი ხალხის მდგომარეობა უკიდურეს გაჭირვებამდე მივიდა, კაპიკებად იყიდებოდა ოჯახიდან გამოტანილი ნივთები, ხოლო ჯართის მიმღებ პუნქტებთან ცოცხალი რიგები გაჩნდა; როცა საქართველო სრულიად ჩაბნელდა და შუქი ხალხს სანატრელი და საოცნებო გაუხდა, ლერი ქემოკლიძემ მიზნად დაისახა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, ელექტროსადგური აეგო და საკუთარი წარმოებისათვის საჭირო ელექტროენერგია თავად გამოემუშავებინა. დაიწყო თავდაუზოგავი შრომა. პრაქტიკულ საქმიანობასთან ერთად, აუცილებელი იყო თეორიული მომზადება.

"ფიზიკა სკოლაში არ მიყვარდა, მაგრამ როცა დამჭირდა, ეს საგანი ხელახლა ვისწავლე," - ღიმილით ყვება ბატონი ლერი. იდეებს ხორცშესხმა სჭირდებოდა და პრაქტიკული საქმიანობაც დაიწყო. მეზობლებს, მეგობრებს, ახლობლებსა და ნაცნობებს, რომელთაც სხვადასხვა ზომისა და ფორმის მილები, რკინის ნაკეთობები ჯართის მიმღები პუნქტებისაკენ მიჰქონდათ, სთხოვდა, ეს მასალა ჯართის ნაცვლად მისთვის მიეცათ და არც ის დარჩებოდა ვალში. ასე თანდათანობით, წვალებით, ძიებით, შეგონებით, მიწაში ჩამა-



რხული და მიტოვებული, ჟანგის "შესაჭმელად" განწირული მილების შეგროვებით, სპეციალისტთა კონსულტაციებითა და წიგნების დახმარებით, ლერი ქემოკლიძე თავისი იდეის ხორცშესხმას შეუდგა. შედუღებიდან დაწყებული, თითქმის, ყველა ხელობა ისწავლა და შედეგიც თანდათანობით თვალსაჩინო გახდა. თუმცა, მანმადე, ზოგი გიჟს ეძახდა, ზოგი შერეკილს, ზოგიერთი კი ურჩევდა - ეგ რკინები ჯართში ჩააბარე, კარგ ფულს მოგცემენო, მაგრამ ხელოვანმა და შემოქმედმა კაცმა იცოდა, რასაც აკეთებდა, მან, დღევანდელ კვერცხს ხვალინდელი ქათამი ამჯობინა და ჩაბნელებულ ტყიბულში მანათობელ შუქურასავით გაჩახჩახდა ლერი ქემოკლიძის კარ-მიდამო. მან საკუთარი ხელით შექმნა 750 კილოვატი სიმძლავრის ტურბინა, მაგრამ, ვინაიდან შესაბამისი სიმძლავრის გენერატორის შეძენა ვერ შეძლო, ამჟამინდელი გამომუშავებული ენერგია ბევრად ნაკლებია შესაძლებელზე - გენერატორის სიმძლავრე მხოლოდ 75 კილოვატია. თუკი "მხატვარი-ენერგეტიკოსი" მძლავრ გენერატორს შეიძენს, მიკროჰესის სიმძლავრე 750 კილოვატამდე გაიზრდება.

ბ-ნი ლერი მომავალზეც ფიქრობს და უკვე დაწყებული აქვს მეორე მიკროჰესის მშენებლობა, რომლის სათავე ნაგებობაში საკალმახე მეურნეობა მოაწყო. მისი აზრით, სამუშაოს დასრულების შემდეგ ჰესის სიმძლავრე 1,3 მეგავატი იქნება.

კეთილ საქმეს, მოშურნენი რომ გამოუჩნდებიან ხოლმე, ეს ახალი არ არის და ამ მხრივ, არც ლერი ქემოკლიძე აღმოჩნდა გამონაკლისი, მაგრამ შური, მოშურნეს აბოროტებს და პრობლემებს უქმნის, თორემ მიზანდასახული ადამიანისათვის იგი, სტიმულის მიმცემი უფროა. ასეთი "გამღიზიანებელი" ფაქტორები ყოველთვის დადებითად მოქმედებდა





ლერი ქემოკლიძის ნიჭსა და უნარზე - ახალი იდეები თითქოს თავისთავად წამოტივტივდებოდნენ ხოლმე გონებაში.

ენერგეტიკოსობას შეჭიდებულ ხელოვანს, მუდამ მხარში ედგა ბავშვობის მეგობარი გივი გაგნიძე, რომელიც ასე აფასებს მეგობრის მიღწევებს: "თავისი მარჯვენით, შრომით, შემართებით, ლერიმ შეუძლებელი შეძლო, კარგად მექანიზებულ სამმართველოსაც გაუჭირდებოდა მსგავსი სისტემის შექმნა ასეთ პირობებში. მუდამ მხარში ვედექი, ვუყურებდი მის საქმიანობას და ხანდახან მეშინოდა კიდეც, შუა გზაზე არ მიეტოვებინა ეს უმძიმესი საქმე. სამი წელი მოუნდა ამ საქმიანობას და დღეს უკვე იმ კონდიციამდეა მისული, რომ საკუთარ დენს გამოიმუშავებს. ახლა თანხა სჭირდება, რომ მაღალი წარმადობის გენერატორი შეიძინოს, რათა მეტი ენერგია გამოიმუშაოს, იაფად გაყიდოს, ხოლო თავისი კეთილშობილური ბუნებიდან გამომდინარე, ხალხსაც დაეხმაროს. ლერი ქემოკლიძის საქმიანობა მისაბაძი და სამაგალითოა ახალგაზრდებისათვის. ტყიბულში შეიქმნა პრეცედენტი, რომელსაც უთუოდ გამოუჩნდებიან მიმდევრები ახალგაზრდებში, რაც ერვნულ სულს გამოაღვიძებს და მიგრაციის პროცესსაც შეაჩერებს".

არ შეიძლება არ დაეთანხმო ბატონ გივი გაგნიძის ამ მოსაზრებას. მხატვარ ლერი ქემოკლიძის ენერგეტიკაში "გადასახლება", კიდევ ერთი დასტურია ქართველი კაცის ნიჭიერებისა და იმ პოტენციალის არსებობისა, რაც ჩვენი დალოცვილი ქვეყნის მოსახლეობაშია შემონახული. მთავარია, ადამიანს, თავისი სამშობლოს სიყვარული ამოძრავებდეს, თორემ მისი გაუკეთებელი ამ ქვეყნად არაფერია. ღმერთმა ნუ მოუშალოს ჩვენს ქვეყანას ლერი ქემოკლიძის მსგავსი მკლავმოუღლელი ადამიანები.

*ივანე ჯაფარიძე*
*ნატო ბრეგვაძე*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** სახელმწიფო სამედიცინო კოლეჯის სტუდენტების საპროტესტო აქციებთან დაკავშირებით გუშინ, შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ბიძინა ბრეგაძემ სპეციალური განცხადება გააკეთა. "საქართველოს მოქალაქეებს შეკრებისა და აზრის გამოხატვის თავისუფლება კონსტიტუციით აქვთ გარანტირებული და ეს უფლება მათთვის არავის შეუზღუდავს, მაგრამ რუსთაველის გამზირი ნამდვილად არ არის კარვების, ჯიხურების და სხვა უკანონო ნაგებობების განთავსების ადგილი," - განაცხადა ბრეგაძემ და დასძინა, რომ საპატრულო პოლიცია თავისი მოვალეობის შესრულებას - საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას კვლავაც გააგრძელებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** გალის რაიონის სოფელ ოტობაიაში ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული ნიღბიანი პირები თავს დაესხნენ ოკუჯავების ოჯახს. სასტიკად არის ნაცემი ოჯახის უფროსი, რომელმაც სხეულის მძიმე დაზიანებები მიიღო. ბოროტმოქმედებმა სახლიდან ორ ტონამდე თხილი და ძვირფასეულობა გაიტაცეს. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**გორი.** გორთან ახლოს გუშინ დილით მომხდარმა უბედურმა შემთხვევამ 65 წლის ქალის სიცოცხლე იმსხვერპლა. თბილისიდან ოზურგეთის მიმართულებით მოძრავი მატარებელი სოფელ ხიდისთავში ამავე სოფლის მკვიდრს ლუბა რამაზაშვილს დაეჯახა, რის შედეგადაც იგი რკინიგზის ხიდიდან გადავარდა და შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა. მატარებელმა ოზურგეთის მიმართულებით გზა განაგრძო. შემთხვევის ადგილზე სამართალდამცველები მივიდნენ და მომხდარის მიზეზად გარდაცვლილის გაუფრთხილებლობა დაასახელეს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ქუთაისი.** ხონის რაიონის სოფელ ივანდიდის მიმდებარე ტერიტორიაზე, ჯართის შემგროვებლებმა ყუმბარმტყორცნი აღმოაჩინეს. საბრძოლო იარაღი მოზარდებმა გაუქმებულ არხში იპოვეს. როგორც გაირკვა, იარაღი საბრძოლო მდგომარეობაში იყო და იგი ქუთაისის 21-ე ბრიგადის თანამშრომლებმა მოსახლეობისგან იზოლირებულ ტერიტორიაზე გაანადგურეს. ხონის პოლიციის ინფორმაციით, საბჭოთა კავშირის დროს სოფელ ივანდიდში სამხედრო ნაწილი ფუნქციონირებდა და ყუმბარმტყორცნი, სავარაუდოდ, იმ დროიდან უნდა იყოს შემორჩენილი. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსური პოლიციის იმერეთის სამმართველომ ჯანმრთელობისთვის საშიში სანელებლები აღმოაჩინა. ინდმეწარმე "გელა დგებუაძე" ფინანსურმა პოლიციამ მაშინ დააკავა, როცა მას ახლად დამზადებული სანელებლები "ფორდ-ტრანზიტის" მარკის ავტომანქანით, რეალიზაციის მიზნით გადაჰქონდა. დგებუაძემ ტვირთზე საბუთები ვერ წარმოადგინა, რის გამოც ავტომანქანა ფინანსურმა პოლიციამ ქუთაისის ტერმინალში გადაიყვანა და ოპერატიულ თანამშრომელთა მოთხოვნით, ექსპერტიზა ჩაუტარა. გაირკვა, რომ სანელებლები უვარგისია და ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიშია, რადგან მასში რკინის შემცველობა დასაშვებზე ბევრად მეტია. გელა დგებუაძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიში პროდუქციის დამზადების მუხლით აღიძრა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს ქალაქში მოქმედი კრიმინალური დაჯგუფების ერთ-ერთი აქტიური წევრი, ტყიბულში მცხოვრები მრავალჯერ ნასამართლევი, 27 წლის თემურ ჯმუხაძე, რომელმაც ცეცხლსასროლი იარაღისა და დანის მუქარით, საღამოს საათებში, მშრალი ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე 25 წლის მერი ვაშაკიძეს გასტაცა მობილური ტელეფონი და ფული.

გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად დაადგინეს, რომ ჯმუხაძემ იმავე დღეს, იმავე ტერიტორიაზე 26 წლის ლალი ახალაძეს, რუსთავში მცხოვრებ, 25 წლის ნათია ნაპირელს და 25 წლის მარიამ ხმიადაშვილს გასტაცა მობილური ტელეფონი და ფული. **მედიანიუსი**

# ქარელის პოლიციის უფროსსა და მის თანამშრომლებს სამთვიანი პატიმრობა შეუფარდეს

*გენერალურმა პროკურატურამ ქრთამის მიცემაში ეჭვმიტანილი ავთანდილ გელაშვილი დააკავა. საუბარია, კონტრაბანდისტობაში დადანაშაულებული, შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის ქარელის განყოფილების უფროსისა და მისი მოადგილეებისათვის ქრთამის მიცემის ფაქტზე. ეს ის ავთანდილ გელაშვილი გახლავთ, რომელთან გამართული სატელეფონო საუბარიც ქარელის პოლიციის უფროსის დაკავების საფუძველი გახდა.*



*კონტრაბანდის ბრალდებით დაკავებული პოლიციელები იზოლატორში გადაიყვანეს.*

შს მინისტრის განცხადებით, ქარელის პოლიციის უფროსის სატელეფონო საუბრები არ ისმინებოდა, ისმინებოდა კონტრაბანდისტების სატელეფონო საუბრები და ქარელის პოლიციის ყოფილი უფროსის საეჭვო საქმიანობა შემთხვევით გახდა ცნობილი. გენერალური პროკურორის განცხადებით კი, პროკურატურა ვინმე ავთოს, რომელსაც პოლიციის უფროსი ესაუბრებოდა, ვინაობის დადგენას ორი დღის მანძილზე აწარმოებდა. ერთი სიტყვით, ავთანდილ გელაშვილი დაკავებულია და გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, იგი კონტრაბანდისტებსა და პოლიციელებს შორის შუამავლის როლს ასრულებდა, არსებული ინფორმაციით, იგი ყოფილი პოლიციელი და ბესიკ გიორგაშვილის ნათესავია.

მთაწმინდა-კრწანისის სასამართლომ გუშინ სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა ქარელის პოლიციის ყოფილ უფროსს ბესიკ გიორგაშვილს და მის მოადგილეებს - თამაზ ხარატიშვილსა და ჯონდო ზურაბაშვილს.

შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის ახალმა უფროსმა ვლადიმერ ჯუღელმა კი, თანამშრომლებს ქარელისა და ერედვის ქვეგანყოფილებების ახალი უფროსები - დავით ცხოვრებაშვილი და ზურაბ ბორცვაძე წარუდგინა. მათ ამ თანამდებობებზე ბესიკ გიორგაშვილი და თანამდებობიდან გათავისუფლებული ლადო ჩალაური შეცვალეს.

შიდა ქართლის პოლიციის ახალმა შემადგენლობამ გუშინ ქარელში კონტრაბანდული საქონლის საწყობი აღმოაჩინა, სადაც კონტრაბანდულ საწვავსაც მიაგნო. არსებული ინფორმაციით, შიდა ქართლის პოლიციის თანამშრომლებს საწყობის მიგნებისთვის დიდად არ უწვალიათ. ინფორმაცია მისი არსებობის შესახებ დაპატიმრებულმა პოლიციელებმა გასცეს.

*24 საათი*




# განსასჯელი მირცხულავა განაჩენის მოლოდინშია

რამდენიმე დღეში მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლო სათბობ-ენერგეტიკის ყოფილ მინისტრს დავით მირცხულავას განაჩენს გამოუტანს. გუშინდელ სასამართლო პროცესზე განსასჯელის ადვოკატებმა დაცვითი ვრცელი სიტყვა წარმოთქვეს. ადვოკატები მირცხულავას მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანას და მის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოითხოვენ.

"სასამართლო ბრალდების გავლენის ქვეშაა მოქცეული და დარწმუნებულები ვართ, რომ ჩვენი დაცვითი სიტყვა მოსამართლის მიერ სათანადოდ არ იქნება შეფასებული," - აცხადებენ მირცხულავას ადვოკატები, რომელთა ბრალდებებსაც რამდენიმე დღის წინ ომბუდსმენიც დაეთანხმა.

"როგორც კი პროკურორმა კახა მაჭავარიანმა სასამართლოსგან მირცხულავასთვის 12 წლით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა, გენპროკურორის პირველმა მოადგილემ გიორგი ჯანაშიამ საჯარო კომენტარები გააკეთა და მირცხულავას მიმართ უდანაშაულობის პრეზუმფცია დაარღვია. გარდა ამისა, მირცხულავას საწინააღმდეგო განცხადებები რამდენიმე დღის წინ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გააკეთა, რაც სასამართლოზე პირდაპირი ზეწოლაა," - განაცხადა გუშინდელ სასამართლო პროცესზე ადვოკატმა ეკა ბესელიამ. მისივე თქმით, მირცხულავას დაკავების წუთებიდან მის მიმართ საგამოძიებო მოქმედებები საპროცესო ნორმების დარღვევით ხორციელდებოდა. დაკავებულმა 2003 წლის დეკემბერში, პროკურატურაში დაკითხვის დროს ინფარქტი და ინსულტი მიიღო და მას ბრალის წარდგენის მომენტში კონტაქტში შესვლა საერთოდ არ შეეძლო. ხოლო რაც შეეხება ბრალდებას, სომხეთიდან საქართველოსთვის 1998-1999 წლებში მოწოდებული ელექტროენერგიის საფასურის გადაუხდელობის გამო დაკისრებულ დავალიანებაზე საჯარიმო სანქციების მირცხულავასგან ხელოვნურად აღიარების შესახებ, ადვოკატი განმარტავს, რომ სომხური მხარე აღნიშნული საჯარიმო სანქციების გადახდას მირცხულავას მინისტრობამდეც ითხოვდა.

შეგახსენებთ, რომ მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოში წარმოებული საქმის პარალელურად სტრასბურგის ადამიანის უფლებების სასამართლო მირცხულავას წინასწარი პატიმრობის კანონიერების საკითხს განიხილავს. **24 საათი**

# დაზარალებულები ყაჩაღებს გაუსწორდნენ

ზესტაფონის რაიონში გუშინ დილით მომხდარი ყაჩაღობა სამართალდამცველებმა ცხელ კვალზე გახსნეს. სოფელ მეორე სვირში მცხოვრები თუთარაშვილების ოჯახში გამთენიისას ოთხი ნიღბიანი შეიარაღებული თავდამსხმელი შეიჭრა. მათ ოჯახის წევრებს ძვირფასეულობა და ფული მოსთხოვეს. ოჯახის უფროსმა და მისმა ვაჟმა ყაჩაღებს წინააღმდეგობა გაუწიეს, რის გამოც თავდამსხმელებმა ისინი სასტიკად სცემეს. დაზარალებულები ყაჩაღებს ვალში არ დარჩნენ, მათ ერთ-ერთ თავდამსხმელს მძიმე ბლაგვი საგანი ჩაარტყეს თავში და ყაჩაღური ბანდის წევრებმა იგი უგონო მდგომარეობაში წაიყვანეს შემთხვევის ადგილიდან.

"რაიონულმა პოლიციამ დანაშაული ოპერატიულად გახსნა და დაადგინა მისი ერთ-ერთი მონაწილე, რომელიც ადრე ყაჩაღობისათვის ნასამართლევი, ზესტაფონელი დავით მერკვილაძე აღმოჩნდა," - აცხადებენ სამართალდამცველები. **24 საათი**

# საპატრულო პოლიციაზე თავდასხმა განხორციელდა

გუშინ გამთენიისას სამტრედიის რაიონში, ცენტრალურ ავტომაგისტრალზე საპატრულო პოლიციაზე თავდასხმა განხორციელდა.

საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა, რომლებიც სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდნენ, გზაზე მოძრავ თეთრი ფერის მანქანას გაჩერება მოსთხოვეს. გაჩერებისთანავე, ავტომანქანიდან გადმოსულმა ერთ-ერთმა მგზავრმა საპატრულო მანქანას ცეცხლი გაუხსნა, რის შედეგადაც პოლიციის ერთ-ერთი თანამშრომელი მსუბუქად დაიჭრა.

პოლიცია თავდამსხმელებს დაედევნა და მიტოვებულ ავტომანქანას ჩოხატაურის რაიონის სოფელ ქვედა ბურნათში მიაკვლია.

შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია მასრები, თითის ანაბეჭდები, დანიშნულია ექსპერტიზა, მიმდინარეობს გამოძიება.

როგორც გაირკვა, ავტომანქანაში სამი დამნაშავე იმყოფებოდა, რომელთაგან ერთ-ერთი 2004 წელს გეგუთის კოლონიიდან გაქცეული, სამტრედიის პოლიციის რაიონული განყოფილის მიერ ძებნილი თენგიზ ფხაკაძე იყო. გაქცევამდე ის სასჯელს მკვლელობისა და ყაჩაღობისათვის იხდიდა. **ინტერ-პრესი**

# იუსტიციის სამინისტროს დელეგაცია ესტონეთში გაემგზავრა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დელეგაცია გუშინ ესტონეთის დედაქალაქ ტალინში გაემგზავრა. როგორც იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, ვიზიტი ევროკომისიის "სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმის" პროექტის ფარგლებში ხორციელდება და მისი მიზანი ესტონეთის პენიტენციურ სისტემაში არსებული მდგომარეობის გაცნობაა.

იუსტიციის სამინისტროს ათკაციან დელეგაციას იუსტიციის მინისტრის მოადგილე ეკატერინე ტყეშელაშვილი ხელმძღვანელობს, ხოლო მის შემადგენლობაში შედიან სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარე შოთა კოპაძე, მისი მოადგილე გოჩა გიგინეიშვილი, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სოციალური სამსახურის უფროსი მაია ხასია, ქუთაისის N2 საპყრობილის დირექტორი შოთა ტორაძე, რუსთავის N1 დაწესებულების დირექტორი ნიკა კვანტალიანი და სხვები. დელეგაციის წევრები შეხვედრებს გამართავენ ესტონეთის იუსტიციის სამინისტროში. ქართული მოდელის მსგავსად, პენიტენციური სისტემა სწორედ იუსტიციის სამინისტროს ექვემდებარება. გარდა ამისა, დელეგაციის წევრები დაათვალიერებენ ტარტუს, მურუსა და პარნუს საპყრობილეებს.

"ესტონეთის პენიტენციურ სისტემაში რამდენიმე წლის წინ არსებული სიტუაცია ძალიან ჰგავს საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში დღეს შექმნილ ვითარებას. ესტონეთში ვიზიტი სწორედ ამ მსგავსების გამო გადაწყდა," - განაცხადა "სასჯელაღსრულების სისტემის რეფორმის" პროექტის კოორდინატორმა სიმონ პაპუაშვილმა. **ინტერ-პრესი**

## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

________________________________________

### ა ნ კ ე ტ ა

**სახელი, გვარი** ..........................................

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი** ..........................................

**საკონტაქტო ტელეფონი** ..........................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

ყუთები განთავსებულია ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთ ჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართებზე:

1. მეტროს სადგური "ახმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური "მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური "თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური "წერეთელი";
5. მეტროს სადგური "სამგორი II";
6. მეტროს სადგური "ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური "გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური "დელისი");
8. მეტროს სადგური "ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური "დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფშენის" შენობის I-ლი სართული გაზეთ "24 საათის" ოფისი;
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი "გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს აგრეთვე ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ.77. იურიდიული ოფისი "გაპი".

# ბურჯანაძემ სტუდენტებს მოუწოდა, გარკვეულ ძალებს საკითხის პოლიტიზების საშუალება არ მისცენ

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ პარლამენტის შენობის წინ შეკრებილ სტუდენტებს მოუწოდა, არ მისცენ გარკვეულ ძალებს საკითხის პოლიტიზირების საშუალება.

როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ გუშინ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, სტუდენტები თავად უნდა აღუდგნენ წინ მათ, ვინც ცდილობს, მათი აქცია პოლიტიკური მიზნებისთვის გამოიყენოს. "საქართველოში მოქმედებს კანონი "მანიფესტაციების შესახებ" და სტუდენტების თავისუფლებას არ ვზღუდავთ, მაგრამ ქვეყანაში მიმდინარე პროცესები ცივილიზებულ ჩარჩოებში უნდა ჩავაყენოთ. თბილისში აღარ უნდა დაბრუნდეს კარვების დრო, რადგან საქართველომ ეს პერიოდი უკვე გაიარა," - აღნიშნა ნინო ბურჯანაძემ და მოუწოდა სტუდენტებს, მიმართონ პროტესტის ცივილიზებულ ფორმებს და საკუთარი ინტერესების დასაცავად სასამართლოში სარჩელი შეიტანონ.

"თუ სტუდენტების არგუმენტაცია მყარია, უჩივლონ განათლების სამინისტროს, ან თუნდაც პარლამენტს. ვარწმუნებ სტუდენტებს, რომ სასამართლო აღნიშნულ საკითხს პრიორიტეტულად განიხილავს და ხელისუფლება სასამართლოს გადაწყვეტილებას დაემორჩილება," - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

*ინტერ-პრესი*

"მემარჯვენე ოპოზიცია" 14 მარტის საღამოს პარლამენტის შენობის წინ სამედიცინო კოლეჯის სტუდენტების აქციის დაშლის ფაქტს "უპრეცედენტოს" უწოდებს.

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიცია - მრეწველები, ახლების" წარმომადგენელმა ფიქრია ჩიხრაძემ განაცხადა, "ხელისუფლება შეცდომას შეცდომაზე უშვებს და ქუჩის აქციების პროვოცირებას ახდენს." **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

სახელმწიფო სამედიცინო კოლეჯის სტუდენტების საპროტესტო აქციებთან დაკავშირებით გუშინ, შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ ბიძინა ბრეგაძემ სპეციალური განცხადება გააკეთა.

"საქართველოს მოქალაქეებს შეკრებისა და აზრის გამოხატვის თავისუფლება კონსტიტუციით აქვთ გარანტირებული და ეს უფლება მათთვის არავის შეუზღუდავს, მაგრამ რუსთაველის გამზირი ნამდვილად არ არის კარვების, ჯიხურების და სხვა უკანონო ნაგებობების განთავსების ადგილი," - განაცხადა ბრეგაძემ და დასძინა, რომ საპატრულო პოლიცია კვლავაც გააგრძელებს თავისი მოვალეობის შესრულებას - საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული სტუდენტური ორგანიზაციის - "სტუდენტური კლუბის" წარმომადგენლები აცხადებენ, რომ გუშინწინ პარლამენტთან კარვების გაშლა არა სამედიცინო კოლეჯის სტუდენტებმა, არამედ პოლიტიკურმა პარტიებმა სცადეს.

ისინი ხელისუფლებას მოუწოდებენ, "ლეიბორისტული პარტიისა" და "წინ, საქართველოს" წარმომადგენლებს სტუდენტური აქციის გამოყენების შესაძლებლობა არ მისცეს.

რაც შეეხება აქციის მონაწილე სტუდენტთა მოთხოვნებს, "სტუდენტური კლუბის" წევრები მიიჩნევენ, რომ მათთან მიმართებაში ხელისუფლებამ კომპრომისული გადაწყვეტილება უნდა მიიღოს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტური გაერთიანება "რეფორმატორების" წევრები პარლამენტთან მიმდინარე აქციის პოლიტიზებაზე საუბრობენ. მათი განცხადებით, პარლამენტთან კარვები გუშინწინ ღამით, "ახალი მემარჯვენეების" დაკვეთით გაიშალა.

"აქციის მხარდასაჭერად სწორედ ის პოლიტიკოსები გამოვიდნენ, რომლებსაც განათლების სფეროსთვის პოზიტიური ჯერ არაფერი გაუკეთებიათ. პირიქით, ისინი ამ სისტემისთვის ოდიოზური ფიგურები არიან, რომლებიც ნებისმიერ რეფორმას უპირისპირდებიან," - აცხადებს "რეფორმატორების" წარმომადგენელი გიორგი რეხვიაშვილი. **ინტერ-პრესი**

# აურზაური წესრიგის გამო

პირველი გვერდიდან

გუშინ შუადღისთვის დაგეგმილი ოპოზიციის მიტინგი რამდენიმე საათით დაგვიანდა. მოძრაობა "წინ საქართველოს" წარმომადგენელმა ირაკლი ბათიაშვილმა ამის მიზეზად "ტექნიკური გაუმართაობა" დაასახელა. მიკროფონებს მოვიტანთ და მიტინგი დაიწყებაო, - განუცხადა ბათიაშვილმა "24 საათს". ჩვენი ინფორმაციით, მიტინგის დაგვიანების მიზეზი სტუდენტების მშობლებსა და ოპოზიციური ძალების წარმომადგენელთა შორის უთანხმოება გახლდათ. კერძოდ, მშობელთა გარკვეული ნაწილი საკითხის პოლიტიზების და პოლიტიკური ლოზუნგების წამოყენების წინააღმდეგი იყო.

"ხმამაღალი" მიტინგის დაწყებამდე სიტყვით გურამ შარაძე, გიორგი კერვალიშვილი და რამდენიმე მშობელი და გულშემატკივარი გამოვიდნენ.

მხარდამჭერებსა და გულშემატკივრებს შორის იყვნენ თამარ ჩხეიძე, დოდო გუგეშაშვილი, ნანა კაკაბაძე, ადა მარშანია, ცსკო-ს ყოფილი თავმჯდომარე გია ზესაშვილი...

**"დარბევა გავიგე და ამიტომ მოვედი, დარბევის წინააღმდეგ ჩვენი შეხედულების გამოსახატად. დარბევა რომ არ მომხდარიყო? - თუ სტუდენტები არ მოგვმართავდნენ, ალბათ, არ მოვიდოდით. იქნებ, მათ არ აწყობდათ თავიანთი მოთხოვნის პოლიტიზება,"** - განუცხადა "24 საათს" თამარ ჩხეიძემ. დამატებით შეკითხვაზე - რამდენად მიზანშეწონილად მიგაჩნიათ საკითხის პოლიტიზება? - ქალბატონმა ჩხეიძემ გვიპასუხა: **"საკითხი შესასწავლია, დეტალურად არ ვიცნობ. ერთი რამის თქმა შემიძლია: იქიდან გამომდინარე, რომ კანონს უკუქმედების ძალა არ აქვს, სტუდენტების მოთხოვნა სწორია. ამდენად, რაღაც ფორმით შეიძლება მათდამი მხარდაჭერის გამოხატვა."**

მოგვიანებით, პარლამენტის შენობის წინ ჯონდი ბაღათურია გამოჩნდა. იგი აქციის მონაწილეებს მოუწოდებდა: **"აქ რაც შეიძლება ბევრი ხალხი უნდა შეიკრიბოს, ყველა უნდა გამოვიდეს ქუჩაში! გუშინ თუ თქვენი შვილები დაარბიეს, ხვალ სხვებსაც იგივე ბედი ელით. ყველამ ერთად უნდა აიმაღლოს ხმა! უნდა მოიყვანოთ თქვენი მეზობლები, ნათესავები, ყველა..."**

მართლა იყო თუ არა უთანხმოება მიტინგზე მისულ პარტიებსა და მშობელთა შორის? – ბატონმა ჯონდიმ ამ შეკითხვის დასრულების საშუალება არ მოგვცა: **"ერთი წუთით, ერთი წუთით, თქვენ თავი დაანებეთ აქ პარტიების დასახელებას. მე მინდა გთხოვოთ, აქ არის საერთო-სახალხო აღშფოთება. ხალხი აპროტესტებს იმ ჩაგვრას, იმ ძალადობას, რასაც ხელისუფლების მხრიდან აქვს ადგილი. ჩვენ გვყავს მთვრალი და ნაძარცვი ფულით გამძღარი ხელისუფლება, რომელიც მისგანვე დამშეულ საზოგადოებას ტელევიზიით და პრესით აყურებინებს, როგორ მღერის მაძღარი და მთვრალი ხელისუფლება უკრაინელ, რუს თუ ქართველ მეძავებთან ერთად... აქ არის სპონტანური აქცია. ეს ბავშვები ითხოვენ ოპოზიციისგან მხარდაჭერას. პირადად ჩემთან იყვნენ მოსულები"...** ამგვარ კომენტარს ბატონმა ჯონდიმ ეპილოგიც მოაყოლა: **"იმედია, "24 საათი" ზუსტად იმას დაწერს, რაც მე ვთქვი."**

"ლეიბორისტი" სოსო შატბერაშვილი, რომლის შვილიც სამედიცინო კოლეჯის სტუდენტია, გაცილებით გულახდილი იყო. მან ჩვენთან საუბრისას ბრძანა: **"მშობელთა გარკვეული ნაწილი თუ პროვოკატორები შიგადაშიგ გვეუბნებიან, წადით, თქვენ არ ხართ საჭიროო. სანამ ასეთი განწყობილება იქნება, აქ ბატონი შალვა არ მოვა"...**

მოძრაობა "წინ საქართველოს" წარმომადგენლებმა, ირაკლი ბათიაშვილმა და მალხაზ გულაშვილმა ჯერ კიდევ მიტინგზე სიტყვით გამოსვლამდე "24 საათს" განუცხადეს: **"ხელისუფლებამ გუშინ დაარღვია ადამიანის უფლებები. 14 ბავშვია დაშავებული. ჩვენ გამოვდივართ მთავრობის და ომბუდსმენის გადაყენების მოთხოვნით... ამასთანავე, პასუხისგებაში უნდა მიეცენ ის პირები, რომლებმაც დარბევის გადაწყვეტილება მიიღეს... პრეზიდენტს, ჯერჯერობით, ვაძლევთ საშუალებას, რომ მთავრობის გადაყენების გადაწყვეტილება მიიღოს..."**

"წინ საქართველოს" წარმომადგენლები აცხადებენ, რომ **"სტუდენტების გვერდით არის ყველა პოლიტიკური ძალა, ნაციონალების და დემოკრატების გარდა. რესპუბლიკელები და კონსერვატორები, რა თქმა უნდა, ხელისუფლებასთან ერთად იგულისხმებიან."** ერთ-ერთი მშობელი ამ მოსაზრებას არ დაეთანხმა და "კონსერვატორების" დახმარების იმედი გამოთქვა.



*პოლიტიკოსთა ზედმეტმა აქტიურობამ ზოგიერთი მშობლისა და სტუდენტის უკმაყოფილება გამოიწვია.*



მიტინგზე ბათიაშვილი მთავრობის გადაყენების მოთხოვნით არ გამოსულა. მან ყურადღება ლომაიას დესტრუქციულ პოლიტიკაზე გაამახვილა და საგანგებოდ დასძინა: **"ნურავინ მოახდენს სპეკულაციას, რომ აქ პოლიტიკური ძალები შეიკრიბნენ, ჩვენ ერთი საზოგადოების წარმომადგენლები ვართ."**

მშობელთა კომიტეტის წევრმა ნატა ჯღარკავამ "24 საათს" განუცხადა:

**"თავიდან გვქონდა კონკრეტული მოთხოვნები და პოლიტიკისგან შორს ვიდექით. ორი კვირის შემდეგ ვნახეთ, რომ ჩვენით არავინ დაინტერესებულა. მეტიც, 16 წლის ბავშვები დაარბიეს. ყველაფერმა ამან ჩვენი პროტესტი გამოიწვია და ლოზუნგებიც შევცვალეთ."** მშობელთა გარკვეული ნაწილი პირად საუბრებში აცხადებდა, რომ ამ საკითხის პოლიტიზება ხელს არ აძლევდათ, რომ ეს გზა მათთვის წამგებიანი იყო.

წუხანდელ მიტინგზე სტუდენტებმა განათლების მინისტრის კახა ლომაიას გადაყენების ულტიმატუმი წამოაყენეს. ვადად საქართველოს პრეზიდენტს 21 საათი დაუთქვეს. დაახლოებით, 21 საათსა და 30 წუთზე მინისტრი ლომაია სატელევიზიო ეთერით გამოვიდა და განაცხადა, რომ იგი მიესალმება სამედიცინო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებას, რომლის თანახმადაც კოლეჯის მესამეკურსელებს გამოსაშვები გამოცდები ოქტომბრისათვის გადაუვადდათ და საშუალება მიეცათ, მომზადებულიყვნენ ერთიანი ეროვნული გამოცდისთვის.

თებერვლიდან "24 საათი" ინგლისურად.
English newspaper 24 Hours, coming out from February
გამოწერით.
on subscription basis
e-mail: public@24hours.ge
Tel: 20 24 24 Fax:20 24 25



ოტო რეჰაგელი: „თბილისში მძიმე მატჩი გველის"



B4

ჟირესი საინფორმაციო ომს იწყებს



B5

აფხაზთა პოზიცია მხარეების პირველ შეხვედრაზე



B6

# ჯობს, სამედიცინო განათლების ხარისხზე ვიფიქროთ

**ვანო ბოკერია: იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს დირექტორი ხარისხის დარგში; მანამდე იყო ბავშვთა ნევროლოგიისა და ნეირორეაბილიტაციის ცენტრის დამფუძნებელი და 4 წლის მანძილზე დირექტორი; სამედიცინო განათლების პრობლემებზე მუშაობა 8 წლის წინ დაიწყო და თავის კლინიკაში განავითარა კიდეც ეს პროცესი; იყო ორი მოწვევის პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე; დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი.**



ლისაბონის კონვენციით, საქართველოს მოწერილი აქვს ხელი, რომ სამედიცინო სწავლება 11+6 წელია. კოლეჯთან დაკავშირებულ პროცესში წლების ეს რაოდენობა მცირდება და ხდება 10+6 წელი. ამიტომაც არ ხდება ასეთი დიპლომების ნოსტრიფიცირება, რაც დიდ პრობლემას უქმნის ამ ბავშვებს. ამ დიპლომს, უბრალოდ, არ ცნობენ.

ასეთ მიდგომას მთლიანად გამორიცხავს თანამედროვე მსოფლიოს მიერ მიღებული კონსენსუსი. ეს სერიოზული პრობლემა, პირველ რიგში, იმ პაციენტებისთვის იქნება, ვინც ასეთი მენტალობის ექიმთან მივა და, რა თქმა უნდა, მთლიანად საზოგადოებისთვისაც.

გახსოვთ, ოდესმე სტუდენტთა რომელიმე ჯგუფი გამოსულიყო მოთხოვნით "არ გვაკმაყოფილებს განათლების ხარისხი", ან "ამდენ ხანს რატომ არ აღიარებს უცხოეთი ჩვენი ქვეყნის დიპლომებს?". ამ მოთხოვნებს მეც და ბევრი სხვაც შეუერთდებოდა.

დავით გამყრელიძეს მინდა შევახსენო წარსული, ის დრო, როდესაც პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე იყო. მან შესანიშნავად იცის, განათლების რა ხარისხიც არის სამედიცინოში. პირველი ბრძოლა რაღაცის გამოსწორებისათვის სწორედ მის კომიტეტში დაიწყო და იმაზე, რაც ახლა ხორციელდება, ჩვენ მაშინ მხოლოდ ვოცნებობდით... რა მოხდა მის ცხოვრებაში ისეთი, რომ დღეს კოლეჯის, ხეცურიანის და ინსტიტუტის გულაჩუყებული დამცველი გახდა?!

- არსებობს ყველა პროფესიისთვის საერთო მახასიათებლები, მაგრამ სამედიცინო განათლებას სპეციფიკური მახასიათებლებიც გააჩნია. მსოფლიო სამედიცინო კონსენსუსით დადგენილია, რომ სამედიცინო განათლება სამ ძირითად შემადგენელ ნაწილზე დგას - ბაზისური (დიპლომამდელი) სამედიცინო განათლება, რის შემდეგაც სწავლა პოსტდიპლომური განათლებით (რეზიდენტურა) და უწყვეტი პროფესიული განათლებით გრძელდება. სწორედ ეს უკანასკნელი მოიცავს უნარ-ჩვევების მუდმივ განვითარებას.

იმ ტექნიკური რევოლუციებისა და აფეთქებების გამო, რაც სამედიცინო სფეროში ხდება, მსოფლიოში განსაკუთრებით აქტუალური გახდა სამედიცინო განათლების ხარისხზე ზრუნვა. ამ დარგში ძალიან ბევრი რამ და ძალზე სწრაფად იცვლება - მიდგომები, ტექნოლოგიები. 1984 წლიდან მსოფლიომ ამაზე ზრუნვა დაიწყო და სამედიცინო განათლების კოლაბორაციული პროგრამა ამუშავდა. ამ პროგრამაში მსოფლიოს ბევრი ქვეყანა ჩაება. 2003 წელს ლისაბონში ჩატარდა სამედიცინო განათლების მსოფლიო კონფერენცია, რომელიც ჯანმრთელობის დაცვის ხარისხის გაუმჯობესებისკენ მიმართული სამედიცინო განათლების საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას მიეძღვნა. ამ კონფერენციაზე მიიღეს კონსენსუსი და ეს სტანდარტები მთელი მოფლიოსთვის და მათ შორის, საქართველოსთვისაც სამოქმედო პროგრამად იქცა.

უნივერსიტეტში სწავლების ერთ-ერთი მთავარი მიზანი ის გახლავთ, რომ სტუდენტი ფლობდეს იმ კომპეტენციას, ცოდნას, უნარ-ჩვევებსა და მიდგომებს და მთელი ცხოვრების მანძილზე პოსტდიპლომური განათლებისთვის იყოს მზად. ამას life long learning ჰქვია.

**- აბიტურიენტთა ნაწილს განსაკუთრებით აშინებს "უნარ-ჩვევები", რომელიც ერთიან ეროვნულ გამოცდაზე უნდა ჩააბარონ. რა ტესტია ეს?**

- სიახლეს შიში ხშირად ახლავს და ეს გასაგებია. მაგრამ, ჩემი აზრით, ამ ტესტით იმ ადამიანების გამორჩევა ხდება, რომელთაც საკუთარ თავზე მუშაობით დააგროვეს იმ კატეგორიის ცოდნა, რომელიც ყველა პროფესიისთვის და განსაკუთრებით, სამედიცინო მუშაკისთვის არის აუცილებელი. ამ უნარ-ჩვევებში, როგორც ჩანს, გამორჩეული ადგილი უჭირავს ლოგიკის განვითარებას და ეს ექიმისთვის ძალზე მნიშვნელოვანია. ის აუცილებლად ჩავარდება ისეთ მდგომარეობაში, როდესაც გადაწყვეტილება დამყარებული უნდა იყოს არა მხოლოდ ცოდნასა და უნარ-ჩვევებზე, არამედ არსებული ამოცანის ლოგიკურ ამოხსნაზე.

**- საქართველოში საბაზისო სამედიცინო განათლების დონე რამდენად შეესაბამება მსოფლიო სტანდარტებს?**

- სწავლების ხარისხზე საუბრისას აუცილებლად უნდა შევეხო ბაზისური სამედიცინო სწავლების სტანდარტებს. ეს სტანადარტები 9 მიმართულებას შეიცავს - სამედიცინო სასწავლებლების მისია და ამოცანები; საგანმანათლებლო პროგრამა; სტუდენტთა შეფასება; სტუდენტები და საგანმანათლებლო დაწესებულების დამოკიდებულება მათთან; აკადემიური შტატი; პროგრამის საგანმანათლებლო შეფასება; ინსტიტუტის ხელმძღვანელობა და ადმინისტრირება; მუდმივი განახლება. ეს კიდევ მოიცავს ქვეკომპონენტებს და სულ 36 სტანდარტია. თუ სამედიცინო სასწავლებლის ხარისხზე საუბარი გვსურს, უნდა ვნახოთ, რამდენად სრულდება მსოფლიო კონსენსუსის მიერ დადგენილი ეს 36 სტანდარტი. შეფასებისას რამდენიმე მეთოდი გამოიყენება - თვითშეფასება, კოლეგა-ექსპერტის და ამ ორი სეგმენტის კომბინირებული შეფასება და აკრედიტაცია. როგორც ვიცი, ჩვენთან ამ დონის შეფასებას რამდენიმე წლის შემდეგ აპირებენ.

**- სამედიცინო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა, კოლეჯის სტუდენტები და მათი მშობლები ხშირად აპელირებენ, რომ თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტი არის ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის წევრი. ამ ორგანიზაციის წევრობისას მსოფლიო სტანდარტების დაკმაყოფილება საჭირო არ არის?**

- ეს ასოციაცია მაღალი რეპუტაციის მქონე არასამთავრობო ორგანიზაციაა. მთელ მსოფლიოში ანალოგიური ტიპის ათამდე ასეთი ასოციაცია არსებობს. რა თქმა უნდა, მისი წევრობა ძალიან კარგია, მაგრამ ეს ხარისხის ინდიკატორი არ არის. ეს ორგანიზაცია თავის წევრებს ხარისხის შეფასებასა და გაუმჯობესებაში ეხმარება.

**- და რა კრიტერიუმებით იღებენ წევრად?**

- წევრობისთვის აუცილებელია, სამედიცინო სასწავლებელს დოქტორის მომზადებისა და წელიწადში თუნდაც ერთი დოქტორის გამოშვების პროგრამა ჰქონდეს. მოგეხსენებათ, ჩვენი სამედიცინო ინსტიტუტი მრავალ ათეულ დოქტორს უშვებს. გარდა ამისა, საჭიროა სხვა ორი წევრის რეკომენდაცია და აგრეთვე საწევროს გადახდა, რომელიც წელიწადში 2 150 ევროდან - 3 193 ევრომდე მერყეობს. საწევროს დადგენის დროს მხედველობაში მიიღება ქვეყნის განვითარების დონე. ამ ასოციაციის წევრია 45 ქვეყნის 759 უნივერსიტეტი. მათ შორის, აზერბაიჯანის 7, სომხეთის 2, ტირანას უნივერსიტეტი, ივანოვოს სახელმწიფო უნივერსიტეტი და ა.შ. ამ ასოციაციის წევრია თსუ-ს და ტექნიკური უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტებიც. ასეთი დაბალი ხარისხის უნივერსიტეტების დიდი რაოდენობა სწორედ მათ განვითარებაში დახმარებისთვის არის განპირობებული. ისინი უწყვეტი განათლების იმპლემენტაციაში გეხმარებიან და თუ ამას არ აკეთებ, ეს, უბრალოდ, ტრიუკია.

**- პირველი პაციენტის მიღებამდე 17 წელი უნდა ისწავლო. "სწავლა სიკვდიმდე"-სთან შედარებით, ეს ცოტაა, მაგრამ პარლამენტის წინ მდგარ მშობლებს ეს 17 წელი უზომოდ ბევრად ეჩვენებათ და ეს ერთმა ექიმმა მშობელმა ეთერშიც თქვა.**

- და სასწავლო პროგრამა სულ უფრო იზრდება, რადგან მას ემატება ახალი მიდგომები, და დიდ ადგილს იკავებს ის დარგები, რომელიც ადრე არ იყო - სოციალური მედიცინა, სამედიცინო ეთიკის, მტკიცებითი მედიცინის საკითხები და ამ პროგრამების შემცირება ვერაფრით ვერ მოხდება. უბრალოდ, ზოგიერთი ბაზისური და კლინიკური საგანი ინტეგრირებულად ისწავლება. ბაზისური, პოსტდიპლომური და უწყვეტი განათლება ერთიანი, ჰარმონიზებული სისტემაა. ეს არის პირობითად რამდენიმე ეტაპად დაყოფილი ერთი სამედიცინო განათლება.

ლისაბონის კონვენციით, საქართველოს მოწერილი აქვს ხელი, რომ სამედიცინო სწავლება 11+6 წელია. კოლეჯთან დაკავშირებულ პროცესში წლების ეს რაოდენობა მცირდება და ხდება 10+6 წელი. ამიტომაც არ ხდება ასეთი დიპლომების ნოსტრიფიცირება, რაც დიდ პრობლემას უქმნის ამ ბავშვებს. ამ დიპლომს, უბრალოდ, არ ცნობენ.

**- აჟიოტაჟი, რაც სამედიცინო კოლეჯთან დაკავშირებით ხდება, პარლამენტთან შექმნილი გარემო რითი ემუქრება ამ სტუდენტებს?**

- პროფესიულად და ადამიანურად ვიტყვი - აქცია იმაზე მეტყველებს, რომ ეს ბავშვები მზად არ არიან სამედიცინო განათლების ერთიან უწყვეტ, უსასრულო პროცესად აღსაქმელად. მშობლები სულ რაღაც ერთი წლის მოგებაზე, რაღაცის დაკლებაზე ლაპარაკობენ. ასეთ მიდგომას მთლიანად გამორიცხავს თანამედროვე მსოფლიოს მიერ მიღებული კონსენსუსი. ეს სერიოზული პრობლემა, პირველ რიგში, იმ პაციენტებისთვის იქნება, ვინც ასეთი მენატლობის ექიმთან მივა და, რა თქმა უნდა, მთლიანად საზოგადოებისთვისაც. ამიტომ, საზოგადოებამ საღად უნდა შეაფასოს ეს პროცესი.

ერთი რამ მიკვირს - განათლების სამინისტროს გვერდით მეორე მხარედ რატომ არ დგას სამედიცინო უნივერსიტეტი, რომელსაც პასუხისმგებლობა ეკისრება ხელშეკრულებებზე, სადაც საგანმანათლებლო მომსახურებაზე ხელი აქვს მოწერილი, ერთი მხრივ, სერვისის მიმწოდებელს (კოლეჯს) და მეორე მხრივ, სერვისის მიმღებს (მშობელს)?

ხოლო არგუმენტი, რომ კანონს უკუქმედების ძალა არ გააჩნია, ამ შემთხვევაში არ გამოდგება და ამას ნებისმიერი იურისტი აგიხსნით - მიიღეს უფრო ზემდგომი კანონი, რომელიც ამ ხელშეკრულებას სხვაგვარად არეგულირებს. არავითარ უკუქმედებაზე არ არის საუბარი.

**- თქვენი აზრით, მხოლოდ ოფიციალურად და არაოფიციალურად გადახდილმა ფულმა განაპირობა მშობელთა ამგვარი დამოკიდებულება საკუთარი შვილების განათლებისადმი?**

- აქციის მონაწილეებს გვერდით ერთ შემთხვევაში ამოვუდგებოდი... გახსოვთ, ოდესმე სტუდენტთა რომელიმე ჯგუფი გამოსულიყო მოთხოვნით, "არ გვაკმაყოფილებს განათლების ხარისხი", ან "ამდენ ხანს რატომ არ აღიარებს უცხოეთი ჩვენი ქვეყნის დიპლომებს?". ამ მოთხოვნებს მეც და ბევრი სხვაც შეუერთდებოდა. მაგალითად მინდა მოვიყვანო "აიეტის" სკოლაში მომხდარი ერთი შემთხვევა - ერთ-ერთი კურსის ბავშვებმა ერთ-ერთი საგნის პედაგოგისა და საგნის შეცვლა მოითხოვეს იმ მოტივით, რომ ეს პედაგოგი საგანს გაურკვეველი პროგრამითა და სახელმძღვანელოებით გვასწავლისო. ეს იმიტომ მოხდა, რომ ამ ბავშვების უმეტესობა შემდგომ გამოცდებს ამერიკაში აბარებს და მათ იციან ცოდნის ფასი. მათ იციან, რომ წინ სერიოზული გამოცდები ელით და ასეთივე სერიოზულ სწავლებას ითხოვენ. ასე რომ, პრეცედენტები არის.

**- განათლების სამინისტრო პოზიციებს არ თმობს, პოლიტიკოსების ეს ნაწილი ესკალაციას არ ერიდება, თქვენი აზრით, რა უნდა გაკეთდეს ასეთ ვითარებაში?**

- აუცილებელია საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება და სწორედ სამედიცინო განათლების კუთხით. კანონმდებლობაში უნდა აისახოს მსოფლიო კონსენსუსით მიღებული სტანდარტები. ან ცვლილება უნდა შევიდეს განათლების კანონში, ან ცალკე, როგორც პროფესიის კანონი, ისე უნდა ჩამოყალიბდეს. ამან უნდა დაარეგულიროს და რეალური ბაზა შეუქმნას სამედიცინო განათლების პროცესს.

**- სამწუხაროდ, სოციალური თუ საგანმანათლებლო მოთხოვნებით დაწყებულ ამ აქციას პოლიტიკოსებიც შეუერთდნენ, რაც, ჩემი აზრით, სულ უფრო მიუწვდომელს გახდის კოლეჯის სტუდენტთა მოთხოვნების ნაწილის შესაძლო დაკმაყოფილებას...**

- კარგად გამოჩნდა პოლიტიკური პარტიების დამოკიდებულება ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისადმი. არ მინდა მათ რეკლამად ჩამეთვალოს, მაგრამ, ერთადერთი ოპოზიციური პოლიტიკური ძალა - "რესპუბლიკელები", არ დგანან მიტინგზე. განა ცოტა აქვს საკრიტიკო ამ მთავრობას? სწორედ განათლების რეფორმა და გარდაქმნებია სტრატეგიულად სწორად დაგეგმილი. მაინცდამაინც ამას რატომ უნდა ებრძოლო, ჩემთვის გაუგებარია. ჩემი აზრით, საზოგადოებამ კარგად უნდა დაინახოს, თუ რა დამოკიდებულება აქვს ოპოზიციას ქვეყნის და მისი მომავლის მიმართ. თუ შენი ქვეყანა გიყვარს და იცი, რა არის განათლების ხარისხის ფასი, როგორ შეიძლება იქ ფეხი მიგიცდეს და ამ ახალგაზრებს, რომელთაც შეიძლება ბევრი რამ არ იციან, ან ეშლებათ, ამაში როგორ უნდა დაუჭირო მხარი? ეს ამაზრზენს ხდის ამ ძალებს, რომ აღარაფერი ვთქვათ შარაძეებზე და მსგავსებზე.

მემარჯვენე ძალები თავისი შინაარსითა და მრწამსით, განათლების რეფორმის ყველაზე მეტი მხარდამჭერები უნდა იყვნენ. დავით გამყრელიძეს მინდა შევახსენო წარსული, ის დრო, როდესაც პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე იყო. მე სწორედ მის მიერ მოწვეული იმ საკონსულტაციო საბჭოს წევრი ვიყავი, სადაც სამედიცინო განათლების და სამედიცინო უნივერსიტეტის ხარისხის პრობლემებზე ვმუშაობდი. მან შესანიშნავად იცის, რა ხარისხიც არის. პირველი ბრძოლა რაღაცის გამოსწორებისათვის სწორედ მის კომიტეტში დაიწყო. მის მიერ შეკრებილ 15-კაციანი კომისიის წევრებს პოზიცია არ შეუცვლიათ და ბევრი დღესაც მისი მეგობარია. რა მოხდა მის ცხოვრებაში ისეთი, რომ დღეს კოლეჯის, ხეცურიანის და ინსტიტუტის გულაჩუყებული დამცველი გახდა?! ერთად ძალიან ბევრი გვაქვს ნამუშევარი და იმაზე, რაც ახლა დალაგდა და ხორციელდება, ჩვენ მაშინ მხოლოდ ვოცნებობდით...



# აფიშა

## თეატრები

**ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
პეტრე ჩაიკოვსკი
"გედების ტბა"
(ალექსეი ფადეეჩევის ქორეოგრაფიული რედაქცია და დადგმა)
(ლალი კანდელაკი - ოდეტა-ოდილია; ირაკლი ბახტაძე - ზიგფრიდი, დავით ხოზაშვილი - როტბარტი)
დირიჟორი: თამაზ ჯაფარიძე
საბალეტო დასის ხელმძღვანელი: ნინო ანანიაშვილი
დას: 19:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
კიტა ბუაჩიძე
"მკაცრი ქალიშვილები"
რეჟისორი: გოგი ქავთარაძე
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
პიერ ბომარშე
"ფიგაროს ქორწინება"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
დათო ტურაშვილი
"ჯინსების თაობა"
რეჟისორი: დათო დოიაშვილი
ფასი: 3 და 5 ლარი
დას: 19:00 სთ.

**ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრი**
"დროთა კავშირი დაირღვა"
კითხულობს მურმან ჯინორია
დას: 18:00 სთ.

**სამეფო უბნის თეატრი**
ეჟენ იონესკო
"გაკვეთილი"
რეჟისორი: ლელა ჭინჭარაული
დას: 19:00 სთ.

## კინოთეატრები

**ამირანი**
"ავიატორი"
დას: 12:30; 16:00 სთ.

"რეი"
დას: 19:00; 22:00 სთ.

**რუსთაველი**
"ჰიჩი"
დას: 17:00; 19:30; 21:30 სთ.

"სიახლოვე"
დას: 13:00; 15:00 სთ.

## გამოფენები

**ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი**
"ოქრომრავალი კოლხეთი - მითი და რეალობა"
(ვანის გათხრების დროს აღმოჩენილი ნივთების ექსპოზიცია)

**ეროვნული გალერეა**
კულტურის უნივერსიტეტის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის სტუდენტთა საანგარიშო გამოფენა

**ქარვასლა**
ქეთი ფერაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა.

**TMS**
ფოტოგამოფენა "მ.ო.დ.ი."

**ვერნისაჟი**
ვანო მელიაშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**ჰობი**
"კალეიდოსკოპი"
(თანამედროვე ქართველი მხატვრების ნამუშევართა გამოფენა)

**თანამედროვე ქართული ტექსტილის გალერეა "ათინათი"**
"მეტამორფოზები"
(თინა კლდიაშვილი და დავით მონავარდაშვილი)

**ორნამენტი**
მუდმივმოქმედი ექსპოზიცია "ტიხრული მინანქარი"

## კონცერტები

**სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი**
ფესტივალი "ქართული სული"
ანსამბლი "ქართული ხმები"
დას: 19:00 სთ.

## კლუბები

**ბერლინი**
პროგრესივ "ფართი" არკადი ტომკინთან ერთად
დას: 23:0 სთ;
ფასი: 10 ლარი
გოგონებისთვის: 5 ლარი

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

# სოფია კოპოლა ფრანგულმა ისტორიამ გაიტაცა

მოდისა და კინოს საზღვრები კიდევ უფრო მეტად მოირღვა მას შემდეგ, რაც საქმეში სოფია კოპოლა ჩაერთო. "თარგმანში დაკარგულები"-ს შემდეგ ფრენსის ფორდ კოპოლას ქალიშვილი მოდაში დაკარგვას აპირებს. თავის ახალ პროექტში "მარია ანტუანეტა" ის თავის ახლო ნათესავს, კრისტიან დიორის სახლის ოქრომჭედელსა და დიზაინერს ვიქტორია დე კასტელანს გადაიღებს. მან ფილმზე კასტელანის და, "პრადას" პარიზული ოფისის საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელი მატილდა აგოსტინელიც მიიწვია.

"მარია ანტუანეტას" კოპოლა საკუთარი სცენარისა და ანტონია ფრეიზერის რომანის მიხედვით იღებს. სურათის გამოსვლა 2006 წელსაა დაგეგმილი. სურათში ასევე თამაშობენ კირსტენ დანსტი და მარიან ფეითფული.

ამასობაში მოდის და კინოს კავშირებს მსახიობი სელმა ბლერიც ამტკიცებს. მოდის ჟურნალებში გავრცელებული ცნობის მიხედვით, ლუი ვიტონის ჩანთების ახალ კოლექციას სწორედ ბლერი გაუკეთებს რეკლამას. მანამდე რეკლამებში უმა თურმანს იღებდნენ.

# გიგანტური კუების სამშობლო და სერფინგის სამოთხე

### პირველი ქართველის ექვსი კვირა გალაპაგოსის კუნძულებზე







*"ყველა იმ ქვეყანაში, სადაც კი ვყოფილვარ, ყოველთვის დამინახავს ჩემთვის საინტერესო ", - მოგზაურობისა და ფოტოგრაფიის მოყვარულ, პროფესიით საერთაშორისო ბიზნესისა და მარკეტინგის სპეციალისტს, 32 წლის თამარ ბოკუჩავას, რომელიც პირველი ქართველი აღმოჩნდა გალაპაგოსის კუნძულებზე, ეკვადორის პროვინციაში ექვსკვირიანი მოგზაურობიდან თბილისში ჩამოჰყვა დიდი და საინტერესო ფოტოექსპოზიცია, ფილმი ეკვადორის "მარგალიტად" წოდებულ გალაპაგოსსა და მის ლაღ და პრობლემებით სავსე მცხოვრებლებზე. მიღებული შთაბეჭდილებების გაზიარება წყნარი ოკეანის კუნძულებიდან დაბრუნებულ ფოტომოყვარულს თანამემამულეებისთვისაც სურს. ფოტოგამოფენა და ფილმი გალაპაგოსელთა ნაციონალური მუსიკის თანხლებით, - ასეთი იქნება თამარ ბოკუჩავას ნამუშევრების მორიგი პერსონალური გამოფენა თბილისში. გუშინ კი მისი ფოტოები კიდევ ერთხელ (ფოტოკონკურს "ქოლგის" ორგზის გამარჯვების შემდეგ) ბრიტანეთის საბჭოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში - "გზა" მიიჩნიეს (რამდენიმე სხვა ავტორთან ერთად) საუკეთესოდ.*

ვერა ნეფარიძე

### "შეიძლება მოგზაურობისას, თუკი არაფერმა დამაინტერესა, არც კი ამოვიღო ფოტოაპარატი"

ბარბადოსზე, სამხრეთ აფრიკაში, გუატემალაში, პერუში, მექსიკაში, ევროპასა და შეერთებულ შტატებში მოგზაურობების შეჯამებისას ფოტომოყვარულს უჭირს გამოარჩიოს, რომელი მოგზაურობა იყო მისთვის, წარმატებული ფოტოების გადაღების თვალსაზრისით, გამორჩეული. "არის ადგილები, სადაც საერთოდ ვერ ვიღებ ფოტოებს. მე ფოტოგრაფი არ ვარ, უბრალოდ, ჰობი პროფესიაში გადამივიდა. ძირითადად, რამე ჩემთვის ღირებული უნდა დავინახო, რომ გადავიღო; რაღაცას უნდა აღძრავდეს ჩემში. მე არ ველოდები აპარატმომარჯვებული კარგ კადრებს. უბრალოდ, უცებ დავინახავ და მაშინვე ვიღებ. შეიძლება სადმე წავიდე, მაგრამ არაფერმა დამაინტერესოს და არც კი ამოვიღო ფოტოაპარატი. ფოტოგრაფია არის ჩემი ჰობი. ვიღებ 1998 წლიდან ძირითადად მოგზაურობის დროს და მაშინ, როცა მინდა ამის კეთება. საერთოდ სპონტანურად ვიღებ. ხან ძალიან ბევრს, ხან საერთოდ არა... გააჩნია ადგილს, ენერგიას, ხალხს, ჩემს განწყობას", - მეუბნება თამარ ბოკუჩავა და მოგზაურობის საუკეთესო შთაბეჭდილებებს მაინც სამხრეთ ამერიკულ სივრცეს უკავშირებს. იმასაც ამბობს, რომ გადასაღებად აფრიკა, იქაური მრავალფეროვნება საუკეთესოა. თუმცა, დღეისათვის ყველაზე საინტერესო ფოტომასალა მაინც გალაპაგოსზე დააგროვა.

### უნიკალურ ფლორა-ფაუნასთან შერწყმული მოსახლეობა

თუკი გაინტერესებს სამხრეთ ამერიკის სამყარო, ფლობ ესპანურს და ფოტოგრაფიაც გიტაცებს, - შესანიშნავი შანსია გალაპაგოსზე გამგზავრება; მით უმეტეს, როდესაც შემოთავაზება მეტ ნაკლებად კავშირშია შენს პროფესიულ საქმიანობასთან. ასე მოხდა თამარ ბოკუჩავას შემთხვევაში და პირველი ქართველი გალაპაგოსზე, კონკრეტულად, სან კრისტობალის ტელევიზიაში აღმოჩნდა ექვსი კვირით მოხალისედ. "შემოთავაზება მივიღე, მედიაკომუნიკაცია ჩემს პროფესიასთან ახლოს იყო და წავედი, ვიცოდი, რომ გალაპაგოსი, უნიკალური ადგილია ფოტოს გადასაღებადაც და გამოცდილების მისაღებადაც", - ამბობს თამარ ბოკუჩავა. შესაძლოა, ქართველი მოგზაური პირველი უცხოელი იყო, ვინც ადგილობრივი ხალხით, მათი ცხოვრებითა და პრობლემებით დაინტერესდა. კუნძულის მცხოვრებლებმაც დაუზარლად გაუწიეს სამსახური უცხოელ ჟურნალისტს და როგორც თავად ავტორი ამბობს, რეპორტაჟები საკმაოდ კარგი, საინტერესო და ინფორმაციით დატვირთული გამოვიდა. "რახან უცხოელი ვიყავი, ადგილობრივები გულახდილად მესაუბრებოდნენ. მეუბნებოდნენ, სულ ფლორა და ფაუნა აინტერესებთ ჩვენგან, იგუანაში უფრო მეტ ფულს დებენ, ვიდრე ჩვენში და არ ითვალისწინებენ, რომ ამ ყველაფერს ჩვენ ვინარჩუნებთო", - იხსენებს რიგითი მცხოვრებლების საჩივარს თბილისში დაბრუნებული ფოტომოყვარული.

პირველ ქართველზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება, საოცარ ფრინველებთან და ცხოველებთან (განსაკუთრებით იგუანების გადაღებამ მოხიბლა) ერთად სწორედ ამ ადამიანებმა მოახდინეს. "ხალხი ძალიან უბრალო და უშუალოა. შეიძლება უფრო მეტად პრიმიტიული, ვიდრე ჩვენთან; აბსოლუტურად სხვა გარემოა და ალბათ მაგიტომაც".

### "ვარ ძალიან კარგად, როგორც ყოველთვის"

ამგვარად გიპასუხებთ ნებისმიერი მცხოვრები გალაპაგოსზე, რომელსაც მოიკითხავთ. შეუძლებელია, ამ ხალხის განსაკუთრებული სილაღე თვალში არ მოგხვდეს. იგივეს წაიკითხავთ კუნძულზე გადაღებულ ფოტოებზე და როგორც მათი ავტორი ამბობს, ხალხს დასვენება უფრო ადარდებს, ვიდრე მუშაობა. "ძალიან ლაღები არიან. ისეთი გარემოა ცუდ ხასიათზე ვერ იქნები. თითქმის, ყოველთვის კარგი ამინდია. ღარიბებიც კი ლაღები არიან, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი პრობლემაა", - თუმცა, როდესაც შედარებას აკეთებს, ქართველი მოგზაურის აზრით, ეკონომიკურად ცხოვრების დონე საქართველოში გაცილებით დაბალია. საერთოა პრობლემები: ინფლაცია, კორუფცია. ყველაზე დიდი პრობლემა კუნძულზე შიდსის გავრცელება და საზოგადოებრივ ფენებად დაყოფა და მათ შორის არსებული მკაცრად გავლებული საზღვრებია... კიდევ უფრო რთულია ცხოვრება მთიან რეგიონებში. მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, რიგითი სან კრისტობალელი შეკითხვაზე - როგორ ხარ, - გიპასუხებს - ძალიან კარგად, როგორც ყოველთვის.

### შეხვედრა სან კრისტობალში

ისე, ქართველებიც რომ ცოტა უცნაურები ვართ, თამარ ბოკუჩავას მონათხრობი კიდევ ერთხელ ადასტურებს. წარმოიდგინეთ კუნძული, სადაც პირველად ჩავიდა ქართველი, ხვდება თანამემამულეს, რომელსაც მსოფლიოს გარშემო მოგზაურობა აფრიანი ნავით გადაუწყვიტავს. სწორედ ასე გააცნეს თამარ ბოკუჩავას ათი წლის წინათ საქართველოდან წასული, პროფესიით ავიაციის ინჟინერი, 42 წლის რომან ირემაშვილი; ადამიანი, რომელიც ოკეანეში 30-40 დღით მარტო რჩება საკუთარ აფრიან ნავში, რომელიც მას შემდეგ შეიძინა, რაც ყველაფერი გაყიდა. ამ შეხვედრის შემდეგ თამარ ბოკუჩავამ კიდევ ერთხელ აღმოაჩინა, რა პატარაა მსოფლიო.





### პატარა სამოთხიდან დაბრუნებული

"ჩემთვის გალაპაგოსი პატარა სამოთხეა იმ პრობლემების მიუხედავად, რომელიც მათ აქვთ. ბედნიერი ვარ, რომ იქ მოვხვდი და 6 კვირაში შევძელი ფანტასტიკური მასალისა და საკუთარი თავის მრავალმხრივ განვითარება", - თამარ ბოკუჩავა კი ამ ყველაფრისთვის საკუთარ სამსახურსაც ("აგრიტექნიკ ჯგუფი საქართველოში") ემადლიერება: "ძალიან ვამაყობ ჩემი სამსახურით. უფროსიცა და მთელი კოლექტივიც მხარში მიდგას. სხვაგან რომ ვმუშაობდე, ამდენს ვერ მოვახერხებდი, ალბათ".

იმედია, თამარ ბოკუჩავას დანახულ "პატარა სამოთხეს" ჩვენც მალე გავეცნობით მისივე ფოტოების წყალობით.

# დიდების დარბაზი მსოფლიო ბანკის ნაცვლად

### როკის მუზეუმს ახალი "ექსპონატები" ჰყავს




*ბრიუს სპრინგსტინი "როკ-ენ-როლის" დიდების დარბაზში.*



*ქრისი ჰაინდი*




*პერსი სლეჯი*

"როკ-ენ-როლმა ძმაო, მთელი ჩემი ცხოვრება ამოატრიალა. ის იგივე იყო, რაც "ამერიკის ხმა"; ნამდვილი ამერიკის, რომელიც პირდაპირ შინ მოგერთმეოდა" - ბრიუს სპრინგსტინი.

ნიუ იორკში, სასტუმრო "უოლდორფ ასტორიაში" გამართულ საზეიმო ცერემონიალზე გუშინწინ საღამოს როლები შეიცვალა. თუ 1999 წელს ბონომ გააწევრიანა სპრინგსტინი როკ-ენ-როლის დიდების დარბაზში, ახლა "ბოსი" იდგა სცენაზე და ირლანდიურ ჯგუფს მოუხმობდა.

**ფაქტების გასახსენებლად:** როკ-ენ-როლის დიდების დარბაზის ფონდი 1986 წლიდან იღებს წევრებს. ძირითადი კრიტერიუმის მიხედვით მუსიკოსის პირველი ჩანაწერის გამოსვლიდან 25 წელი უნდა იყოს გასული; და მას როკ-ენ-როლის განვითარებაში დიდი დამსახურება უნდა მიუძღოდეს. ფონდის კომიტეტი, რომელსაც არჩევის უფლება აქვს როკის ისტორიკოსებისა და ექსპერტებისგან შედგება. შემდეგ არჩეული კანდიდატების ნუსხას სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ 700-მდე ექსპერტს უგზავნიან და საბოლოო განაჩენიც მათ გამოაქვთ. უკვე გაწევრიანებულთა შორის არიან: ჩაკ ბერი, ფეტს დომინო, ელვის პრესლი, ბობ დილანი, "ბითლზი", "ქრიმი", "როლინგ სტოუნზი" და ბრიუს სპრინგსტინი.

დიდების დარბაზში გაწევრიანება კი ნიშნავს იმას, რომ ყოველი ახლად გაწევრიანებული მუსიკოსი ქლივლენდში, ოჰაიოს შტატში, როკ-ენ-როლის მუდმივმოქმედ მუზეუმში დაიდებს ბინას. ამ მუზეუმს წარსულის გასახსენებლად როკის ყველა მსმენელი უნდა ეწვიოს. იქ ინახება როკის არტეფაქტების ყველაზე დიდი კოლექცია და იქვეა ყველა ის ექსპონატი, რომელიც სიღრმისეულად იძიებს პოპ-მუსიკის ისტორიას.

**და ახლა ისევ უკან - "უოლდორფ ასტორიაში".**

"U2-ს ბიჭები როკ-ენ-როლის სამყაროში ყველაზე მშვენიერი ბგერის არქიტექტურის მცველები არიან", - თქვა სპრინგსტინმა; ბონოს "გიჟი ირლანდიელი" უწოდა და სთხოვა - "არ დაანებო თავი ამ სამსახურს. ძალიან კარგად გამოგდის".

ზეიმი დიდხანს გაგრძელდა, როცა ორშაბათი ღამე, თანდათან სამშაბათ დილად გადაიქცა, ბონომ თქვა: "ეს ყველაფერი რაღაცით ირლანდიურ ქორწილს მაგონებს... ლამაზი გოგონები... პრიალა ფრაკები და ჩხუბები საპირფარეშოში".

ეს ხუმრობით. გაცილებით უფრო სერიოზული ტონით ბონომ მუსიკალურ ბიზნესში მოღვაწე საქმოსნებს მოუწოდა, დაფიქრდნენ, როგორ აკეთებენ საქმეს. ბონომ თქვა: დღევანდელ საშინლად კომერციალიზებულ გარემოში U2 ვერაფრით იქნებოდა ასეთი წარმატებული. მეტიც, ჯგუფი ჩაიძირებოდა მაშინვე, როცა მათი მეორე ალბომი October არ გაიყიდა - უკიდურესად რელიგიური სიმღერებით სავსე კრებული. "ასე რომ ყოფილიყო მაშინაც, არავითარი U2 არ იქნებოდა. ეს ფაქტია. ვერც დღევანდელი დიდი ვარსკვლავები: ბრიუს სპრინგსტინი, ნილ იანგი და სხვებს, რომელთაც პირველივე სიმღერები ჰიტებად ვერ აქციეს, ვერ დაიმსახურებდნენ ხმის ჩამწერი კომპანიების კეთილგანწყობას, - დასძინა ბოლოს.

U2-მ პუბლიკას სიმღერებიც შეუსრულა, ძველიც და ახალი Vertigo-ც. მუსიკიდან წამოსულმა ენერგიამ ხალხი ააცეკვა კიდეც, ბევრს კი სენტიმენტები მოეძალა და იქვე დაიწყეს 1987 წლის გახსენება; როცა დუბლინური კვარტეტი - ბონო, გიტარისტი ეჯი, ბასისტი ადამ ქლეიტონი და დრამერი ლერი მალინი თავიანთი Joshua Tree-ით საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცნენ...

მას შემდეგ იმდენად ბევრი დრო გავიდა, რომ U2 მუზეუმის ექსპონატიც კი გახდა, ოღონდ ჯერაც ცოცხალი და შემოქმედებით ტალღაზე მყოფი. ალბათ, სწორედ ეს სიტყვა - მუზეუმი ეხამუშა ლერი მალინის ყურს და ამიტომაც თქვა:

"არ ვარ დარწმუნებული, რომ ეს მომწონს. თუ ძალიან გულწრფელად გაინტერესებთ ჩემი აზრი, უნდა გითხრათ, რომ ამ გზაზე ათი წლით უკან დაბრუნებას ვისურვებდი".

მოეწონათ თუ არა ეს, უცნობია, მაგრამ ფაქტია, რომ ქლივლენდის მუზეუმის ბინადრები სხვებიც გახდნენ.

ჯგუფი "ფრითენდერსი" (ჰიტებით Brass in Pocket და Back on the Chain Gang) პუბლიკის წინაშე შემდეგი სიტყვებით წარდგა: "დღევანდელ ჯილდოს ჩვენ ჯეიმს ჰანიმენსკოტსა და პიტ ფარნდონს ვუძღვნით. მათ გარეშე აქ ვერ ვიქნებოდით" - ქრისი ჰაინდიმ იგულისხმა ჯგუფის ორი ძველი წევრი, რომლებიც 1980-იან წლებში ნარკოტიკებმა იმსხვერპლეს.

**ფაქტი:** ჯგუფი "ფრითენდერსი" ლონდონში 70-იან წლებში ჩამოყალიბდა. ახალი ტალღის ეპოქიდან ის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ჯგუფი გამოდგა. "ფრინთენდერსისთვის" სიმღერებს მათივე წევრი ქრისი ჰაინდი წერს. სიმღერები სათაურებით: Brass in Pocket, Back on the Chain Gang და Don't Get Me Wrong ბევრისთვის დღესაც ძალიან ძვირფასია.

შემდეგ როდ სტიუარტმა ფერსი სლეჯი მოიხმო სცენაზე და მისი ყველაზე ცნობილი სიმღერა When a Man Loves a Woman ასე დაახასიათა: "ეს არის შესრულება, რომელზე უკეთესიც არასდროს მომისმენია". თვითონ სლეჯმა კი დასძინა: "ვერასდროს წარმოვიდგენდი, თუ ამ ერთი წინადადების გამო ცხოვრებაში ამდენს მივაღწევდი".

**ფაქტი:** ფერსი სლეჯს "სოულის ოქროს ხმა" შეარქვეს. მისი ვოკალი სიმღერებიდან Take Time to Know Her, It Tears Me Up და Warm and Tender Love დღემდე გაისმის მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში. სლეჯი მუსიკალურ ტურნეებს დღემდე აწყობს ამერიკაშიც, ევროპაში, აზიასა და აფრიკაშიც.

"ო`ჯეიზ"-ის წარდგენა ჯასტინ ტიმბერლეიკმა იტვირთა. "ეს ვირტუოზები ყველას ჩრდილავენ, ვისაც რამე სოულისებური დაუწერია და შეუსრულებია", - აღნიშნა ტიმბერლეიკმა.

**ფაქტი:** "ო`ჯეიზ"-ი ოჰაიოში ჩამოყალიბებული გოსპელის სტილის კვარტეტია. ისინი სოულის სცენას მთელი 70-იანი წლების განმავლობაში "აკონტროლებდნენ". მათ ჰიტებს შორის არის: For the Love of Money, Love Train და Backstabbers.

შემდეგ ერიკ კლეპტონმა ბადი გაი წარუდგინა პუბლიკას: "ის იგივე იყო ჩემთვის, რაც, ალბათ, ელვის პრესლი - დანარჩენებისთვის. კურსის აღებაში ბადი გაი დამეხმარა. ის ჩემი პილოტი იყო". შემდეგ "პილოტმა", კლეპტონმა და ბი.ბი. კინგმა ერთად შეასრულეს Let Me Love You Baby და ბევრს აუჩუყეს გული.

**ფაქტი:** ბადი გაი - ბლუზის გიტარის ჩიკაგოელი მაესტრო - ასეთია მისი მეტსახელი. ის გახლავთ მუსიკოსი, რომელმაც უამრავი შემსრულებლის ჩამოყალიბებაზე იქონია გავლენა. მათ შორის, ერიკ კლეპტონის, ჯეფ ბეკის, პიტ ტაუნსენდის, ჯიმი ჰენდრიქსის და ქით რიჩარდსის.

**ბოლოს:** ცერემონიალს "უოლდორფ ასტორიაში" რიტმ-ენ-ბლუზის ლეგენდა ბო დიდლიც ესწრებოდა. მან ერიკ კლეპტონთან და რობი რობერტსონთან ერთად იმღერა. როკპუბლიკა იმავე დარბაზში ჯერი ლი ლუისმაც გაამხიარულა. როკერები მომავალ წლამდე დაიშალნენ.


# ისარგებლეთ ლაი·ლაით & იკითხეთ 24 საათი

1. აქციაში მონაწილეობის მიღება შეუძლია „24 საათი"-ს ყველა მკითხველს
2. შეაგროვეთ სამი ქვემოთ მონიშნული კუპონი და მიიღეთ საჩუქრად ლაი-ლაის სიმ-ბარათი
3. კუპონები ამოჭერით მითითებულ ადგილას და შეაგროვეთ ისე, რომ დაკომპლექტდეს ნუმერაცია 1, 2, 3 (მნიშვნელობა არ აქვს რომელი თარიღის გაზეთიდანაა ამოჭრილი კუპონი).
4. კუპონები წარადგინეთ ჯეოსელის თბილისისა და რეგიონების სარეალიზაციო წერტილებში ან სადილერო ქსელში. თქვენ იხდით 10 ლარს ისევ თქვენივე სასაუბრო დროისთვის და იღებთ ლაი-ლაის სრულ სასტარტო პაკეტს (ლაი-ლაის სიმ-ბარათი + 10 ლარის ღირებულების სასაუბრო დრო)

| ქალაქი | მისამართი |
|---|---|
| თბილისი | რუსთაველის გამზ. №38 |
| | კოსტავას №37 |
| | ბაქოს №2 |
| | შეშელიძის №3 |
| | ჯავახეთის №44 |
| | ქ. წამებულის გამზ. №75 |
| | კინოთეატრი "რუსთაველი" |
| | გამსახურდიას გამზ. №24 |
| | რუსთაველის გამზ. №31 |
| | მარჯანიშვილის №19 |
| | წერეთლის გამზ. №141ა |
| | ყაზბეგის გამზ. №41 |
| | მ.კოსტავას №22 |
| | მ.კოსტავას №7 |
| ზესტაფონი | ჭანტურიას № 2 |
| ქუთაისი | თამარ მეფის №25 |
| სამტრედია | რუსთაველის № 27 |
| სენაკი | რუსთაველის № 211 |
| ზუგდიდი | კოსტავას №5ა |
| ხობი | დადიანის № 238 |
| ფოთი | 26 მაისის № 2 |
| ბათუმი | ერას №54/62 |
| ქობულეთი | აღმაშენებლის №135 |
| ოზურგეთი | ჭავჭავაძის № 6 |
| ჩოხატაური | დუმბაძის №7 |
| ლანჩხუთი | თავისუფლების №2 |
| რუსთავი | ხალხთა მეგობრობის №10 |
| მარნეული | რუსთაველის №37 |
| ბოლნისი | ს.-ს. ორბელიანის № 44 |
| თელავი | კოსტავას № 3 |
| ყვარელი | ილია ჭავჭავაძის №64 |
| ლაგოდეხი | 26 მაისის №14 |
| წნორი | სტალინის №11 |
| დედოფლისწყარო | რუსთაველის № 4 |
| მცხეთა | სამხედროს №11 |
| კასპი | სტალინის №98 |
| გორი | სტალინის №15 |
| ცხინვალი | ცელნიკოვის №211/39 |
| ხაშური | რუსთაველის №16 |
| ბორჯომი | რუსთაველის № 121 |
| ახალციხე | ნათენაძის № 76 |
| ახალქალაქი | კლარა ცეტკინის №77 |




აქცია ძალაშია: 2005 წლის 1 თებერვლიდან 1 აპრილამდე.

კუპონების მიღება შესაძლებელია: 2005 წლის 15 აპრილამდე.

სიმ-ბარათის აქტივაციის ბოლო ვადა: 2005 წლის 30 აპრილი.

ამოჭერით


სამსონ ლეჟავას სვეტი

# საქართველოს სატაძრო არქიტექტურა - სულიერი კულტურის შესაკრებელი



ეკლესია, როგორც არა მხოლოდ "ძეგლი", არამედ უპირველესად ღვთის სახლი - ოდითგანვე გადამწყვეტ ორიენტირად მიიჩნეოდა. ჩვენი ეკლესიების სიმწყობრე, "უბრალო ენერგიულობა" (გერონტი ქიქოძე), ჰარმონიულობის სისავსე მომდინარეობს სიღრმისეული მშვენიერების, საღვთოობის განცდიდან. აქ სისადავე არა სიმარტივის, არამედ ხუროთმოძღვრული სიბრძნის გამოხატულებაა. ფორმაც და სილუეტიც (ელგუჯა ამაშუკელი) ამომწურავია, სრულყოფილი, ერთიანი. აგებულება გამოირჩევა კრისტალური სიცხადით. აღნაგობა ნათელია, რასაც ვერ ჰფარავს მდიდარი დეკორი, რომელიც მხოლოდ ამახვილებს და გამოჰკვეთს ძირითად სტრუქტურას (გიორგი ჩუბინაშვილი, ვახტანგ ბერიძე). ტაძრის "სხეულის" ინტენსიური სასიცოცხლო ძალა გარდაისახება უტყუარ სულიერ განზომილებაში. ლაკონურობის დროს, არსებითია ქრისტიანული სიხარულის, ზეიმურობის განცდა. ტაძართა შემოსილობა და მორთულობა ავლენს განსაკუთრებულ ადამიანურ სითბოს - ყოველივე უდიდესი სიყვარულითა და სასოებითაა ხორცშესხმული. ასეთია ქვის უზადოდ გამოყვანილი კვადრებისაგან შექმნილი პერანგიც, რომელიც ნათელჰყოფს აღმშენებელთა არა მხოლოდ არქიტექტურული, არამედ "ფერწერული" აზროვნების სიღრმეს: ქვათა ზედაპირების ფაქიზად შერჩეული და შეხამებული, ნაირგვარი ელფერი აყალიბებს მიმზიდველ, თავდაჭერილ ცხოველხატულობას. განსაკუთრებულია ორნამენტის როლი - გამომგონებლობითაც, კვეთის ოსტატობითაც, სინატიფითაც და მოტივთა ნაირგვარობითაც - მისი ენერგიულად მოძრავი დინებისა და კომპოზიციური თავმოყრის შეხამება მრავლისმეტყველია. კედლებს ამშვენებს არა მხოლოდ გარკვეულ არეებში კონცენტრირებული ჩუქურთმა, არამედ სარკმელთა მოჩარჩოება და ფასადთა "შემკვრელი" - განსრულებული რბოლა თაღნარისა. რელიეფურ გამოსახულებებს მიჩენილი აქვს ზუსტი ადგილი. მეტწილად შეუმცდარია მათი მხატვრული დატვირთვა - ფიგურატიული საწყისი აქ ტაძრის, ამ თავისებური "ზეკოსმოსის" ერთიანობაშია შერთული, როგორც ძალზე მნიშვნელოვანი, მაგრამ არა დამოუკიდებელი (რადგანაც გადამწყვეტია იერარქიულობის პრინციპი). გარდა პროპორციათა დახვეწილობით გამორჩეული, იშვიათი ზომიერებითა და გემოვნებით გამშვენებული ფასადებისა, მცირე ეკლესიებშიც შთამბეჭდავია და გადამწყვეტიც პირველ ყოვლისა, მათი ინტერიერი - თავისი ხშირად მოულოდნელი სიხალვათით, ერთიანობით, მომცველობით, თავისუფლების, ხსნილობის განცდით. განსაკუთრებით გუმბათიან ტაძრებში, მზერა მიემართება ზემოთ, ზენივთიერი სფეროსაკენ, რასაც სარკმელთაგან მომდინარე, სიწმინდეედ აღქმული და თვალსაჩინო შუქი-ჭავლიც უწყობს ხელს. ტაძართა შიდა სივრცის დინჯი, არასულმოუთქმელი დინამიკა ჰბადებს ამაღლებულობის განწყობას, სწყვეტს ადამიანს ამაოების სფეროს.

ჩვენს ტაძრებს "პლასტიური ჩამოსხმულობა" ახასიათებს (გრიგოლ რობაქიძე). ამდენადაც, ისინი უსახურად კი არ ერწყმის გარემოს, არამედ ცხადად იკითხება, თუმცა არც მკვეთრად გამოიყოფა, რადგან შეხმობილია ლანდშაფტთან ნაირგვარი რიტმითაც და ბუნებრივი მასალებითაც. დამახასიათებელია, რომ თვით მოკრძალებული საყდრებიც კი, იკრებს, თავს უყრის ირგვლივ მდებარე სივრცის მთელ გამომხატველობას, ვინაიდან ისინი "მცირეშიც დიდია". მცხეთის ჯვარი ამ თვალსაზრისით შეუდარებელია - ეს არის ხუროთმოძღვრული აზროვნების უმწვერვალესთაგანი გამოხატულება. უდიდესი ოსტაობა ჩანს კლასიკურად ჩამოქნილ, გამონაკვთულ ფორმებშიც და მთელი რელიეფისა და გარემოცვისათვის კულმინაციურ გვირგვინად ქცევაშიც. ტაძარი - პარადოქსული "კანონზომიერი თავისუფლებით" ისევე ამოიზრდება მთიდან, როგორც საკუთრივ ეკლესიის მასებიდან, გუმბათის სრულქმნილად დაწახნაგებული ფორმა, რომელსაც თავის მხრივ, განასრულებს ჯვარი - ყველაზე სრულყოფილი და ტევადი სიმბოლო.

გამოსაკვეთია ერთი რამ: იმთავითვე სრულიად დაუსაბუთებელი, ნიადაგს მოკლებული და ფაქტობრივად ამოჩემებულიც იყო თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც, ქართული ტაძრები "ბიზანტიურია". ასეთი, დღესაც კი მოარული "კონცეფცია" სამწუხაროდ, უმეცრების გამოხატულებაა.

ბუნებრივია, რომ ჩვენს ტაძართა ზოგად წინარე ხატს წარმოადგენს მართლმადიდებელი, იდეოლოგიებზე განუზომლად აღმატებული, მტკიცე და ჭეშმარიტი მსოფლმხედველობა, მაგრამ ეს სრულებითაც არ მოასწავებს ამა თუ იმ ქვეყანაში მართლმადიდებლურ ტაძართა ერთ თარგზე გამოჭრილობას, რაც არაბუნებრივიც იქნებოდა. მახსენდება ლუკრეციუსის ცნობილი პოემა, რომელშიც ყოველი ფოთლის განუმეორებლობაა ხაზგასმული მათი ერთი ძირიდან მომდინარეობისას. ამა თუ იმ კულტურაში მართლმადიდებლობას, როგორც უნივერსალურ მოძღვრებას შეძენილი აქვს საკუთარი, მკაფიოდ ინდივიდუალური სახე სატაძრო აღმშენებლობაში, რისი უარყოფაც გონივრული და დინჯი ანალიზისას, უბრალოდ, შეუძლებელია. ასეა ჩვენს სინამდვილეშიც. ქართული ეკლესიების ეს თვისობრიობა დიდი სიზუსტით, საგულდაგულო და კონკრეტული ანალიზით ცხადყვეს გიორგი ჩუბინაშვილმა, ნიკოლოზ სევეროვმა, ვახტანგ ბერიძემ, რენე შმერლინგმა, ლევან რჩეულიშვილმა, დიმიტრი თუმანიშვილმა და სხვებმა. ამიტომაც უნიადაგო, ფსევდო-მეცნიერული ფსევდო-მითოლოგიის თხზვის ნაცვლად, ვფიქრობ, უმჯობესია, გაცილებით მეტი გულისყურით დავაკვირდეთ ჩვენს ტაძართა აგების, მართალია, საყოველთაოდ მართლმადიდებლურ, და ამასთანავე, ცხადად ეროვნულ, მკაფიო სპეციფიკურობას.

ინფოთეკა

### ბატისტუტა დიდი ფეხბურთიდან მიდის

არგენტინული ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირმა გაბრიელ ბატისტუტამ კარიერის დასრულება გადაწყვიტა. 36 წლის ფორვარდი ბოლო წელი თამაშობდა კატარში.

ფეხბურთელმა კომენტარი გაუკეთა თავის გადაწყვეტილებას: "ამქვეყნად ყველაფერს აქვს თავისი დასასრული. ვარჯიში სიამოვნებასა და სიხარულს აღარ მანიჭებდა. ფეხბურთის თამაშის სურვილი გამიქრა. ამიტომაც გადავწყვიტე ფეხბურთიდან წასვლა".

თავისი პროფესიული კარიერის მანძილზე 36 წლის ფორვარდმა ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში 78 მატჩი ჩაატარა და 56 ბურთიც გაიტანა, აქედან 10 მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირებზე. ორჯერ გახდა ამერიკის თასის მფლობელი - 1991 და 1993 წლებში.

რამდენიმე ხნის წინათ, მასთან კონტრაქტი გაწყვიტა კლუბმა "ალ-არაბიამ", რომელმაც ფეხბურთელი დიდ თანხად შეიძინა, მაგრამ ბატისტუტამ ბევრჯერ მიიღო ტრავმა და სეზონზე მხოლოდ სამი მატჩის ჩატარება შეძლო. არაბებმა არ მოისურვეს ფეხბურთელისთვის ფული მკურნალობისთვის ეხადათ.

არგენტინელმა ფორვარდმა გადაწყვიტა, მწვრთნელის კარიერისთვის მოეკიდებინა ხელი. ამისთვის სპეციალურ კურსებზე დაიწყო სიარული.

სხვათა შორის, ბატისტუტა ყოველთვის იყო საზოგადოების ყურადღების ცენტრში, ხშირად ჩნდებოდა პოპულარული ჟურნალ-გაზეთების გარეკანზე, გამოდიოდა პოდიუმზე. "გაფორმებული მაქვს ბევრი კონტრაქტი. შესაბამისად, პასუხისმგებლობაც დიდია. ვაპირებ ყველა ეს შეთანხმება შევასრულო," - განაცხადა ბატისტუტამ.

პოპულარობის მიუხედავად, ფეხბურთელი ძალიან იშვიათად ეხვეოდა სკანდალში. როცა მისი იტალიური კლუბი "ფიორენტინა" მეორე დივიზიონში გადაისროლეს, არგენტინელი ვარსკვლავი გუნდში დარჩა და წინ წაწევაში დაეხმარა მას, რითაც იტალიელი გულშემატკივრების დიდი სიყვარული დაიმსახურა.

### "ლიონს" მწვრთნელის გაშვება არ უნდა

"ლიონის" დირექტორთა საბჭოს წარმომადგენელმა ჟან-მიშელ ოლამ განაცხადა, რომ მიმდინარე სეზონის დამთავრებამდე გუნდის ლიდერებთან მიქაელ ესიენსა და ჟუნინიო პერნამბუკანუსთან ახალ კონტრაქტს გააფორმებენ. ორივე ნახევარმცველმა ბევრი მაღალი კლასის გუნდის ყურადღება მას შემდეგ მიიპყრო, რაც ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში "ლიონმა" "ვერდერს" დამაჯერებლად მოუგო - 10:3 ორი მატჩის ჯამში.

"ჩვენ თამაშის გაუმჯობესება გვინდა სეზონიდან სეზონამდე. ამისთვის კი საუკეთესო ფეხბურთელები გვჭირდება. მინდა დაგარწმუნოთ, რომ ესიენი და ჟუნინიო მომავალ სეზონშიც ჩვენთან დარჩებიან. გარდა ამისა, მთავარი მწვრთნელის პოლ ლე გუენის გადაწყვეტილებასაც ველოდებით. ყველას სურვილია, რომ კლუბთან კონტრაქტის ვადა მანაც გააგრძელოს", - განაცხადა ოლამ.

### "რომამ" მწვრთნელი ისევ შეცვალა

"რომას" მწვრთნელმა ლუიჯი დელ ნერიმ კლუბის ხელმძღვანელობასთან შეთანხმების შემდეგ დატოვა თანამდებობა. მას შეცვლის ბრუნო კონტი, რომელიც ბოლო დროს "რომას" ერთ-ერთ ახალგაზრდულ გუნდს ედგა სათავეში.

უკანასკნელი ათი თვის განმავლობაში რომის კლუბს უკვე მეოთხე მწვრთნელი ეყოლება: ფაბიო კაპელოს "იუვენტუსში" გადასვლის შემდეგ მისი ადგილი გერმანელმა რუდი ფიოლერმა დაიკავა, თუმცა, ამ თანამდებობაზე დიდხანს არ გაჩერდა. რაც შეეხება ლუიჯი დელ ნერის, მისი გათავისუფლება "კალიარისთან" მარცხს (0:3) უკავშირდება, რის გამოც "რომამ" მეშვიდე ადგილზე გადაინაცვლა.

### "რეალ სოსიედადი" თავის ფეხბურთელს კორეაში აბრუნებს

სააგენტო "როიტერის" ცნობით, სამხრეთ კორეელი თავდამსხმელი ლი ჩუნ ცუ, რომელმაც "რეალ სოსიედადის" ძირითად შემადგენლობაში პოზიციების გამყარება ვერ შეძლო, სავარაუდოდ, თავის ყოფილ გუნდს, "ულსანს" დაუბრუნდება.

კორეის კლუბი, რომელმაც 2003 წელს ფეხბურთელი 3,5 მილიონ დოლარად გაყიდა, ახლა მზადაა მის დასაბრუნებლად 2 მილიონი დოლარი გადაიხადოს. თუმცა, "რეალ სოსიედადს" ფეხბურთელზე უფლებები ამა წლის ივლისამდე აქვს.

23 წლის ლი ჩუნ ცუ სამხრეთ კორეის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში ირიცხება. შეგახსენებთ, ნაკრებმა 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალამდე მიაღწია.

საფეხბურთო გალერეა

# ოტო რეჰაგელი: „თბილისში მძიმე მატჩი გველის"

პორტუგალიაში, ევროპის ჩემპიონატზე საბერძნეთის ნაკრებმა სენსაცია მოახდინა - ტურნირის მაჩანჩალად მიჩნეულმა გუნდმა ბებერი კონტინენტის უძლიერესი ნაკრების სახელი მოიპოვა.

ბერძნების გერმანელმა მწვრთნელმა ოტო რეჰაგელმა კვლავ დაამტკიცა, რომ თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია.

მარტის მიწურულს ევროპის ჩემპიონებს საქართველოს ნაკრები თბილისში უმასპინძლებს. ცხადია, ბერძენ ფეხბურთელებთან ერთად საქართველოს ოტო რეჰაგელიც ეწვევა. ეს გერმანელი მწვრთნელის მესამე ვიზიტი იქნება თბილისში - გასული საუკუნის 80-იანი წლების მიწურულს რეჰაგელის გაწვრთნილი ბრემენის "ვერდერი" ჯერ უეფას თასზე დაუპირისპირდა თბილისის "დინამოს", მოგვიანებით კი ამხანაგური შეხვედრისთვის ჩამოვიდა. საინტერესოა, რომ ორივე მატჩი ფრედ დასრულდა: შესაბამისად 1:1 და 0:0.

ინტერვიუ, რომელსაც დღეს გთავაზობთ, პოპულარულ გერმანულ ჟურნალ "კიკერში" გამოქვეყნდა. ოტო რეჰაგელი ერთი კვირის წინ რამდენიმე დღით იმყოფებოდა სამშობლოში და გერმანელმა ჟურნალისტებმა, ცხადია, მასთან გასაუბრების შანსი ხელიდან არ გაუშვეს.



იმედია, 26 მარტს ოტო რეჰაგელს საცეკვაოდ საქმე არ ექნება.

**- 65 წლისა თქვენ ევროპის ჩემპიონი გახდით, 66 წლის ასაკში კი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში მონაწილეობთ. სამწვრთნელო მოღვაწეობა კვლავაც ასე გიზიდავთ?**

- რატომაც არა? საოცრებად მიმაჩნია, რომ კვლავაც საყვარელ საქმეს ვემსახურები და სიმართლე გითხრათ, ძალიან ბედნიერი ვარ! ბედის მადლობელი ვარ, რომ ახლაც ჩემს საყვარელ საქმეს ვემსახურები. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ცხოვრებამ უდიდესი სიურპრიზი მომიმზადა.

**- მიიჩნევთ თუ არა, რომ საბერძნეთის ნაკრების თავკაცის თანამდებობა თქვენს კარიერაში ბოლო სამუშაო ადგილია?**

- ნამდვილად არ ვარ იმ ასაკის, მომავალზე დღე და ღამე ვიფიქრო. ჯერჯერობით აქ ვარ, თავს ბედნიერად ვგრძნობ და სულაც არ მაღელვებს ის საკითხი, დავრჩები თუ არა საბერძნეთის შემდეგ უმუშევარი. იცით, ბოლო თვეებში არაერთხელ შემეხმიანნენ გერმანიიდან და ბერძნებთან კონტრაქტის დასრულების შემდეგ სამშობლოში მუშაობა შემომთავაზეს. ამან ძალიან გამახარა - დავინახე, რომ სამშობლოში ჩემიანებს კვლავაც ვჭირდები.

**- ბუნდესნაკრებიდან რუდი ფიოლერის წასვლის შემდეგ, გუნდის სათავეში თქვენს გამოჩენას ვარაუდობდნენ...**

- ევროპის ჩემპიონატის შემდეგ, როცა კურორტ სილტში ვისვენებდი, ფრანც ბეკენბაუერს სურდა ჩემთან შეხვედრა და კონტრაქტზე საუბარი, მაგრამ არ გამოვიდა. ეგეც არ იყოს, ბიჭებს, რომლებთანაც რამდენიმე დაუვიწყარი წელიწადი გავატარე, ერთი ხელის მოსმით ნამდვილად ვერ დავემშვიდობებოდი. ჩემს ფეხბურთელებს ყოველთვის ვეუბნებოდი, რომ ერთმანეთთან გულახდილები ყოფილიყვნენ და თანაგუნდელისადმი პატივისცემით გამსჭვალულიყვნენ. ცხადია, ასეთი საუბრის შემდეგ, ნამდვილად არ მქონდა უფლება მათთვის მეღალატა, საერთო ინტერესებზე წინ პირადული საკითხები დამეყენებინა.

**- იყო თუ არა ფრანც ბეკენბაუერი პირველი, რომელმაც გერმანიის ნაკრების გაწვრთნა შემოგთავაზათ?**

- არა. 1998 წელს, მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი ეგიდიუს ბრაუნი შემეხმიანა და მთხოვა, ნაკრებში ბერტი ფოგტსი შემეცვალა. იმ ზაფხულს "კაიზერსლაუტერნთან" ერთად ბუნდესლიგა მოვიგე, ერთი შეხედვით, კლუბთან ვალმოხდილი ვიყავი, მაგრამ გუნდიდან არ წავედი. ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის შემდეგაც მეპატიჟებოდნენ, ნაკრების შესაძლო თავკაცებად მე და იუპ ჰაინკესი განვიხილებოდით, მაგრამ მაშინ რუდი ფიოლერზე შეჩერდა არჩევანი.

**- ...რომელიც პორტუგალიაში განცდილი ფიასკოს შემდეგ ნაკრებიდან წავიდა.**

- რომ არ მოგატყუოთ, უკეთესი იქნებოდა, რუდი ნაკრებში დარჩენილიყო.

**- ახლა გერმანიის ნაკრებს იურგენ კლინსმანი თავკაცობს, რომელთანაც თქვენ ტკბილი ურთიერთობა ნამდვილად არ გქონდათ...**

- წყენა და უსიამოვნება წარსულს ჩაბარდა. რამდენიმე თვის წინ ჩვენ ერთმანეთს შევხვდით და საერთო ენა გამოვნახეთ. თუ რაიმეთი შემეძლება კლინსმანის დახმარება, არც დავფიქრდები.

**- ბევრს ბჭობენ, თუ სად უნდა ითამაშოს მიხაელ ბალაკმა. ეს ფეხბურთელი თქვენი აღმოჩენილია და საინტერესოა, თქვენი აზრით, სად უკეთესი იქნება მიხაელის გამწესება?**

- ეჭვი არ მეპარება, რომ ბალაკმა თავდამსხმელების უკან უნდა ითამაშოს. მიმაჩნია, რომ მისთვის რაიმე კონკრეტული დავალების მიცემაც შეცდომა იქნება, უკეთესია, თუ თავისუფალი იქნება და დამოუკიდებლად გადაწყვეტს როგორ ითამაშოს. ის იმ ყაიდის ფეხბურთელია, რომელიც მუდმივად კარს ემუქრება და რომლის თამაში ამოუცნობია. ბალაკს ახასიათებს "მოწყვეტილი" დარტყმა, ამ თვისებით კი ბევრი ფეხბურთელი ვერ დაიკვეხნის. ერთი სიტყვით, მიხაელი მოედანზე მაქსიმალურად თავისუფალი უნდა იყოს.

**- ოლივერ კანის შესახებ ატეხილ ხმაურზე რას იტყოდით?**

- არაა საჭირო ამ საკითხის გაბუქება. კლინსმანის ადგილზე რომ ვიყო, მსოფლიო ჩემპიონატზე ოლივერ კანს, იენს ლემანს და ფრანკ როსტს წავიყვანდი. სამივე უმაღლესი დონის მეკარეა! განსაკუთრებით გამოვყოფ როსტს - მიმდინარე სეზონში შესანიშნავად თამაშობს, გაოცებული ვარ მისი პროგრესით.

**- როსტი "შალკე-04"-ის მეკარეა, ეს კლუბი კი ბუნდესლიგას ლიდერობს. თვლით თუ არა, რომ გელზენკირხენელებს ჩემპიონობა შეუძლიათ?**

- "შალკე-04" შესანიშნავადაა დაკომპლექტებული, განსაკუთრებით კი დაცვის ხაზია აღსანიშნავი: როსტი, ბორდონი და კრსტაიჩი ჩინებულად უგებენ ერთმანეთს. მიმაჩნია, რომ მიმდინარე სეზონში გელზენკირხენელთა დაცვა "ბაიერნისაზე" უკეთესია. რაც შეეხება ნახევარდაცვას, უპირველეს ყოვლისა ლევან კობიაშვილი უნდა გამოვყო - ქართველი ფეხბურთელი ჩინებულად შეერწყა კლუბს და ერთ-ერთი ლიდერიცაა. რაც შეეხება თავდასხმას, ჯერალდ ასამოა და აილტონი ჩინებულნი არიან! ბევრი რომ არ გავაგრძელო, "შალკე-04"-ის შანსები საკმაოდ კარგია.

**- გელზენკირხენელთა მწვრთნელ რალფ რანგნიკს თუ იცნობთ?**

- ამ ცოტა ხნის წინ გავიცანი. თავისი საქმის ჩინებული სპეციალისტია და რაც მთავარია, შრომისმოყვარეა. მიმაჩნია, რომ მან კარგად იცის, თუ როგორ აჯობოს "ბაიერნს".

**- როგორ ფიქრობთ, შესაძლებელია თუ არა, რომ თქვენი გამოცდილების ადამიანმა, ახალგაზრდა კოლეგისგან ისწავლოს რიმე?**

- ყოველ თამაშში შეიძლება რაღაც ახალი აღმოაჩინო, მაგრამ ჩემთვის სამწვრთნელო საქმეში საიდუმლო, ალბათ, აღარ არსებობს.

**- ბრემენის "ვერდერს" 14 წლის მანძილზე თავკაცობდით. არაა გამორიცხული, წლეულს, 29 სექტემბერს, თქვენი რეკორდი "ფრაიბურგის" მწვრთნელმა ფოლკერ ფინკემ გააუმჯობესოს...**

- ის ჩინებული ადამიანია, მაგრამ ვფიქრობ, არაა საჭირო ჩემი და მისი შედარება. ბრემენში მუშაობისას, "ვერდერი" მეორე ბუნდესლიგიდან ქვეყნის ჩემპიონად ვაქციე და ამას გარდა, კლუბის ფინანსური მდგომარეობაც აშკარად გამოკეთდა...

**- მოდით საბერძნეთის ნაკრებს დავუბრუნდეთ. დანიელებთან 2:1 გამარჯვების შემდეგ, მდგომარეობა აშკარად გაიუმჯობესეთ. თქვენი აზრით, იყო თუ არა ეს თამაში გადამწყვეტი შესარჩევ ტურნირში?**

- მოგება, ცხადია, ძალიან მნიშვნელოვანი იყო, თუმცა ჯერ კიდევ წინაა მნიშვნელოვანი მატჩები. ნაადრევად დამშვიდებას არ ვაპირებთ.

**- თქვენს შესარჩევ ჯგუფს უკრაინის ნაკრები ლიდერობს. ეს მოულოდნელობაა?**

- არა, რადგან აქამდე საუკეთესოდ სწორედ უკრაინელები თამაშობდნენ. მიმაჩნია, რომ საბერძნეთის, უკრაინის, დანიის და თურქეთის ნაკრებები თანაბარი ძალისანი არიან. ვფიქრობ, სწორედ ეს ოთხი გუნდი იბრძოლებს გერმანიის საგზურისთვის.

**- თუ საიდუმლო არაა, გვითხარით, რა შეიცვალა საბერძნეთის ნაკრებში ევროპის ჩემპიონატის შემდეგ?**

- არც არაფერი. მაგალითად, დანიელებთან თამაშიც კმარა - ძირითად შემადგენლობაში იმ ათმა ფეხბურთელმა ითამაშა, რომლებმაც ევროპის ჩემპიონატზე პორტუგალიელებთან პირველი შეხვედრა დაიწყეს. მეთერთმეტე, მიხალის კაპსისი, მხოლოდ იმიტომ ვერ დაგვეხმარა, რომ ავად იყო, თორემ მასაც ვათამაშებდი. ჩვენ ჩინებული გუნდი გვყავს, სწორედ ამიტომაც არ ვისურვე ნაკრებთან განშორება.

**- წლეულს თქვენი გუნდი ფიფას კონფედერაციათა თასის გათამაშებაში ჩაებმება. ევროპის ჩეპიონატზე საბერძნეთი კლასიკური სატურნირო ნაკრები იყო. გერმანიაშიც იგივე იქნება?**

- მხოლოდ ერთი რამის თქმა შემიძლია: პორტუგალიაში არაფერი გვქონდა დასაკარგი და ყველაფერი მოვიგეთ. საბერძნეთის ნაკრებს არც გერმანიაში ექნება რაიმე დასაკარგი. ერთი სიტყვით, ვნახოთ.

**- რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის და ნაკრებისთვის ფიფას კონფედერაციათა თასი?**

- ძალიან გამიხარდა, რომ ჯგუფურ ტურნირზე ბრაზილიელებთან დაპირისპირება მოგვიწევს! რაც მეტი ძლიერი მეტოქე გვეყოლება, მით მეტს ვისწავლით და როგორც გუნდი, გავიზრდებით. საინტერესო შეჯიბრებაა და ჩემი აზრით, ფეხბურთელებში გააათმაგებს მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვედრის სურვილს.

**- გერმანიაში, კონფედერაციათა თასზე სათამაშოდ წასვლამდე ბერძნებს ორი მნიშვნელოვანი მატჩი ელით: 4 ივნისს თურქეთთან და 8 ივნისს უკრაინასთან. როგორ ფიქრობთ, ამ შეხვედრების შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატის საგზური მოპოვებული გექნებათ?**

- ორივე თამაში ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა შემდეგ სამი დაძაბული მატჩი გველის, მათ შორის ურთულესი სტუმრობა დანიაში. მხოლოდ მაშინ დავრწმუნდები გერმანიის საგზურის მოპოვებაში, როცა ფინალური ეტაპის კენჭისყრას მონაწილის მწვრთნელის რანგში დავესწრები.

**- მოახლოებულ დაპირისპირებაზე რას იტყოდით. მარტის მიწურულს ჯერ თბილისში სტუმრობთ საქართველოს ნაკრებს, ოთხი დღის შემდეგ კი ალბანელებს მასპინძლობთ.**

- ეს თამაშები ჩვენთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ივნისის დაპირისპირებები. მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული მეტოქეები ნამდვილად არ განეკუთვნებიან გრანდებს, ვხვდები, რომ დიდი ბრძოლა მოგვიწევს. ჩემი აზრით, საქართველოს ნაკრებთან გასვლითი მატჩი უფრო რთული იქნება.

**- თქვენს მიერ ნახსენები გელზენკირხენელი ლევან კობიაშვილი სწორედ საქართველოს ნაკრებში თამაშობს...**

- ვიცი და სწორედ ამიტომ ვამბობ, რომ თბილისში სტუმრობა რთული იქნება. კობიაშვილის გარდა, საქართველოს ნაკრებს არაერთი ძლიერი ფეხბურთელი ჰყავს, იგივე კახა კალაძე, რომელიც ევროპაში ერთ-ერთ საუკეთესო პერსონალურ მცველად მიმაჩნია. ერთი სიტყვით, მძიმე მატჩი გველის.

**- საბერძნეთის 2004 წლის ყველაზე პოპულარულ ადამიანად დაგასახელეს, თვით პრემიერ-მინისტრ კარამანლისს აჯობეთ. რას ნიშნავს თქვენთვის ეს აღიარება?**

- ძალიან გამიხარდა და გამიკვირდა, მაგრამ ყველაზე ძალიან ათენის საპატიო მოქალაქის წოდება მესიამოვნა. ვერც კი წარმოვიდგენდი, ასეთი რამ ოდესმე თუ მოხდებოდა.

**- დაბოლოს, სანამდე აპირებთ საბერძნეთის ნაკრების მწვრთნელად დარჩენას?**

- მოდით, ასე გიპასუხებთ: ჩემი უპირველესი მიზანი საბერძნეთის ნაკრებთან ერთად გერმანიაში, მსოფლიო ჩემპიონატზე მოხვედრაა. თუ ეს შევძელი, უბედნიერესი ადამიანი ვიქნები. შემდეგ რა იქნება, ვნახოთ.

*მოამზადა ლაშა გოდუაძემ*

ფორმულა 1

# „რენო" „ფერარის" ემუქრება

სამეფო რბოლების მეორე ეტაპამდე - "მალაიზიის დიდ პრიზამდე" "რენოს" ბოსი ფლავიო ბრიატორე მეტოქეებს აფრთხილებს: ავსტრალიაში მოგება მხოლოდ დასაწყისი იყო. "ფერარი" კიდევ არაერთხელ ნახავს, თუ რამდენად გავძლიერდითო.

"ავსტრალიის დიდი პრიზის ტრიუმფატორები ვართ და დარწმუნებული ვართ მიმდინარე სეზონში ჩვენი წარმატება უკანასკნელი არ ყოფილა და არ იქნება, - იმედიანადაა ფრანგული საჯინიბოს ბოსი. - ჩვენი მრბოლელები განუმეორებელნი არიან, მანქანები კი ძლიერი. ახლა შეგვიძლია მიხაელ შუმახერზე სერიოზული ზეწოლა განვახორციელოთ. ზეწოლისა და წნეხის ქვეშ კი ის შეცდომებს უშვებს...

ხომ ფაქტია, რომ "ფერარი" საკუთარ წარმატებებს მიხაელს უნდა უმადლოდეს, ისევე როგორც "ბენეტონი" საკუთარ ორ ტიტულს (ვიდრე შუმახერი "ფერარიში" გადავიდოდა, "ბენეტონს" ორი ტიტული მოაპოვებინა. რედ.). ის რაც მიხაელმა გააკეთა, უბრალოდ, აუწერელია. ასე რომ, თუ მიხაელის დამარცხებას შევძლებთ, "ფერარის" ბარიერსაც გადავლახავთ".

ამასობაში ჯერაც გაურკვეველი რჩება "ფერარის" თანამშრომლები "მალაიზიის დიდი პრიზისთვის" მიხაელის ბოლიდზე ძრავას გამოცვლიან თუ არა. ფაქტია, გუნდში შეფიქრიანებულან: მალაიზიის თაკარა მზე და 90-პროცენტიანი ტენიანობა ჩვენი ბოლიდების ძრავებზე უარყოფითად იმოქმედებსო.

"ყველამ ვიცით, რომ მალაიზიაში რბოლა ერთ-ერთი ყველაზე რთული და მომთხოვნია. ამიტომაც მისთვის სერიოზული ფიზიკური მომზადებაა საჭირო, - აცხადებს მიხაელი. - გასაგებია, რომ ჩემპიონატის პირველივე რბოლაში ნოლი ქულა სულაც არაა ის შედეგი, რომელსაც ავსტრალიაში ველოდი, მაგრამ წარუმატებლობა "სეპანგის" ტრასამდე მოტივაციას მმატებს.

მელბურნში ყველამ ნახა, რომ ჩვენი მოდიფიცირებული (შარშანდელი) ბოლიდი კვლავაც ანგარიშგასაწევია - ბევრად ანგარიშგასაწევი ვიდრე წარმოგვედგინა. მგონია, რომ სეპანგზე ცუდად არ ვიასპარეზებთ და კარგ შედეგსაც მივაღწევთ".

როგორც არ უნდა იყოს, მიხაელი საჯინიბოებისთვის მაინც ყველაზე საშიშ მეტოქედ რჩება და "ავსტრალიის დიდ პრიზზე" წარუმატებლობის შემდეგ მალაიზიაში ორმაგი მოტივაციით გავა.

და კიდევ, "ავსტრალიის დიდი პრიზის" მიმდინარეობისას საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის (ფია) ფუნქციონერებმა არაერთხელ გაუსვეს ხაზი იმას თუ რამდენად მიზანშეწონილია მელბურნში რბოლების გაგრძელება.

ახლა ირკვევა, რომ "მელბურნ პარკს", რომელიც "ავსტრალიის დიდ პრიზს" ათი წელიწადია, რაც მასპინძლობს, საფრთხე აღარ ელის.

გასულ შაბათ-კვირას "ავსტრალიის დიდი პრიზის" ორგანიზატორი რონ უოკერი ფორმულა 1-ის ბოსს ბერნი ეკლსტოუნს შეხვდა და თუ ხმებს დავუჯერებთ ბრიტანელ იმპრესარიოს უოკერისთვის პირობა მიუცია, რომ "ავსტრალიის დიდი პრიზი" ფორმულა 1-ის ჩემპიონატის კალენდარში 2010 წლამდე დარჩება

ინფოთეკა

### ბაჯოს ფეხბურთი ენატრება, თუმცა დაბრუნება აღარ უნდა

ლეგენდარულმა იტალიელმა ფეხბურთელმა რობერტო ბაჯომ განაცხადა, რომ დიდ ფეხბურთში დაბრუნებას არ აპირებს, მიუხედავად იმისა, რომ უამრავ შემოთავაზებას იღებს სერია A-ს კლუბების პრეზიდენტებისა და მწვრთნელებისგან.

"ფეხბურთი ძალიან მენატრება, მაგრამ ვფიქრობ, რომ დაბრუნება უკვე საკმაოდ გვიანია. კარიერის დამთავრება ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო გადავწყვიტე. ტრავმები რომ არა, დღემდე "ბრეშას" შემადგენლობაში ვითამაშებდი", - განაცხადა ბაჯომ.

### წითელმა ბარათმა დიუფს "ბოლტონთან" საქმე გაუფუჭა

"ბოლტონის" მთავარმა მწვრთნელმა სემ ელერდაისმა აღიარა, რომ ინგლისის ჩემპიონატში "არსენალის" წინააღმდეგ მატჩში იმედი გაუცრუა სენეგალელი დიუფის საქციელმა - შემტევმა ნახევარმცველმა წითელი ბარათი დაიმსახურა.

ელერდაისმა განაცხადა, რომ ეს ინციდენტი აუცილებლად მოახდენს გავლენას აფრიკელთან კონტრაქტის გაფორმების დროს (ამჟამად ფეხბურთელი "ბოლტონში" იჯარით თამაშობს, ისე კი "ლივერპულს" ეკუთვნის).

დისკვალიფიკაცია, რომელსაც დიუფი ვერაფრით ასცდება, მიმდინარე სეზონზე მისთვის უკვე მეორე იქნება.

*მოამზადა ნინო ტიკარაძემ*

TV-სპორტი

### ოთხშაბათი. 16 მარტი

**НТВ+ФУТБОЛ**

12:00 თავისუფალი დარტყმა
12:20 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. "ინტერი" - "პორტუ". საპასუხო მატჩი
14:15 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
15:10 ლიბერტადორესის თასი. მატჩების მიმოხილვა
15:40 თავისუფალი დარტყმა
15:55 რუსეთის ჩემპიონატი. 1/8 ფინალი. "კრილია სავეტოვი" - "დინამო". საპასუხო მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია
17:55 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
18:55 რუსეთის ჩემპიონატი. 1/8 ფინალი. "სატურნი" - "როსტოვი". საპასუხო მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (19:45) - თავისუფალი დარტყმა
20:55 სახვალიო ტელეპროგრამა
21:05 გერმანიის ჩემპიონატი. "შალკე" - "ბავარია"
22:55 ინგლისის ჩემპიონატი. "ჩარლტონი" - "ტოტენჰემი". პირდაპირი ტრანსლაცია
00:50 თავისუფალი დარტყმა
01:05 რუსეთის ჩემპიონატი. 1/8 ფინალი. "კრილია სავეტოვი" - "დინამო". საპასუხო მატჩი

**НТВ+ПЛЮС**

10:00, 16:45, 19:00 პრესცენტრი
10:20, 19:15 "ქრონიკა"
10:25 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 ჩოგბურთი. "Masters Series" ინდიანა უელსში. (აშშ). შესვენებისას (13:00) - პრესცენტრი
14:00 ჩვენი ჰოკეი პლუსზე. რუსეთის ჩემპიონატის ბოლო ტურის მატჩი
17:00 "ვარსკვლავური სამშაბათი"
18:00 "არტეფაქტი". ველოსიპედი
18:30 სნოუბორდი. მსოფლიო თასის ეტაპი იაპონიაში
19:20 სახვალიო ტელეპროგრამა
19:25 ჩოგბურთი. "Masters Series" ინდიანა უელსში. (აშშ)
20:40 "სპორტისიმო"
21:25 სათხილამურო რბოლა. მსოფლიო თასის ეტაპი შვედეთში. ქალები. ვაჟები. სპრინტი. პირდაპირი ტრანსლაცია
23:00 "თოვლის სამყარო". ტელეჟურნალი
23:30 "ვატერპოლე"
00:00 ახალი ამბები
00:15 უშუ-სანდა. საერთაშორისო შეხვედრა რუსეთი - დსთ

**EUROSPORT**

10:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
11:00 ფრისტაილი. მსოფლიო თასის ეტაპი იტალიაში
11:30 სნოუბორდი. მსოფლიო თასის ეტაპი იაპონიაში
12:00 ტრიალი. სადარბაზო მსოფლიო ჩემპიონატი პორტუგალიაში
13:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. "მექსიკის რალი". მიმოხილვა
14:00 ბიატლონი. მსოფლიო თასის ეტაპი ავსტრიაში. ვაჟები
15:15 ბიატლონი. მსოფლიო თასის ეტაპი რუსეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
16:45 ბიატლონი. მსოფლიო თასის ეტაპი ავსტრიაში. ქალები
17:15 ბიატლონი. მსოფლიო თასის ეტაპი რუსეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
18:45 მულტისპორტი - აი, მესმის!
19:00 ფიგურული სრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი მოსკოვში. პირდაპირი ტრანსლაცია
23:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი ინდოეთში. მეოთხედფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
00:30 ახალი ამბები
00:45 ცხენოსნობა. მსოფლიო თასი საფრანგეთში
01:45 გოლფი. სპეციალური მიმოხილვა
03:15 მულტისპორტი ოთხშაბათობით

ფეხბურთი

# ჟირესი საინფორმაციო ომს იწყებს

მიხეილ აბაიშვილი

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფისში ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ალენ ჟირესმა დაიწყო პრესკონფერენციების მორიგი ციკლი, რომელიც ორ კვირას გასტანს და თითქმის ყოველდღე გაიმართება. მიზეზი კი ყველასათვის ცნობილია: 26 და 30 მარტს ჩვენი ქვეყნის უპირველესი საფეხბურთო გუნდი მსოფლიო ჩემპიონატის მიმდინარე შესარჩევ ციკლში ორ უმნიშვნელოვანეს თამაშს გამართავს. 26 მარტს ვმასპინძლობთ ევროპის ჩემპიონს საბერძნეთს, ხოლო 30 მარტს - მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორ თურქებს დავუხვდებით. ასეთ ვითარებაში ბევრი მწვრთნელი ერთგვარ საინფორმაციო - პროპაგანდისტულ ომს იწყებს, რათა ფსიქოლოგიური ზემოქმედება მოახდინოს მეტოქეებზე. ამ თვალსაზრისით, ჟირესი საკმაოდ ნაყოფიერად მუშაობს და არც ამჟამად აპირებს ტრადიციის დარღვევას.



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

*ალენ ჟირესი: "საბერძნეთი ის აღარ არის, რაც პორტუგალიაში იყო".*

პრესკონფერენციის დაწყებამდე დარიგდა იმ ფეხბურთელების 23-კაციანი სია, რომლებიც ფრანგმა სპეციალისტმა შეკრებაზე იხმო.

**მეკარეები: ლომაია ("ხიმკი", რუსეთი), დევაძე ("სპარტაკი", თბილისი), მერლანი ("ტორპედო, ქუთაისი); მცველები: სალუქვაძე ("რუბინი", რუსეთი), მჟავანაძე ("ანჟი", რუსეთი), ხიზანიშვილი ("გლაზგო რეინჯერსი", შოტლანდია), ხიზანეიშვილი ("ფრაიბურგი", გერმანია), კალაძე ("მილანი", იტალია), კვირკველია ("ალანია", რუსეთი), შაშიაშვილი ("ალანია", რუსეთი), ამისულაშვილი ("დნიეპრო", უკრაინა); ნახევარმცველები: კობიაშვილი ("შალკე", გერმანია), ცქიტიშვილი ("ფრაიბურგი", გერმანია), ასათიანი ("ლოკომოტივი", რუსეთი), გახოკიძე ("ტვენტე", ჰოლანდია), მაღრაძე ("ქსანტი", საბერძნეთი), გოგუა ("ხიმკი", რუსეთი), ბურდული ("ალანია", რუსეთი); თავდამსხმელები: იაშვილი ("ფრაიბურგი" გერმანია), არველაძე (გლაზგო რეინჯერსი", შოტლანდია), დემეტრაძე ("მეტალურგი", უკრაინა), აშვეთის ("ლოკომოტივი", რუსეთი), ჯაკობია ("მეტალისტი", უკრაინა).**

ამ სიის თვალის ერთი გადავლებითაც ნათლად ჩანს, რომ ჟირესი უმნიშვნელო ცვლილებებსაც კი ერიდება და ერთხელ არჩეულ კურსს, გნებავთ, შემადგენლობას, არ ღალატობს. ერთი თვის წინათ საქართველოს ნაკრებმა თბილისში ამხანაგური მატჩი გამართა ლიტვასთან, რომელიც ქართველი ფეხბურთელების გამარჯვებით, 1:0 დასრულდა. იმ შეხვედრაში ფრანგმა რამდენიმე ახალი, ზოგიც ძველი ფეხბურთელი გამოსცადა. მათ შორის, უკრაინაში მოთამაშე ვასილ გიგიაძე და კვიპროსზე ქეცბაიას თანაგუნდელი, გიორგი ქინქლაძე. ამ ფეხბურთელებმა საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვეს, თუმცა, ჟირესის სიაში ვერ მოხვდნენ. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ გამოძახებულ ფეხბურთელთა ნახევარზე მეტს სათამაშო პრაქტიკა აკლია.

"ქინქლაძეც და გიგიაძეც საკმაოდ კარგი ფეხბურთელები არიან და მათ ლიტვასთან შეხვედრაში ჩემი დიდი სიმპათიები დაიმსახურეს. ის, რომ გამოძახებულთა სიაში ეს ფეხბურთელები ვერ მოხვდნენ, სულაც არ ნიშნავს მათთვის ნაკრების კარის საბოლოოდ ჩაკეტვას. ეს ბევრ სხვა ქართველ მოთამაშესაც ეხება. უბრალოდ, დღეის მდგომარეობით, საკმაოდ გავიმართლა და ნაკრების კანდიდატებს ტრავმები არ აწუხებთ, რის გამოც, არჩევანის ძალზე დიდი საშუალება მქონდა. შესაბამისად, გამოვიძახე ის 23 ფეხბურთელი, რომლებიც დღეისთვის ყველაზე საჭიროდ მიმაჩნია. ის, რომ ჩემს მიერ გამოძახებული ფეხბურთელების ნაწილს სათამაშო პრაქტიკა აკლია, სულაც არ მიმაჩნია არგამოძახების საკმარის საბაბად. ასეთ ფეხბურთელთა რიცხვში არიან კალაძე და ხიზანიშვილი, მაგრამ მათი სათამაშო ოსტატობა რომ ეჭვგარეშეა, თავადაც დამეთანხმებით," - ასეთი გახლავთ ჟირესის კომენტარი შემადგენლობასთან დაკავშირებით.

აქვე გამცნობთ, რომ ნაკრები ამ თამაშებისადმი მიძღვნილ საწვრთნელ შეკრებას ორშაბათს, 21 მარტს დაიწყებს. ეროვნული გუნდი დისლოკაციის ტრადიციულ პუნქტში, სასტუმრო "ბატესტაში" დაბინავდება, ხოლო ვარჯიშებს ავლაბარში, "ოლიმპის" სტადიონზე გამართავს.

"დღეს დაიწყო ამ ორი უმნიშვნელოვანესი თამაშისთვის სამზადისი. ჯერჯერობით, ფეხბურთელების გარეშე ვემზადებით და საორგანიზაციო საკითხებს ვაგვარებთ. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიმართ სასაყვედურო არაფერი მაქვს: ყველა ჩემი მოთხოვნა გათვალისწინებულია და ყველა პრობლემა - მოგვარებული. მატჩებისთვის მოსამზადებლად არავითარი ხელისშემშლელი პირობა არ არსებობს. შეკრებას 21 მარტს დავიწყებთ. ამჟამად თურქეთზე საერთოდ არ ვფიქრობ. პირველი მატჩი ევროპის ჩემპიონთან გველის და ამით ყველაფერი ნათქვამია. თუმცა, ისიც მინდა აღვნიშნო, რომ ევროპის ჩემპიონატზე ის სულ სხვა, უფრო ძლიერი გუნდი იყო. ისე არ გამიგოთ, თითქოს ბერძნებს სუსტ მეტოქედ მივიჩნევდე. ამ გუნდს უმაღლესი კატეგორიის პროფესიონალი მწვრთნელი ჰყავს (გერმანელი ოტო რეჰაგელი,-რედ.), რომელსაც საევროპისჩემპიონატო შემადგენლობა პრაქტიკულად არ შეუცვლია. ამ გუნდს ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ დაღმასვლა ჰქონდა, რაც იოლად პროგნოზირებადი იყო. ამიტომ, მერჩივნა, საბერძნეთთან და თურქეთთან შესარჩევი ციკლის პირველი შეხვედრები გამემართა ანუ მაშინ, როცა ეს გუნდები შორს იქნებოდნენ ოპტიმალური სპორტული ფორმისგან. ასე არ მოხდა და სწორედ მაშინ გვიწევს ბერძნებთან დაპირისპირება, როცა ეს გუნდი თანდათან იკრებს ძალას. საბერძნეთის ნაკრები მკაცრად ორგანიზებული, კარგად დაბალანსებული გუნდია, თუმცა, არა უშეცდომო. შევეცდებით, რომ მათ თამაშში გამოვლენილი სულ უმნიშვნელო ხარვეზიც კი ჩვენს სასარგებლოდ გამოვიყენოთ", - განაცხადა ნაკრების ფრანგმა თავკაცმა.

შესარჩევ თამაშებამდე საქართველოს ჩემპიონატის ორი ტური გაიმართება და მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ჩემპიონატიდან ნაკრებში მხოლოდ ორი მეკარეა გამოძახებული, ჟირესი მაინც აპირებს თამაშებზე დასწრებას.

"ამას მხოლოდ ერთი მიზნით ვაკეთებ. ეროვნული ჩემპიონატის დონე, საწუხაროდ, ისე მაღალი არ არის, რომ გვაკმაყოფილებდეს. თამაშებს ძალზე ხშირად მოტივაციაც აკლია. ჩემი დასწრებით მინდა ახალგაზრდა, პერსპექტიულ ფეხბურთელებს თამაშის დამატებითი ხალისი და მოტივაცია შევძინო და მინდა მათ იგრძნონ, რომ ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ყურადღების ცენტრში არიან", - ჟირესი მომავალ თაობებზე ზრუნვისთვისაც იცლის.

# ბილეთები გაიაფდა

## 10 ლარი 20-30 ლარის ნაცვლად

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ცნობით, საქართველო-საბერძნეთის და საქართველო-თურქეთის ეროვნული ნაკრები გუნდების მატჩებზე 20 და 30-ლარიანი ბილეთების ფასი შეიცვალა და 10 ლარამდე დავიდა! ასეთი ბილეთი დაახლოებით 15 ათასი იქნება და მათი გაყიდვა 3 დღეში დაიწყება.

"დღეს ფედერაციაში გვეწვია თბილისის მერიის სპორტის სამსახურის ხელმძღვანელი, გიორგი უდესიანი, რომელმაც მერიის სახელით ამ თამაშების ორგანიზების მთელ რიგ საკითხებში თანადგომა შემოგვთავაზა. ამ თანადგომის წყალობით, მკვეთრად მცირდება შესარჩევი თამაშების საორგანიზაციო ხარჯები, რამაც ფედერაციას საშუალება მისცა, რომ წინასწარ გამოცხადებული 20 და 30 ლარის ღირებულების ბილეთების ფასი 10 ლარამდე შეემცირებინა", - გუშინ "24 საათთან" საუბარში განაცხადა სფფ-ს პრესატაშემ ლევან სალუქვაძემ.

დოპინგ-სკანდალი

# გერმანელი სპორტსმენები ფარმაცევტებს უჩივიან




1972 წლიდან 1989 წლამდე, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დაშლამდე აღმოსავლეთ გერმანელმა ათლეტებმა ოლიმპიურ თამაშებზე 384 მედალი მოიპოვეს.

და საერთოდ, იმ ხანად გდრ-ის წარმომადგენლები ნებისმიერი რანგის ასპარეზობებზე არნახულ წარმატებებს აღწევდნენ, მაგრამ რის ფასად?

აღმოსავლეთ გერმანიის ყოფილი სპორტსმენები ფარმაცევტული კომპანია Jenapharm-ს კომპენსაციას სთხოვენ. ირკვევა, რომ კომპანიის მიერ წარმოებულ სტეროიდებს ყოფილ სპორტსმენთა ჯანმრთელობაზე უარყოფითი გავლენა მოუხდენია. უხეშად რომ ვთქვათ, კომპენსაცია ზარალის ასანაზღაურებლად არის გათვალისწინებული.

სტეროიდი სახელწოდებით Oral-Turinabol-ს ფარმაცევტული კომპანია 1970-80-იან წლებში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დაკვეთით აწარმოებდა. საგულისხმოა, რომ 160 სპორტსმენიდან უმრავლესობა, რომლებმაც კომპანიის წინააღმდეგ სარჩელი აღძრეს, იმ დროს სულ რაღაც ათი წლის თუ იყო.

ახლა ის სპორტსმენები კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქციის მოხმარების გამო კომპენსაციის სახით 10-10 ათას ევროს მოითხოვენ.

ამასობაში Jenapharm-ის წარმომადგენლები თავს იმართლებენ და აცხადებენ, რომ მათ მიერ წარმოებული სტეროიდი ნებადართული პრეპარატი იყო და თუ ვინმეს დასჯა გსურთ პირველყოვლისა იმ მწვრთნელებს მიაკითხეთ, რომლებიც საკუთარ შეგირდებს ჩვენს პრეპარატებს გადაჭარბებული დოზით აწვდიდნენო.

"როდესაც ვიღაცას მთელი ცხოვრება ღვიძლი აწუხებს, როდესაც ქალს ინვალიდი ბავშვი შეეძინება, ისეთი რომელიც გარეგნულად რთული დასადგენია ქალია თუ კაცი, ყოველივეს ფულით კომპენსირება შეუძლებელია", - აცხადებს დაზარალებულ ათლეტთა ადვოკატი მიხაელ ლეხნერი და იქვე დასძენს, რომ სპორტსმენები მსხვერპლნი არიან და არა თანამოაზრეები დოპინგის საქმეში.

ზოგიერთი მონაცემებით 1972-80-იან წლებში დოპინგის მოხმარება აღმოსავლეთ გერმანიაში მასობრივ ხასიათს ატარებდა.

"უარის თქმა შეუძლებელი იყო", - ვითარებაში გვარკვევს პროფესორი გიზელხერ სპიტზერი პოტსდამის უნივერსიტეტიდან, რომელიც გდრ-ს დოპინგის პროგრამის შესწავლითაა დაკავებული. სპიტზერის განმარტებით, სტეროიდების მომხმარებლები ძირითადად მოციგურავეები და ტანმოვარჯიშეები იყვნენ. ირკვევა, რომ იმ ხანად აღმოსავლეთ გერმანიის სპორტსმენები ყოველწლიურად ორ მილიონ დოზას მოიხმარდნენ. ამასთან ზოგიერთი მონაცემით დაახლოებით ათი ათასი სპორტსმენი დაზარალდა სტეროიდების გამო. მათ შორის ყველაზე გახმაურებული ფაქტი მოცურავე გეორგ სევერესის სიკვდილია, რომელიც აუზში ვარჯიშისას უცაბედად გარდაიცვალა. სევერესის მშობლების თქმით, მათი შვილის გულმა დატვირთვებს ვერ გაუძლო, რადგან იმ ხანად გრიპით იყო დაავადებული, მაგრამ... 20 წლის შემდეგ აუტოპსიამ აჩვენა, რომ სპორტსმენი ღვიძლის ინტოქსიკაციით მოკვდა.

აღსანიშნავია, რომ გდრ-ს ცურვის ფედერაციის ყოფილი ხელმძღვანელი ლოთარ კიპკე, რომელიც 1975-1985 წლებში ქვეყნის სადოპინგო პროგრამას ხელმძღვანელობდა, ექვსი ათასი დოლარით დააჯარიმეს და იმავდროულად პირობითი სასჯელიც მიუსაჯეს, მაგრამ... ფაქტია, დოპინგის საქმეში მხილებულ არცერთ ბრალდებულს ციხეში არც ერთი დღე არ გაუტარებია. ლეხნერის თქმით, სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ ყოფილ ათლეტებს სასამართლოსთვის მიემართათ.

და მაინც, Jenapharm-ის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ უდანაშაულონი არიან, როგორც კომპანიის აღმასრულებელი დირექტორი იზაბელ როტი გვარკვევს ვითარებაში, მაშინ ფარმაცევტული კომპანია ვალდებულიც იყო დოპინგის წარმოების სამთავრობო პროგრამაში მიეღო მონაწილეობა. გარდა ამისა, იმავე როტის განცხადებით, Oral-Turinabol ოფიციალურად ნებადართული პრეპარატი იყო და სააფთიაქო ქსელშიც თავისუფლად იყიდებოდა.

ერთი სიტყვით, კომპანია მწვრთნელებს ადანაშაულებს იმაში, რომ მათი დახმარებით თუ რჩევით სპორტსმენები დიდი დოზით იყენებდნენ სტეროიდებს.

მტყუან-მართალს კი ჰამბურგის საარბიტრაჟო სასამართლოში გაარკვევენ.

# ჰეთ-თრიქი

## "ინტერი" - პორტუ" 3:1 (1:1)

ადრიანომ ჰეთ-თრიქი შეასრულა. მან სამი გოლი აგემა "პორტუს" მეკარე ვიტორ ბაიას და განაპირობა კიდეც მილანის "ინტერის" ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გასვლა. საოცარია, მაგრამ ადრიანომ ჩემპიონთა ლიგის მეექვსე შეხვედრაში შვიდი გოლი გაიტანა. სწორედ მისი და გუნდის უაღრესად მობილური ნახევარდაცვის თამაშის შედეგია, რომ "ნერაძური" ევროპის რვა უძლიერესი გუნდის მარაქაში გაერია და თანაქალაქელ "მილანთან" ერთად აგრძელებს ლიგის თასის მოგებისთვის ბრძოლას.



*ბრაზილიელმა ადრიანომ ჩემპიონთა ლიგის 6 შეხვედრაში 7 გოლი გაიტანა.*

წლევანდელი გათამაშება იტალიური კლუბების აშკარა უპირატესობით ხასიათდება. მეოთხედფინალს სერია A-ს სამი წარმომადგენელი ("მილანი", "ინტერი" და "იუვენტუსი") შემორჩა და სულაც არ იქნება საკვირველი, რომ პარასკევს კენჭისყრამ იტალიელები ერთმანეთს დაუპირისპიროს. ასეთი ვითარება ორი წლის წინათ უკვე იყო, როცა "მილანმა" ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალურ დერბიში, ორი მატჩის ჯამში - 1:0 დაამარცხა "ინტერი" და ფინალში ასევე იტალიურ კლუბ "იუვენტუსს" სძლია პენალტების სერიით.

მოკლედ, შედგება თუ არა ლიგის წლევანდელ გათამაშებაში იტალიური დერბი ამას კენჭისყრა გვიჩვენებს. ფაქტი კი ის არის, რომ "ინტერმა" გუშინ უაღრესად მაღალი ხარისხის ფეხბურთი აჩვენა და ეს მნიშვნელოვანწილად სწორედ ადრიანოს დამსახურება იყო. რობერტო მანჩინი თამაშის დაწყებამდე ამბობდა, რომ მისი გუნდისთვის იდეალური ვარიანტი იქნება, თუ გოლს მატჩის დებიუტში გაიტანს. "ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან როცა ანგარიში მიგყავს, საშუალება გეძლევა, მეტოქეს საკუთარი თამაში უკარნახო" - თქვა მწვრთნელმა.

...და ადრიანომ მისცა "ინტერს" ასეთი შანსი. მე-6 წუთზე ანგარიში - 1:0 იყო მასპინძელთა სასარგებლოდ. ამის შემდეგ "ინტერმა" მეტოქეს ბურთი დაუთმო და თვითონ თამაში კონტრშეტევებზე ააგო. ტაქტიკამ აშკარად გაამართლა და "ინტერის" ფეხბურთელები უფრო ზუსტნი რომ ყოფილიყვნენ, ადვილი შესაძლებელი იყო, საქმე პირველივე ტაიმში დაემთავრებინათ. ისე კი, კარგა გულიანად ინერვიულეს და "სან სიროზე" შეკრებილი აუდიტორიაც გვარიანად ანერვიულეს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც კუთხურიდან მოწოდებული ბურთი "პორტუს" კაპიტანმა ჟორჟე კოშტამ ტოლდოს კარში გაგზავნა - 2:1 და ჩემპიონთა ლიგის შარშანდელ გამარჯვებულს ერთი გოლიღა სჭირდებოდა სასურველი შედეგის მისაღწევად.

თუმცა, იგრძნო, თუ არა საფრთხე, "ინტერი" მყისვე შეტევაზე გადავიდა და მეტოქისთვის აღარც კი მიუცია გოლის გატანის შანსი. თვითონ კი ადრიანოს გარჯით მესამედაც აიღო პორტუგალიელთა კარი და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა.

# გაფიცვა

ორშაბათს ევროპის საფეხბურთო მსაჯებმა გაავრცელეს წერილი, რომელშიც მხარს უჭერენ შვედ არბიტრ ანდერს ფრისკს. შეგახსენებთ, რომ ამ ამბავამდე რამდენიმე დღით ადრე ფრისკმა სამსაჯო კარიერის დასრულების შესახებ განცხადება გააკეთა. მიზეზი კი მისი მისამართით განუწყვეტელი მუქარებია.

"ჩვენ ფრისკს ვერაფრით დავეხმარებით. ერთადერთი, რაც შეგვიძლია გაფიცვის მოწყობაა. ასეთი ნაბიჯი მსაჯებს შორის სოლიდარობის მანიშნებელი იქნებოდა. მსაჯები შეიძლება შეცდნენ, ისევე როგორც მოთამაშეები და მწვრთნელები, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მათ შეიძლება დაემუქრო", - განუცხადა ყოველდღიურ გამოცემა "ბილდს" უეფას სამსაჯო კომიტეტის თავმჯდომარე ფოლკერ როტმა.



*ფრისკს ხან თავი გაუტეხეს, ხან დაემუქრნენ და ბოლოს მან წასვლა გადაწყვიტა.*

ვარაუდობენ, რომ პირველად გაფიცვაში გერმანელი არბიტრები ჩაერთვებიან, რომლებიც უარს იტყვიან ბუნდესლიგის მატჩების მსაჯობაზე. მაინის ფრანკფურტში გერმანელ მსაჯთა შეხვედრა შედგება, სადაც ისინი გაფიცვის შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებენ და დეტალებს შეათანხმებენ.

ფრისკის მიმართ მუქარები მას შემდეგ დაიწყო, რაც ლონდონის "ჩელსის" მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ "ბარსელონა" - "ჩელსის" შეხვედრის პირველი ტაიმის შემდეგ შენიშნა, თუ როგორ ესაუბრებოდა ფრისკი "ბარსას" მთავარ მწვრთნელ ფრანკ რაიკაარდს. შესვენების შემდეგ, "ბარსა", რომელმაც პირველი ტაიმი წააგო, გამოცოცხლდა და თამაშის მოგება მოახერხა. მსაჯმა კი კატალონიელებს საჩუქარი მიუძღვნა და მინდვრიდან მიაბრძანა "ჩელსის" ფორვარდი დიდიე დროგბა.

მატჩის შემდეგ მოურინიომ არაორაზროვნად განაცხადა, რომ დროგბას გაძევება სწორედ რაიკაარდისა და ფრისკის საუბრის შედეგი იყო. მოურინიოს განცხადებამ საფეხბურთო სამყაროში დიდი რეზონანსი გამოიწვია. იმავე ფოლკერ როტმა ერთ-ერთი შვედური გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ "მოურინიო ფეხბურთის მტერია". ამის პასუხად მოურინიო როტს სასამართლოში ჩივილით დაემუქრა და შემდეგი კომენტარი გააკეთა: "მისტერ როტს ორი დღე აქვს იმისთვის, რომ ბოდიში მომიხადოს. წინააღმდეგ შემთხვევაში მას სასამართლოში ყურყუტი მოუწევს. უაღრესად სამწუხაროა, რომ ანდერს ფრისკმა სამსაჯო კარიერის დასრულების შესახებ განაცხადა. თუმცა, ჩემთვის გაუგებარია ზოგი მოსაზრება იმის შესახებ, რომ ამ მოვლენასთან რაიმე კავშირი მაქვს...კრიტიკა, რომელიც მსაჯების მიმართ ისმის, ყველგან არსებობს. ამას გარდა, კრიტიკას ვერ სცდებიან კლუბის ხელმძღვანელები, მოთამაშეები და მწვრთნელები. ეს ნორმალური სიტუაციაა. ფრისკის დონის მსაჯი არ უნდა იღებდეს ასეთ გადაწყვეტილებას "ჩელსი" - "ბარსელონას" მატჩიდან გამომდინარე," - განაცხადა მოურინიომ.

ფრისკის საკითხს გამოეხმაურა უეფას გენერალური მდივანი ლარს-კრისტერ ოლსონი. მან განაცხადა, რომ ორშაბათს ფრისკს ესაუბრა და შეეცადა მსაჯი თავისი გადაწყვეტილების სიმცდარეში დაერწმუნებინა. თუმცა, შეშინებული მწვრთნელი შეუვალი აღმოჩნდა. "ანდერს ფრისკის გადაწყვეტილება დაასრულოს მსაჯის კარიერა საბოლოოა. ჩვენ ისღა დაგვრჩენია მის ამ გადაწყვეტილებას პატივი ვცეთ. ამას გარდა, უეფა დაუშვებლად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი მსაჯი კარიერას ასე ამთავრებს," - აღნიშნა ოლსონმა.

ფრისკის მხარდამჭერთა შორის აღმოჩნდა ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერიც. "მე ვამბობდი და კიდევ ვიმეორებ, რომ მსაჯებს პატივისცემით უნდა მოვეპყროთ. ისინი კი, ვინც თავს უფლებას აძლევს მსაჯებს თავს დაესხას, სინამდვილეში ფეხბურთს ესხმის თავს," - განაცხადა ბლატერმა.

თუ ევროპაში მსაჯებს ემუქრებიან, სამხრეთ ამერიკაში პირიქით ხდება. ხშირად მსაჯები თვითონ ატარებენ აგრესიულ აქტებს. კვირას ბრაზილიის ჩემპიონატის მატჩის დროს "ამერიკა" - "ატლეტიკო მინეირუ", მატჩის არბიტრმა ლუის კარლოს სილვამ რამდენიმე ძლიერი დარტყმით ნაკაუტში გაუშვა გულშემატკივარი, რომელიც მინდორზე გადმოხტა. მატჩის შემდეგ კი სილვამ განაცხადა, რომ მომხდარის გამო ერთი წუთითაც არ ნანობს.

"ეს ადამიანი მინდორზე გამოვარდნით თავხედურად ჩაერთო საქმეში, რომელშიც მე ფულს მიხდიან" - განაცხადა სილვამ. რით არ არის ეს ფაქტი ფრისკისთვის მაგალითი, რომლის სიმხდალის ამბავი მთელ მსოფლიოს მოედო?



# "თქვენი აფხაზეთი"

პროექტის კოორდინატორი თორნიკე ბარიშვილი

## უნიკალური მოვლენაა, იყო განსაკუთრებულ დავალებათა რწმუნებული და ორივე მხარე გენდობოდეს



შეხვედრა სტამბულში. (შუაში ზურაბ ლაკერბაია).

*ზურაბ ლაკერბაია ერთადერთი ადამიანია, რომელიც წლების განმავლობაში ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარების საკითხში, ერთდროულად, ორივე მხარის წარმომადგენელი იყო. ეს უფლებამოსილება მას ახალმა ხელისუფლებამაც აღუდგინა, რამაც გარკვეული მითქმა-მოთქმა გამოიწვია. სამწუხაროდ, ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო, თავად ზურაბ ლაკერბაიასთან საუბარი ვერ მოხერხდა. ამიტომ, კომენტარი ვთხოვეთ სახალხო დიპლომატიაში გამოცდილ და ავტორიტეტულ ადამიანს, გურამ ოდიშარიას.*

გურამ ოდიშარია: "რამდენადაც ვიცი, და მგონი არ მეშლება, ზურაბ ლაკერბაია გახლავთ ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო კომისიის აღმასრულებელი მდივანი, რომელსაც უკვე, ალბათ, 7 წელზე მეტია, რაც ქართული მხრიდან განსაკუთრებულ დავალებათა რწმუნებულის სტატუსიც აქვს, ხოლო აფხაზურიდან, ფაქტობრივად, იგივე."

**- რა ფუნქცია აკისრია საკოორდინაციო კომისიას და, კერძოდ, ზურაბ ლაკერბაიას?**

- საკოორდინაციო საბჭო საქართველოში გაერო-ს მისიასთან უშუალო ურთიერთობაშია და, ამიტომაც, ზურაბ ლაკერბაიას საქმიანობა თავისი განსაზღვრული ფორმატით წარიმართება. გარდა ამისა, ის "განსაკუთრებული დავალებები", რომელიც ფუნქციურად მას უკავშირდება, გარკვეულ აღმასრულებელ თავისებურებებს შეიცავს და, ამის გამო, ამ საქმეში სრულყოფილი გამჭვირვალობა წარმოუდგენელია; და აქ არც არაფერია გასაოცარი. ზურაბ ლაკერბაიას მხოლოდ შუამავლის როლი აკისრია და არა - გადაწყვეტილების მიმღების. ის ხელს უწყობს ორმხრივ ინიციატივებს, რომლებიც, შექმნილი ვითარების გამო, სამწუხაროდ, ასე იშვიათია.

**- რამ გამოიწვია მითქმა-მოთქმა?**

- ჩვენ ქრონიკულად ფეთქებად, ჯერ კიდევ დაუსრულებელი კონფლიქტის სივრცეში ვიმყოფებით და ამიტომაც, ნებისმიერი სტატუსის შუამავალი, ფაქტობრივად, დანაღმულ ველზე დაიარება. ის ხანდახან, ორივე მხრიდან, დაუმსახურებელი, ეჭვებითა და ჭორებით ნაკარნახევი კრიტიკის ობიექტი ხდება. და ესეც გასაგებია, მაგრამ უდავოა ის ფაქტი, რომ ასეთი კაცი ორივე მხარეს აუცილებლად სჭირდება, თუნდაც რომელიმე ერთ ან მეორე მხარეს მისი ფუნქცია მაღალი თანამდებობრივი რანგით იყოს გამყარებული. პირიქით, მაღალი თანამდებობრივი რანგი ეფექტური შედეგების მიღწევის გარანტიაა. ასეთი კაცი სჭირდებოდათ გუშინ, სჭირდებათ დღეს და დასჭირდებათ ხვალაც. ზურაბ ლაკერბაიას მისიის გაგრძელება ამის დასტურია.

ომი - მარტივი, სიტუაციის მშვიდობიანი გზით გამოსწორება კი ურთულესი საქმეა. ის დიდ სიბრძნესა და სიფრთხილეს მოითხოვს. ვიმეორებ, რაც ადრე მითქვამს – მშვიდობას მეტი ვაჟკაცობა სჭირდება, ვიდრე ომს.

ზურაბ ლაკერბაიას შუამავლობით რამდენიმე პროექტი წარმატებულად განხორციელდა. ლაკერბაია ის გამოცდილი კაცია, რომელმაც დანაღმულ ველზე სიარული იცის. იყო განსაკუთრებულ დავალებათა რწმუნებული და ორივე მხარე გენდობოდეს, ეს უნიკალური მოვლენაა, ოღონდ ამ უნიკალურობას, მის პოტენციას უნიკალური გამოყენება სჭირდება და იმედს გამოვთქვამთ, რომ ორივე მხარის ლიდერები და, საერთოდ, ორივე მხარე მაქსიმალურად შეძლებენ ამას – წარმართავენ და განავითარებენ ჭეშმარიტ, შედეგიან დიალოგს და საქმიანობას ამ წლობით გაჭიანურებული, ორივე ხალხისათვის სასოწარმკვეთ და მომქანცველი, თითქმის უიმედო სიტუაციის გადასარჩენად.

*24 საათი*

**პროექტი "თქვენი აფხაზეთი"**
ჩვენი პოვნა შეგიძლიათ: გაზეთი **"24 საათი",** ყოველ ოთხშაბათს
საქართველოს რადიო, პირველი არხი, **FM 102,4 10სთ და 25 წთ-დან, ყოველ ორშაბათს**

პროექტის მხარდამჭერი conciliation resources

## აფხაზთა პოზიცია მხარეების პირველ შეხვედრაზე

ზაზა ფაჩუაშვილი

*ცნობილი პარლამენტარი და დღეს უკვე დამოუკიდებელი ექსპერტი, საკონსტიტუციო სამართლის სპეციალისტი ვახტანგ ხმალაძე იმ ადამიანთა რიგში იყო, ვინც პირველ ქართულ-აფხაზურ სამშვიდობო მოლაპარაკებებში მონაწილეობდა. ეს იყო 1990 წელს, როცა აფხაზეთში სისხლი დაიღვარა და ვითარება უკიდურესად დაიძაბა, ორი აფხაზი შუამავალი კი თბილისში ეროვნული მოძრაობის ლიდერებთან შესახვედრად ჩამოვიდა.*



ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

ვახტანგ ხმალაძე "აფხაზურ კლუბში".

ვახტანგ ხმალაძე: "1990 წლის დასაწყისში თბილისში ჩამოვიდნენ აფხაზეთში ერთადერთი არაფორმალური ანტისაბჭოთა ორგანიზაცია - "აიდგილარას" თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ აჩბა და დავით ფილია, რომლებიც "რუსთაველის საზოგადოებაში", ბატონ აკაკი ბაქრაძესთან, საქართველოს ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებს შეხვდნენ. მაშინ სოხუმში სიტუაცია უკვე დაძაბული იყო, სისხლიც დაიღვარა უნივერსიტეტის დარბევის ფაქტთან დაკავშირებით. სტუმრებმა გამოთქვეს სურვილი, რომ შექმნილი რთული ვითარებიდან გამოსავალი ერთად მოგვეძებნა და ქართულ-აფხაზური ურთიერთობები ისევ ცივილიზებულ სფეროში გადაგვეყვანა. იგულისხმებოდა, რომ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხების დამოუკიდებელი გადაწყვეტის უფლება ჰქონოდა, ხოლო სხვა საკითხები, რაც უკავშირდებოდა საქართველოს, როგორც სსრკ-ში შემავალ ერთიან სახელმწიფო სტრუქტურას, გადაეწყვიტა საქართველოს. მათ სურდათ იმგვარი სახელმწიფოებრივი მოდელის შექმნა, რომელიც აფხაზეთში მცხოვრებ ამომრჩევლებს უმაღლესი საბჭოს თავისუფალი არჩევის საშუალებას მისცემდა. თანაც, ისე, რომ დიდ უმცირესობაში მყოფ ეთნიკური აფხაზების წარმომადგენლობას უმრავლესობაში მყოფი ქართველების დეპუტაციის თანაბარი ხმა ჰქონოდა. მათი აზრით, ეს აფხაზური ეთნოსის შენარჩუნების საშუალება იქნებოდა. ამის გაკეთება შეიძლებოდა ორი გზით: 1 - უმცირესობას უნდა მისცე უმრავლესობა, რაც სრულიად ეწინააღმდეგება დემოკრატიულ პრინციპებს. 2 - უმცირესობის წარმომადგენლობას მიანიჭო მაღალი კვოტის უფლება და შეუქმნა ვეტოს გამოყენების მექანიზმი.

კონსულტაციების შემდეგ გადაწყდა, რომ შექმნილიყო ერთობლივი სამუშაო ჯგუფი, რომელიც ქართულ-აფხაზური ურთიერთობების ახალ მოდელზე იმუშავებდა. საუბარი იყო აფხაზეთის ა/რ კონსტიტუციაზე, საარჩევნო კანონზე და საქართველოს კონსტიტუციაში შესაბამის ცვლილებებზე.

ჯგუფში აფხაზური მხრიდან მუშაობდნენ ზურაბ აჩბა და სოხუმის აფხაზური უნივერსიტეტის სამართლის კათედრის გამგე ვახტანგ ქეცბა. ქართული მხრიდან – საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე ავთანდილ დემეტრაშვილი, მაშინდელი "დასის" თავმჯდომარე რევაზ შავიშვილი, მე (მაშინ მისი მოადგილე ვიყავი) და უნივერსიტეტის პრორექტორი ლევან ალექსიძე.

**- როგორ მიმდინარეობდა მუშაობა?**

- ჯგუფი ნაყოფიერად მუშაობდა. მართალია, ზოგჯერ ცხარე კამათიც გვქონდა, მაგრამ არ ყოფილა ისეთი საკითხი, რომელზეც საბოლოოდ შეთანხმებისთვის არ მიგვეღწიოს.

აჩბა და ქეცბა შემდეგნაირად მსჯელობდნენ: აფხაზეთი ვერ მიიღებს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობის საშუალებას. ამიტომ უმჯობესია, იყოს საქართველოს შემადგენლობაში, რათა საკუთარი თვითმყოფადობის შენარჩუნების საშუალება ჰქონდეს. მრავალსაუკუნოვანი ისტორიული გამოცდილება იძლევა ამის გარანტიას საქართველოს შემადგენლობაში. იმ შემთხვევაში, თუ აფხაზეთი რუსეთის შემადგენლობაში აღმოჩნდება, შეიძლება ეკონომიკურად უფრო ძლიერი იყოს, მაგრამ მისი თვითმყოფადობა იქ აუცილებლად გაქრება. ასეთი იყო მათთვის ამოსავალი დებულება და ცხადია, ჩვენს შორის შეთანხმების მიღწევა არ გაძნელებულა. ჩვენი პოზიციითაც აფხაზეთი იყო საქართველოს განუყოფელი ნაწილი და აფხაზების თვითმყოფადობას საქართველოში საფრთხე არ უნდა შექმნოდა.

**- რამდენ ხანს იმუშავა ჯგუფმა?**

- პროექტი გავამზადეთ იმავე წლის აპრილის ბოლოს. საჭირო იყო მისი შეთანხმება ქართული და აფხაზური მხარის ეროვნული მოძრაობის ლიდერებთან. სხვათა შორის, ჯგუფის წევრებმა გადავწყვიტეთ, რომ თუ ქართული და აფხაზური ეროვნული მოძრაობის ლიდერები პროექტს არ მიიღებდნენ, მას ჩვენი ხელმოწერებით გამოვაქვეყნებდით, როგორც გამოსავალს შექმნილი მდგომარეობიდან. აქვე უნდა გავიხსენო, რომ ერთ-ერთ შეხვედრაზე ჩვენთან მოვიდა აფხაზეთის კომპარტიის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი (ჩვენამდე იგი შეხვდა საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივანს), რომელმაც გვითხრა, რომ ოღონდ შეთანხმდით და ხელისუფლება (იგულისხმება საქართველოსა და აფხაზეთის ხელისუფლება) მზად არის, კანონიერი სახე მისცეს თქვენს შეთანხმებასო.

ცხადია, ქართულ მხარესთან არანაირი პრობლემა არ ყოფილა და პროექტს ყველა ლიდერი დაეთანხმა. სოხუმიდან კი პასუხი მაისის შუა რიცხვებამდე უნდა მიგვეღო, მაგრამ პასუხი არა და არ გაგვცეს. საერთოდ არავინ შეგვხმიანებია.

შემდეგ, 1990 წლის მაისში, სპორტის სასახლეში გაიმართა ეროვნული მოძრაობის ფორუმი, რომელზეც სიტყვით გამოვიდა ზურაბ აჩბა. ფორუმის შემდეგ მან დამირეკა და მითხრა, რომ მაისის ბოლომდე ჩამოვა თბილისში და პროექტის შეთანხმებულ ვარიანტს ჩამოიტანს. სამწუხაროდ, ერთი წელი ისე გავიდა, რომ ზურაბ აჩბა აღარ გამოჩენილა.

**- რა იყო ამის მიზეზი?**

- 1991 წლის ივლისში მე, რეზო შავიშვილსა და კიდევ რამდენიმე ადამიანს სოხუმში ჩასვლა მოგვიწია, აფხაზეთის უმაღლეს საბჭოში "26-28-11"-ის კვოტირებასთან დაკავშირებით. სხვა პრობლემებიც იყო იმის გამო, რომ აფხაზეთის კონსტიტუციაში არ შეიტანეს რიგი შესწორებებისა (მაგალითად, შესწორებები იმის თაობაზე, რომ თუ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე იქნებოდა აფხაზი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე უნდა ყოფილიყო ქართველი და ა.შ.), რომელთა ბლოკირებამ ვითარება ძალიან დაძაბა.

მაშინ ვნახე ზურაბ აჩბა და ვკითხე, რა იყო მისი გაუჩინარების მიზეზი.

სამწუხაროდ, ზურაბ აჩბა ცოცხალი აღარ არის და მე შემიძლია მისი პასუხის გახმოვანება. მან მითხრა: "სამწუხაროდ, "აიდგილარაში" რუსულმა ფრთამ იმძლავრა. მათ უარი თქვეს ასეთი შეთანხმების ხელმოწერაზე და ისეთი ვითარება შექმნეს, რომ ვინც ხელს მოაწერდა, აფხაზი ერის მოღალატედ გამოცხადდებოდა." ასეთი იყო მისი პასუხი.

მოგვიანებით, მოგეხსენებათ, რომ ზურაბ აჩბამ ისევ გააკეთა განცხადებები საქართველოსთან ურთიერთობების აუცილებლობის შესახებ, რაც აღარ აპატიეს და მოკლეს.

**- წლის დასაწყისში ეროვნული უშიშროების საბჭოში თავი მოუყარეს აფხაზეთთან დაკავშირებულ ყველა პროექტს...**

- ლაშა ტუღუშმა, დავით უსუფაშვილმა, პაატა ზაქარეიშვილმა და მე მოვამზადეთ პროექტი, რომლის მიზანია ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში ნდობის საფუძვლის შექმნა და მისი შემდგომი გაძლიერება, ურთიერთობების სტიმულირება და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება ენგურს გაღმა-გამოღმა მიმდებარე ტერიტორიაზე. ეს არის ეკონომიკური ხასიათის პროექტი, რომელმაც მნიშვნელოვანი პოლიტიკური შედეგიც უნდა მოგვცეს. ასეთი პროექტი ლაშა ტუღუშის იდეა იყო და ჯერ კიდევ სამი წლის წინათ შეიქმნა. შესაბამისად, ამ ხნის განმავლობაში ყველა კომპეტენტურ სახელმწიფო სტრუქტურასაც მიეწოდა. ყველას მოსწონდა, მაგრამ ამის იქით საქმე არ წასულა. ქმედითი ნაბიჯები არც ერთ ხელისუფალს არ გადაუდგამს. არადა, ეს ისეთი პროექტია, რომლის ხორცშესხმა ხელისუფლების პოლიტიკური ნების გარეშე შეუძლებელია. ამასთან, ამ პროექტში მონაწილეობა უნდა მიიღონ მსხვილმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა – გაერო, ევროსაბჭო, მსოფლიო ბანკი და ა.შ.

ჩვენი პროექტის პრეზენტაცია წელსაც მოვაწყვეთ და უშიშროების საბჭოშიც მივიტანეთ. იმედი გვაქვს, პროექტს მხარდაჭერა ექნება და მისი საწყისი ფაზის განხორციელებაც შესაძლებელი გახდება.

**- თქვენი ინფორმაციით, რა ფაზაშია ერთიანი სახელმწიფო კონცეფციის ჩამოყალიბება აფხაზეთთან დაკავშირებით?**

- ამის შესახებ, ჯერჯერობით, ინფორმაცია არ გამაჩნია, მაგრამ, რაც შეეხება ჩვენს მიერ წარდგენილ პროექტს, ხელისუფლების ნების გარეშე მის ხორცშესხმაზე ფიქრიც კი ზედმეტია.

**- კონფლიქტის მოგვარების პერსპექტივას ხედავთ?**

- დარწმუნებული ვარ, რომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტი დასრულდება ერთიანი ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში აფხაზეთის დაბრუნებით, მაგრამ საკითხავია, როდის დადგება ეს დრო. აქ კი განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რამდენად სწორად იმოქმედებს ქართული მხარე. ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მით უმეტეს, რომ ჩვენ მხარს გვიჭერს საერთაშორისო თანამეგობრობა. თუ სწორად ვიმოქმედებთ, საქართველოში ვითარება ძალიან მალე შეიცვლება უკეთესობისკენ და ეს მოხდება ყველა – პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ და ა.შ. – სფეროში. შედეგად, საქართველო მართლაც გახდება მიმზიდველი ყველასთვის და, მათ შორის, აფხაზებისთვის.

## ფონდი, რომელზეც იმედებს ამყარებენ

*ჩვენი გაზეთის მკითხველებს 16 თებერვლის ნომერში ვაუწყეთ, რომ ამა წლის 5-7 თებერვალს, სტამბულში, ასოციაციის "ქართული კულტურა საქართველოში და მის საზღვრებს გარეთ" ინიციატივით, ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო კომისიის საორგანიზაციო მხარდაჭერით და თურქული სამრეწველო კომპანიის "2D"-ს ფინანსური დახმარებით მოეწყო ქართული და აფხაზური არასამთავრობო ორგანიზაციების შეხვედრა. სწორედ ამ შეხვედრის შედეგი იყო 11 მარტს, თბილისში, სასტუმრო "ქორთიარდ მარიოტში" გამართული პრეზენტაცია, რომელზეც დაფუძნდა "აფხაზეთში ჰუმანიტარული და სოციალური პროგრამების განვითარების საერთაშორისო ფონდი."*

ლელა მარგიანი

ქართული საზოგადოებისთვის ცნობილია საქართველოს ახალი მთავრობის სამშვიდობო ინიციატივები აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხში. მთავრობის ოფიციალური პოლიტიკის გარდა, ძალიან მნიშვნელოვანი და, ზოგ შემთხვევაში, გაცილებით უფრო ეფექტურია არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ სხვადასხვა კუთხით წარმოებული სახალხო დიპლომატია. ამის ერთ-ერთ წარმატებულ გამოვლინებად შეიძლება ჩაითვალოს ოფიციალურად ორიოდე დღის წინათ დაფუძნებული "აფხაზეთში ჰუმანიტარული და სოციალური პროგრამების განვითარების საერთაშორისო ფონდი."

ფონდის პრეზენტაციაზე გამომსვლელები აღნიშნავდნენ, რომ ქართველ და აფხაზ ხალხებს შორის არსებული ვითარების გამოსწორება შესაძლებელია; რომ სიყვარულით, გულწრფელი ურთიერთდამოკიდებულებით, ჩვენსა და აფხაზებს შორის თორმეტი წლის წინათ ჩატეხილი ხიდის გამთლიანება შეიძლება.

ფონდის პრეზენტაციაზე ახლად დაარსებული საერთაშორისო ფონდის ხელმძღვანელი დარეჯან კუხიანიძე თურქეთში აფხაზ მეგობრებთან შეხვედრებს ემოციის გარეშე ვერ იგონებდა: "სტამბულში ძალიან თბილი შეხვედრები იყო. ჩვენი აფხაზი მეგობრები იხსენებდნენ თბილისს, იხსენებდნენ ბატონ არნოლდ ჩიქობავას, ქალბატონ ქეთევან ლომთათიძეს, მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლებს. აქედან წავედით უწმინდესისა და უნეტარესის ლოცვაკურთხევით, წავიღეთ სანთლები. იქ გვყავს მეგობრები, რომელთაც შეხვედრისას ვუთხარით, რომ ძალიან გვიყვარს ისინი. შევთავაზეთ მათ ჩვენი გულწრფელი სიყვარული, ვუთხარით, რომ ურთიერთობა უნდა დავიწყოთ თავიდან, რადგან არ შეიძლება, აფხაზ და ქართველ ხალხს, რომლებიც საუკუნეების მანძილზე ერთად ცხოვრობდნენ, მტრული ურთიერთობა ჰქონდეთ. გულისამაჩუყებელი წუთებიც გვქონდა, როდესაც სუფრაზე, სრულიად მოულოდნელად, არაჩვეულებრივი აფხაზი ქალბატონისგან მოვისმინეთ ხუტა ბერულავას მიერ აფხაზურიდან ქართულად თარგმნილი ივანე თარხნიშვილის... ლექსი. აფხაზმა ქალბატონმა ეს ლექსი მშვენიერი ქართულით წაგვიკითხა. შემდეგ ჩვენ ვიმღერეთ მეგრული, აფხაზური და სვანური სიმღერები. ეს იყო საოცარი შეხვედრები და ჩვენ ცრემლებით დავემშვიდობეთ ერთმანეთს."

ქალბატონმა დარეჯანმა შემდეგ აღნიშნა, რომ აფხაზებმა და ქართველებმა უნდა ვიცხოვროთ სიყვარულით და ჩატეხილი ხიდი ურთიერთთანადგომით აღვადგინოთ, რისთვისაც ერთ-ერთი საშუალება საერთაშორისო ფონდიც იქნება. ფონდი სამი მიმართულებით იმუშავებს: ჰუმანიტარული, საინფორმაციო და ადამიანის უფლებათა დაცვის სფერო.

პრეზენტაციას ესწრებოდა თურქული მხარის ორი წარმომადგენელი, მურად ბულუტი და დევრინ პოირაზი. ბატონმა მურადმა აღნიშნა, რომ თურქეთის ტერიტორიაზე ბევრი აბაზა და ქართველი ცხოვრობს, რომლებიც თურქეთის მოქალაქეები არიან.

"ჩვენ ყველანი მშვიდობიანად ვცხოვრობთ თურქეთში, გვაქვს მეგობრული და ძმური ურთიერთობები. ამიტომ, გადავწყვიტეთ, ქართველ და აფხაზ ხალხებს თანაცხოვრებაში დავეხმაროთ, რომ მათაც ისევე მშვიდობიანად იცხოვრონ, როგორც ცხოვრობენ თურქეთში სხვა ეროვნების ადამიანები. სწორედ ამ მიზნით ჩამოვაყალიბეთ ასეთი ფონდი ჩვენს მეგობრებთან ერთად. ჩვენ თურქეთში ბევრი ბიზნესმენი გვიჭერს მხარს. ამიტომ, ვფიქრობთ, რომ ვინც კი ჩვენი ფონდის არსებობის შესახებ გაიგებს, ის სამუდამოდ ჩვენთან დარჩება, რადგან ჩვენ გულწრფელად ვლაპარაკობთ," - აღნიშნა თურქმა სტუმარმა.

საქართველოს სახალხო დამცველი სოზარ სუბარი: "ბევრ სხვადასხვა დონის შეხვედრაზე ვყოფილვარ, სადაც ქართველები და აფხაზები ერთმანეთს ხვდებოდნენ. როგორც წესი, საქმიან ცხარე დებატებს არაოფიციალურ გარემოში - სუფრაზე ძალიან თბილი, მეგობრული შეხვედრები მოსდევდა, რომლებიც იქვე მთავრდებოდა და ოფიციალურ შეხვედრაზე ისევ უნდობლობის კედელი "აღიმართებოდა" ხოლმე ჩვენს და აფხაზებს შორის. მეგონა, ამჯერადაც ასე იქნებოდა და სტამბულის შეხვედრებს კონკრეტული ნაბიჯები არ მოჰყვებოდა, მაგრამ ძალიან მოხარული ვარ, რომ შევცდი. თითქოს კედელი გაირღვა, იწყება საერთო საქმიანობა. ეს არის თანამშრომლობის პირველი შემთხვევა, რომელიც ერთობლივი პროექტების განხორციელებით დაიწყება. იმედი მაქვს, ეს იქნება წარმატებული პროექტი, რომელსაც ელოდებიან აფხაზეთშიც და ჩვენთანაც."

ბატონი რამაზ შენგელია, თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, ფონდის სამედიცინო პროგრამების კოორდინატორი: "ძალიან დიდი იმედი გვაქვს, რომ ჩვენ მიერ გადადგმული ნაბიჯები იქნება სიყვარულით სავსე, გულწრფელი და მართალი. მინდა დაგარწმუნოთ, რომ შეხვედრისას ჩვენმა აფხაზმა მეგობრებმა ჩვენგან სწორედ ეს დაინახეს - რომ ჩვენ არ მივსულვართ მათთან რაღაც პოლიტიკური ქულების ჩასაწერად, არამედ მივედით სიყვარულით. დღეს ძალიან ხშირად იწერება, რომ ჩვენ აფხაზეთის ტერიტორია დავკარგეთ. ჩვენი აზრით, ჩვენ ტერიტორია კი არა, ადამიანები დავკარგეთ, რომლებიც თავის თავს "აფხაზებს" უწოდებენ. ეს ხალხი უნდა დავიბრუნოთ. უნდა დავიბრუნოთ მათი გულები და სიყვარული. მხოლოდ მაშინ იქნება ყველაფერი კარგად."

ზურაბ ლაკერბაია, ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო კომისიის ხელმძღვანელი: "ფონდის დაარსებასთან დაკავშირებით, ჯერჯერობით, მხოლოდ ერთი რამის თქმა შემიძლია - ჩვენ, როგორც ქართულ-აფხაზურმა კომისიამ, ხელი შევუწყვეთ, რომ ასეთი შეხვედრა მომზადებულიყო. შემდგომ შეხვედრის მონაწილეებმა, როგორც ქართული, ისე აფხაზური მხარის წარმომადგენლებმა, ერთობლივად მუშაობის გაგრძელება და საერთო ენის გამონახვა შეძლეს. მიმაჩნია, რომ ეს იყო უნიკალური, ადამიანური შეხვედრები და ურთიერთობები, ხოლო როგორ იმუშავებს ახლად დაარსებული "აფხაზეთში ჰუმანიტარული და სოციალური პროგრამების განვითარების საერთაშორისო ფონდი," ამას დრო დაგვანახებს. იმედი გვაქვს, რომ ყველაფერი კარგად იქნება."

## TV პროგრამა

## 16 მარტი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** ტელელიპუცები **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** ღამის შოუ **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 02.05** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "დაუმთავრებელი პიესა მექანიკური პიესისთვის" (გ) **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** ტელელიპუცები **18.30** პატრული **18.55** ხალხის პირისპირ **19.50** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** ფორტი ბოიარდი **23.00** დოკ. ფილმი "პროექტი-პოლტერგეისტი" **00.00** მხ. ფილმი "გამარჯვების ფასი" (12) (რობერტ დიუვალი) **02.25** პატრული

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00, 02.00** (შვეიცარია), 02.30(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები.

**06.30** შავი ყუთი. **07.00** აფრიკის ყველაზე დიდი პარკის შუაგულში. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. 11.05. გადაცემა: საოჯახო ფოტოები. **15.30** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **16.30** გველეშაპი. მხ. ფილმი. რეჟისორი პიერ კარდინალი. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **20.25** რომ არ დაგვავიწყდეს. ოშვიცის საკონცენტრაციო ბანაკი. დოკ. ფილმი. **24.30** გადაცემა: ორმაგი მე. **03.00** მაცნენი. დოკ. ფილმი. **04.25** სერიული დანაშაულებანი. ტელესერიალი.

### [პირველი არხი]

**08.00** "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "სატურნი - რგოლების მეფე" **11.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "რედვოლი" **12.45** დოკ. ფილმი "სიცოცხლე ტყავის, ბუმბულის და ბეწვის ქვეშ" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერიალი "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" სომხურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** რაციო - ნინო ანანიაშვილი **16.30** დოკ. ფილმი "ემოციათა ლაბირინთში" **17.30** ვაკანსია **18.00** "მთავარი" რეგიონებიდან **18.30** სერიალი "შირლი ჰოლმსი" **19.00** "ჰოლმარკი" წარმოგიდგენთ - "ვედმინი" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერიალი "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "დროის თვალთვალი" **23.00** ახალი პროექტი - "უფლის რწმენით და შეწევნით" **23.30** კინოსამყარო "ვულკანი" (გ) **02.10** საინფ. გამოშვება

### კავკასია

**11.00, 13.00** ტუწ-ემ **11.30** მხ. ფილმი "სიყვარულის ტატუირება" (გ) **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.20, 00.30** ტუწ-ემ **19.20** სპექტრი **21.15** მხ. ფილმი "ტაქსი 3" (გ)

### 202

**10.00** დებატები (განმ.) **12.00** მუსიკალურ-გასართობი გადაცემა "პროპაგანდა" **13.00** სერიალი "დიდი სახლი" (გან.) **14.00** მუს. გადაცემა "პროპაგანდა" **18.00** მუსიკა **22.00** სერიალი "დიდი სახლი" **23.00** დებატები 202-ზე

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "ჰოლივუდი დღეს" **09.25** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "პოლიციელი ქალები" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** შემეცნებითი პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **13.05** "დიელი და პასკო" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **16.00** მუსიკა **16.05** "ველური მთვარე" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "დიელი და პასკო" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** მუსიკა **19.00** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "პოლიციელი ქალები" **21.45** არჩევანის ზღვარზე **22.45** საფესტივალო ჩვენება. "37 გრადუსი ცელსიუსით", "ქართველები მარინის თეატრში". **00.00** მხ. ფილმი "ღამის ლტოლვილი" (15) (ენდრიუ მაკარტნი)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" **19.50** "ბაბილინა" **20.05** სერიალი "ჩემი საყვარელი ოჯახი" **20.30** სერიალი "პროვანსი და მხატვრები" **20.55** დოკ. ფილმი "დაზვერვის ცენტრალური ბიურო" **21.45** დოკ. ფილმი "ლეგენდარული თვითმფრინავები" **22.10** კინოსეანსი "თუში მეცხვარე"

### იმედი

**07.00** სერიალი "რელიქვიების მაძიებელი" **07.30** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.10** იმედის დილა **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" **11.35** სერიალი "ყავა და ლუდი" **12.40, 16.25, 02.00** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "ცხოვრება სავსეა თავშესაქცევით" (პ. ტოდოროვსკი) **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.50** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **17.10, 02.30** იმედის მელოდიები **17.20** არტ-ბულვარი **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "ყავა და ლუდი" **22.50** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" **23.15** "უცნობი საქართველო" **23.45** მხ. ფილმი "ლედი და ჰერცოგი" (გ) (ჟან კლოდ დრეიფუსი)

### აჭარა

**09.00** საინფ. დაიჯესტი **09.30** კმოედია "ოქროს კერპი" **12.30** მხ. ფილმი "ბრიტანიკი" **14.15** მუსიკა **14.30** თრილერი "ჩუმი გაფრთხილებები" **16.00** მულტფილმი **17.30** საინფ. დაიჯესტი **17.50** მუსიკა **18.30** საინფ. დაიჯესტი "ნოვოსტი" **18.50** მელოდრამა "წარსულის მიღმა" **20.30** საინფ. დაიჯესტი **21.00** ბოევიკი "მომრიგებელი" **23.30** საინფ. დაიჯესტი **00.00** მხ. ფილმი "დევიდ გეილის ცხოვრება"

### ОРТ

**06.00** "Доброе утро" **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20, 21.30** Сериал **"ХИРОМАНТ". 10.30, 18.40** Сериал **"КЛОН". 11.40** Дисней-клуб: "Лило и Стич". **12.20** Евгений Жариков в сериале **"РОЖДЕННАЯ РЕВОЛЮЦИЕЙ". 14.00** Документальный детектив. **14.30** "Угадай мелодию" **15.20** Анатолий Лобоцкий в детективе **"СЫЩИК БЕЗ ЛИЦЕНЗИИ". 16.30** "Пять вечеров". **17.30** Сергей Никоненко в фильме **"БОГАТСТВО". 19.50** Константин Хабенский в фильме **"ЖЕНСКИЙ РОМАН". 21.00, 23.30** Время. **22.40** Спецрасследование. "Квартирные аферы". **23.50** Сканер. "Таблетка молодости". **00.20** "Сергей Юрский. В теле человека". **01.00** Док. сериал "Оружие Второй мировой войны". **01.30** Гвинет Пэлтроу в триллере **"РОКОВАЯ ВОСЬМЕРКА"**. Джон сидел у входа в трактир и мечтал о чашечке кофе: сегодня он лишился всех своих денег. Проходивший мимо щедрый господин по имени Сидней угостил бедолагу завтраком, а входе беседы поведал, как можно заработать большие деньги, играя в казино. Под его чутким руководством Джон превратился в первоклассного игрока, и вместе сладкая парочка стала собирать "золотой урожай" по всей стране. Все шло хорошо до тех пор, пока Джон не влюбился в официантку по имени Клементина... **03.20** Саймон Бэйкер в фильме **"СЕКС, НАРКОТИКИ И САНСЕТ СТРИП". 05.05** Теория невероятности. "Вещие сны".

### НТВ

**06.00** "Сегодня утром" **09.05** Сериал **"ОНА НАПИСАЛА УБИЙСТВО: ПРОКЛЯТИЕ ВЕДЬМЫ". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** "Сегодня" **10.15** Особо опасен! **10.50** Сериал **"ПОД НЕБОМ ВЕРОНЫ". 11.55** Сериал **"ХЕРУВИМ". 13.30** Джеймс Вудс в боевике **"ПОЕДИНОК В ДИГГСТАУНЕ"**. Мошенник Габриэл Кейн выходит на свободу после двух лет заключения и со своим напарником организует в городишке Диггстаун боксерский турнир с огромными ставками: их боец - 48-летний Рой Палмер - должен победить десятерых молодых боксеров. Мало кто верит в успех этой аферы, но девиз Кейна - "Не обманывай мошенника, если он хитрее, чем ты"... **15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** Сериал **"СВОБОДНАЯ ЖЕНЩИНА". 18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"ХЕРУВИМ". 20.45** Сериал **"ПОД НЕБОМ ВЕРОНЫ". 21.50** Чрезвычайное происшествие. **22.40** "Страсти по Горбачеву". Фильм 3-й. "Великая ненависть". **23.45** Чрезвычайное происшествие. **00.15** "Страсти по Горбачеву". Фильм 4-й. "Великое освобождение". **01.20** Сериал **"ХЕРУВИМ". 02.20** Бильярд. **03.15** Сериал **"ПЕРВЫЙ ПОНЕДЕЛЬНИК". 04.10** Сериал **"ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО". 04.55** Сериал **"ЛЮБОВЬ ВДОВЦА-2". 05.40** Чрезвычайное происшествие.


სახელი ____ მისამართი ____

გვარი ____

ასაკი ____ საკონტაქტო ტელეფონის ნომრები ____

სიმაღლე ____

1 ოჯახური მდგომარეობა : დაქორწინებული / დაუქორწინებელი / გაყრილი / ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა____________ თარიღი________

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა

სუსტი რგოლი

მოთამაშის ანკეტა

გეხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ეძებს ერუდირებულ, თამამ, გონებამახვილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

ანკეტა გამოგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

თქვენი ფოტოსურათი

გთხოვთ, დააკრათ ნებისმიერი ზომის ფოტოსურათი, [illegible]


## სკანვორდი



1. სწრაფად აღგზნებადი ენერგიული ადამიანი; 2. ეკლესიაში წარმოთქმული დამრიგებლობითი შინაარსის სიტყვა; 3. კოსმოსური ობიექტი; 4. ფრანგული ხალხური ცეკვა; 5. ქართული ფული; 6. მე-19 საუკუნის ფრანგი კომპოზიტორი; 7. მრავალწახნაგად თლილი ალმასი; 8. ალპიური ზონის ყვავილი; 9. შტატი აშშ-ს სამხრეთში; 10. შემოკავებული მიწის ნაკვეთი სახლთან; 11. 1930 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი; 12. სატყეო მეურნეობის თანამშრომელი; 13. სააქციო საზოგადოების წევრის პერიოდული შემოსავალი; 14. ძველბერძენი მათემატიკოსი; 15. რაიცენტრი დასავლეთ საქართველოში; 16. გეომეტრიული სხეული; 17. მე-18 საუკუნის შვედი ბუნებისმეტყველი და ექიმი; 18. ქალის ეროვნული სამოსი ინდოეთში; 19. შეთანხმება საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ; 20. ჯ. ვერდის ოპერა; 21. საჯარო სახოტბო სიტყვა; 22. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 23. მდინარე პოლონეთისა და გერმანიის საზღვარზე; 24. წარმომავლობა, წარმოშობა; 25. უკრაინის ფულადი ერთეული; 26. მზვერავი, ჯაშუში; 27. სიგრძის საზომი ერთეული; 28. ქალაქი გერმანიაში; 29. რაიმე ცნების პირობითი გამოხატულება; 30. ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელი; 31. ფილმი არნოლდ შვარცენეგერის მონაწილეობით; 32. სახელმწიფო ევროპაში; 33. პურეული მცენარე; 34. ზევსის მამა; 35. ახალი ზელანდიის მკვიდრი მოსახლე; 36. სტუდენტების ჯგუფური პრაქტიკული მეცადინეობა; 37. მე-20 საუკუნის ინგლისელი მწერალი; 38. მაღალი რანგის თანამდებობის პირი ძველ რომში; 39. ქართველი კინორეჟისორი.

# ტოლკიენი ახალ ამპლუაში



“ბეჭდების მბრძანებელი” უკვე დასჯერდა 11 “ოსკარს”, ტრიუმფს მსოფლიო კინოთეატრების სალაროებში, 3 მილიარდი დოლარის მოგებას და ახლა თეატრალური სცენის დასაპყრობად გაემართა.

“როიტერსის” ცნობით, ტოლკიენის ნაწარმოებს მალე მიუზიკლად გადააკეთებენ და თეატრის სცენაზე დადგამენ. პრემიერა 2006 წლის მარტში, ტორონტოში გაიმართება. პროდიუსერები განმარტავენ, რომ ისინი შეძლებისდაგვარად დაიცავენ ავტორის ხაზს და მაყურებლის გულის მოსაგებად არ მიმართავენ კინოტრიუკებს, ანუ არ გამოიყენებენ სპეცეფექტებს.

პროდიუსერ კევინ უოლესის თქმით, რეჟისორი მთლიანად დაეყრდნობა 50-მდე მსახიობისა და მუსიკოსების ძალას; ამბავს სწორედ მათი საშუალებით გადმოსცემს და არა - ტექნიკის დახმარებით. პროექტის განხორციელება 11.5 მილიონი გირვანქა სტერლინგი დაჯდება. “ჩვენ ახალი გზის გაკვალვა გვსურს. ეს იქნება ტექსტის, მუსიკის, სანახაობისა და თეატრის ჰიბრიდი. ჩვენს ვერსიაში არც მომღერალი და მოცეკვავე ჰობიტები გამოჩნდებიან. მუსიკაც კი ზედმიწევნით ტრადიციული იქნება და ბაზისად ეთნიკურ ტრადიციებს დაეყრდნობა”.



ასეთ მუსიკას შემოქმედებით ჯგუფს ბოლივუდელი კომპოზიტორი ა.რ. რამანი დაუწერს. მის მელოდიებს ლონდონში ცნობილი მიუზიკლის “ბომბეის სიზმრების” წყალობით უკვე კარგად ცნობენ.

“ბეჭდების მბრძანებელს” სცენაზე ბრიტანელი რეჟისორი მეთიუ ვარჩუსი დადგამს. მისი ყველაზე ცნობილი სპექტაკლი “არტი” გახლავთ. ეს წარმოდგენა მთელი მსოფლიოს მასშტაბით იქცა ჰიტად.

ასეთი ბრიტანული ნაზავის გამო, სპექტაკლის პრემიერა თავიდან ლონდონში იგეგმებოდა. მაგრამ იქაური თეატრები ჰიტი-შოუებით - “პროდიუსერები”, “მერი პოპინსი” და სხვა ისე არის გადატვირთული, რომ შემდეგ სასტარტო წერტილად ტორონტო აირჩიეს.

პროდიუსერ უოლესს ეს გარემოება მოსწონს კიდეც: “მგონი, უკეთესიც არის, რომ პრემიერა ჯერ ტორონტოში შედგება. ჯერ აქ ატყდება აჟიოტაჟი და იმ დროისთვის, როცა სპექტაკლს ლონდონში ჩავიტანთ, ცნობისმოყვარეების რიგი კიდევ უფრო გაიზრდება”.

თეატრალურ ჯგუფს სპექტაკლზე სამუშაოდ საკმაოდ დიდი დრო აქვთ, თუმცა, არც ისე დიდი, თუ პიტერ ჯექსონს გავიხსენებთ. ახალ ზელანდიელმა რეჟისორმა ხომ ათი წელი მოანდომა სცენარზე მუშაობას, სანამ ტრილოგიას კინოეკრანზე გადაიტანდა.

# „და ვინჩის კოდი” და ეკლესია




გუშინ კათოლიკური ეკლესია გახმაურებული წიგნის “და ვინჩის კოდის” წინააღმდეგ გამოვიდა. გენუის არქიეპისკოპოსმა, კარდინალმა ტარჩისიო ბერტონემ ბესტსელერ რომანს “სამარცხვინო ტყუილებით სავსე” წიგნი უწოდა.

ამ განცხადებით გუშინ პირველად დაირღვა რომაული ეკლესიის ხანგრძლივი სიჩუმე. რომანის შესახებ ხომ საკუთარი აზრი სასულიერო პირების გარდა ყველამ გამოთქვა.

თუმცა, კარდინალის პრეს-მდივანმა უარყო ხმები იმის შესახებ, რომ ბერტონეს წიგნის კრიტიკა ვატიკანმა დაავალა. მისი თქმით, არქიეპისკოპოსმა აზრი “და ვინჩის კოდის” შესახებ თავისი სურვილით გამოთქვა. “ილ ჯორნალესთან” საუბრისას მან აღნიშნა: “ეს წიგნი ყველგან არის. ძალიან დიდი რისკი არსებობს იმისა, რომ ხალხი, რომელიც წაიკითხავს მას, ირწმუნებს რომ წიგნში გადმოცემული იგავები მართალია. მაკვირვებს, რომ ამდენ ადამიანს სჯერა ამ სიცრუის”.

წიგნის მთავარი იდეა კი ქრისტიანული ეკლესიისთვის მართლაც მიუღებელია. დენ ბრაუნი წერს, რომ იესო და მარია მაგდალინელი ცოლ-ქმარი იყვნენ და რომ სინამდვილეში გრაალი მარია მაგდალინელი და ის საიდუმლო დოკუმენტებია, რომელიც მაგდალინელის ისტორიულ როლს ჩქმალავს.

დღეს კარდინალი ბერტონე სემინარის მოწყობასაც აპირებს სათაურით - Storia Senza Storia, ანუ ამბავი ისტორიის გარეშე, და ბრაუნის არგუმენტების განქიქება სურს.

ასეა თუ ისე, “და ვინჩის კოდი” მაინც შეუდარებლად პოპულარულია. მალე ფილმიც გამოვა - ტომ ჰენქსის, ჟან რენოს და ოდრი ტოტუს მონაწილეობით. მანამდე კი ის ღირსშესანიშნავი და ისტორიული ადგილები, რომლებიც რომანშია მოხსენიებული ტურისტების ზღვას ვერ აუდის.

CSB

კავკასიის
ბიზნესის სკოლა
ღია კარის დღე

ა.წ. 19 მარტს 12:00 საათზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ სააქტო დარბაზში ტარდება ღია კარის დღე, სადაც გექნებათ შესაძლებლობა მიიღოთ დაწვრილებითი ინფორმაცია კავკასიის ბიზნესის სკოლის საბაკალავრო პროგრამაზე.

ტელ: 31 32 25
www.csb.ge

ვაკანსია

ქოლგეით-პალმოლივს მეტად ამბიციური მიზნები გააჩნია საქართველოში და საამისოდ მისი დისტრიბუტორი კომპანია შპს "პონტო სტარ კომპანი" იწვევს 25 წლამდე ახალგაზრდებს სავაჭრო წამომადგენლის (დისტრიბუტორის) თანამდებობაზე სამუშაოდ.

**მოთხოვნები**
1. უმაღლესი განათლება
2. კომუნიკაციის განსაკუთრებული უნარი
3. ავტომანქანის მართვის მოწმობა (სასურველია)

**მოვალეობები**
1. გაყიდვები
2. დისტრიბუცია
3. თაროზე მუშაობა
4. სარეკლამო საშუალებების გამოყენება

დაინტერესებულმა პირებმა 2005 წ. 8-დან 26 მარტის ჩათვლით გამოაგზავნეთ თქვენი ავტობიოგრაფია (CV) ფაქსის შემდეგ ნომერზე: 91 13 41. 1000-დან 1800 -მდე

თქვენი რეკლამა
ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24




სწავლა ლონდონში
ხელმისაწვდომ ფასად

MBA
MSc
მარკეტინგი / ფინანსები / IT
საინფორმაციო ტექნოლოგიები
კომპიუტერული სისტემის ინჟინერია
ინტერნეტის ინჟინერია

სრული კურსის ფასი
£4550

BA (Hons)

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:
ტელ: 253045, 230284 მობ. 877-423569
E-mail: stmgeorgia@hotmail.com
www.stmlondon.co.uk




საინფორმაციო ტექნოლოგიების
ცენტრი „მზიური"
გთავაზობთ:
კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:
■ Windows.
■ MS Word.
■ MS Excel.
ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.
მისამართი: დ.უზნაძის N70
ტელ:29-48-61
ვებ-გვერდი: WWW.mziuri.ge

წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.